# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №60 (2433) შაბათი, 15 მარტი, 1997 წელი. ფასი 40 თეთრი.


## იუბილე



## „ის კაცი იყო, ვით შეშვენის კაცსა კაცობა"

...ც ცოტა ხნის წინათ, უსაშველოდ გრძელი ზა... ის ერთ დღეს, სიცივისაგან და უშუქობისაგან ...ბებულმა, წვერი აღარ გავიპარსე. ჩემმა მეი...ლმა გაუპარსავი რომ მიხილა, ასეთი ლექსით ...ხილდოვა: „რომ შეიქმნა 60 წლის, ულვაშები ...შვენა"-ო... შეგიძლიათ ეს პრიმიტივიზმშიც ჩა...ალოთ, მაგრამ ამ სიტყვებით სრულად შევი...ენი, რომ ჩემი თაობა სამოცი წლისა გამხდა... ახლა არ მეგულებიან თბილისელი სამოცი წლის ...მიანები, ერთმანეთს რომ არ ვიცნობდეთ. დი... თითქოს სიკვდილ-სიცოცხლის დიდმა საცერმა ...რა, გვერა და ახლა „გაღმელები" და „გამოღ...ები", „გოლოვინსკელები" და „პლეხანოველე... – თბილისის ორი ძირითადი უბნის ბიჭები, რო...ბიც ახლა ბაბუების საპატიო მისიას ვასრულებთ ...ა თქმა უნდა, ჩვენი შვილიშვილების ბებიებთან ...ად), დაგვტოვა იმ რაოდენობით, რომ მოვალენი ...თ ერთმანეთს ვიცნობდეთ და ვუფრთხილდებოდეთ ...იდევ. შესაბამისამებრ, შემოვინახოთ ჩვენი ქა...ის სიტკბო და სიყვარული. გავუფრთხილდეთ იმ ...ლორიტს, წინა და ჩვენმა თაობამ რომ შექმნა ...ლბათ მთავა... – შევინახოთ ...ელი ხსოვნა ...ე წასული ბი...ების.

იხ. მე – 4 გვ.

## გვწერენ

## თანადგომას საზღვარი არა აქვს!

...ᲛᲝᲠᲩᲐᲡᲝ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ! – სიტყვა არ მყოფნის მა...ლიერების გამოსახატავად. გაგრიდან დევნილი ... სევდამწარებული კაცი თბილისის 51-ე საშუა...ლო სკოლის კოლექტივმა ძველი მეგობარივით მი...ღო, თავის რიგში ჩამრიცხა, საკუთარი ლუკმა ...იყო. დედაქალაქის ცენტრში ერთ-ერთი პრეს...ჟული სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ...სწავლებელი გავხდი და ცხოვრებაზე ხელჩაქ...ნეული კაცი ისევ რწმენითა და იმედით აღვივსე. ... ვფიქრობდი, თუ ჩემი ახალი კოლექტივი თანად...გომის კიდევ ერთ „გამოცდას" ჩაიტარებდა და ...ვალის მძიმე ოპერაციის დროს მოვლა-პატრო...ნობას არ მომაკლებდა. თბილისელი კოლეგების ...ენვა მართლაც სამაგალითო იყო. გულწრფელ თანადგომას, კაცთმოყვარეობას საზღვარი არა ჰქონ...და.

დიდი მადლობა 51-ე სკოლის დირექტორს ინეზა ...მანიძეს, მთელ პედაგოგიურ კოლექტივს, მო...რალური და მატერიალური დახმარებისათვის, სუ...ლიერი გამხნევებისათვის, თვალის ჩინის დაბრუ...ნებისათვის.

**გრიგოლ გიგინეიშვილი,**
თბილისის 51-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი,
გაგრიდან დევნილი.

## გვიპასუხებენ

## ჩვეულებრივი სიტუაცია

„საქართველოს რესპუბლიკის" გუშინდელ ნომერში ...ბეჭდილი სააგენტო „მოამბე-ექსპრესის" ინფო...რმაციის „მაფია?" შესახებ ტრესტ „თბილგაზის" ხე...ლმძღვანელობა გაცნობებთ:

...თებერვლის ბოლოს, რესპუბლიკას, მათ შორის ...თბილისსაც, დიდი დავალიანების გამო ბუნებრივი ...გაზის მოწოდება შეუწყდა. გადასახდელი თანხის ...მოცულობაში ჩვენი ტრესტის დავალიანება საქტ...რანსგაზმრეწვისადმი შეადგენს 350 000 ლარს, რაც ...გამოწვეულია იმით, რომ თბილისში განლაგებულმა ...ეთმა მსხვილმა მომხმარებლებმა, როგორებიც არი...ან სახელმწიფო კომპანია „საქენერგო", ქალაქ თბი...ლისის თბოელექტროცენტრალი, სააქციო საზოგა...დოებები „მაუდი", „თბილკონდიტერი", შპს „რობი", ...ზოგიერთი საავადმყოფო და სამშობიარო სახლი და ...ა. ვერ უზრუნველყვეს მოხმარებული გაზის სა...ფასურის გადახდა. აგრეთვე იმით, რომ მოსახლე...ობის მიერ დახარჯული გაზის ღირებულების გა...დახდის პრინციპით იგი საფასურს იხდის ზამთრის ...სეზონში ნორმით გათვალისწინებული მოსახმარებელი ...გაზის ღირებულების 70 პროცენტს, დანარჩენს კი ...ზაფხულის პერიოდში.

„თბილგაზის" მიერ სახელმწიფო კომპანია „სა...ქტრანსგაზმრეწვში" წარდგენილია თბილისის მე...რიის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებული დავა...ლიანების დაფარვის გრაფიკი. გაზი „საქტრანსგა...ზმრეწვმა" გადაგვიკეტა, როგორც კი იგი მოწო...დებას განაახლებს, ტრესტი „თბილგაზი" ჩვეულე...ბრივად მიაწოდებს მას ყველა გადახდისუნარიან ...მომხმარებელს.

**ვალერი ჩახნაშვილი,**
ტრესტ „თბილგაზის" მმართველი.

## ინციდენტი

# თურქეთი საქართველოსთან ურთიერთობაში მესამე ძალის მონაწილეობის წინააღმდეგია

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ტერიტორიულ წყლებში თურქ მეთევზეებსა და რუს მესაზღვრეთა შორის მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით 14 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში თევფიქ ოქიაუზი.

ელჩმა საქართველოს პრეზიდენტს აცნობა, რომ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თურქეთში საქართველოს საელჩოს დაუყოვნებლივ გაუგზავნა ნოტა, რომლითაც მოითხოვა მესაზღვრეთა მიერ დაკავებული და ბათუმში გადაყვანილი მხუნისა და მისი ეკიპაჟის თურქეთში დაბრუნება. ნოტაში ნათქვამია, აგრეთვე, რომ თურქეთის მხარე იტოვებს უფლებას, მოითხოვოს თურქი მოქალაქეებისათვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურება.

ელჩმა ხაზგასმით აღნიშნა, აგრეთვე, რომ ნებისმიერ მოლაპარაკებას ამ საკითხზე თურქეთის მხარე აწარმოებს მხოლოდ და მხოლოდ ოფიციალურ თბილისთან და კატეგორიულად მიზანშეუწონლად მიაჩნია ამ ურთიერთობაში მესამე მხარის მონაწილეობა. – ჩვენ პატივს ვცემთ საქართველოს მიერ სხვა ქვეყნებთან მიღწეულ შეთანხმებებს და მათ რეალიზაციას, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ეს საქართველოს საშინაო საქმეებია. რაც შეეხება ამ კონკრეტულ შემთხვევას, მასთან დაკავშირებით თურქეთი მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების პოზიციას ცნობს, – თქვა ბატონმა ოქიაუზმა.

– როგორიც უნდა იყოს ინციდენტის ფორმალური მხარე და გამოთქვამენ თუ არა მომხდართან დაკავშირებით პროტესტს თურქეთის ოფიციალური სტრუქტურები, მთავარი ის არის, რომ ამ შემთხვევას ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა და ღრმა შეშფოთება და წუხილი გამოთქვა მომხდარის გამო. პრეზიდენტმა ინფორმაცია ამ ინციდენტის შესახებ, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისგან ასლან აბაშიძისაგან მიიღო. ამასთან, თავად რუსმა მესაზღვრეებმა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს ფაქტის შესახებ მხოლოდ მაშინ შეატყობინეს, როდესაც იგი უკვე მომხდარი იყო. – სამწუხაროდ, რუსეთის მესაზღვრეებთან ძალზე სერიოზული პრობლემები გვაქვს, – განაცხადა ქვეყნის მეთაურმა. – ეს უკვე მესამე შემთხვევაა, როდესაც ისინი ჩვენთან შეთანხმების გარეშე მოქმედებენ. წინასწარ რომ ვყოფილიყავით ინფორმირებული, რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებდით ძალადობას უიარაღო მეთევზეების წინააღმდეგ.

რუსი მესაზღვრეების ინფორმაციით, თურქეთის მხარეს ამ ფაქტთან დაკავშირებით არავითარი პრეტენზია არ გამოუთქვამს, რასაც, პრეზიდენტის პრინციპული მოსაზრებით, ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. – ერთი ტონა თევზის თუნდაც უკანონო დაჭერა ჩვენს ტერიტორიულ წყლებში ნამდვილად არ არის ის შემთხვევა, რომლისთვისაც ღირდეს ადამიანის გაწირვა, – განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ და თხოვნით მიმართა ელჩს, გადასცეს დაღუპულის ოჯახს მისი სამძიმარი და წუხილი მომხდარი ტრაგედიის გამო. პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ ეს სამწუხარო ინციდენტი უარყოფით გავლენას არ მოახდენს საქართველოსა და თურქეთს შორის ურთიერთობაზე, რომელიც მეგობრობის, ძმობისა და კეთილმეზობლობის პრინციპებს ემყარება.



**ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ:** შეხვედრის დროს.

ᲑᲔᲡᲘᲙ ᲥᲔᲖᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო.

# საეჭვო აქტიურობა სავალალო შედეგებით

– ᲛᲘᲛᲐᲩᲜᲘᲐ, რომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაირკვეს ურთიერთობა რუსეთის მესაზღვრეებთან, – განაცხადა 14 მარტს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. საკითხის ასეთი კატეგორიული დასმა განაპირობა 12 მარტს საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, საქართველო-თურქეთის საზღვარზე მომხდარმა ინციდენტმა, რომელსაც თურქი მეთევზის სიცოცხლე ემსხვერპლა.

– რუსეთის მესაზღვრეებმა ამ ფაქტის შესახებ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს აცნობეს უკვე ინციდენტის შემდეგ. რაც პირველი შემთხვევა არ არის. საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული და გადაუდებელი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო საზღვრის შესახებ საქართველოს კანონის მიღებას. როგორც მან თქვა, სწორედ ამ კანონით, რომელიც, იმავდროულად, განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ფუნქციებსა და პასუხისმგებლობას, შესაძლებელი გახდება წესრიგის დამყარება ამ სფეროში.

როგორც სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რუსი მესაზღვრეების ასეთი აგრესიული აქტიურობა იმ სრული უმოქმედობის ფონზე, რომელსაც ისინი იჩენენ აფხაზეთში, საკმაოდ თვალშისაცემი მოვლენაა. – აფხაზეთის ნავსადგურებში კვირაში 2-3-ჯერ მაინც ყოველგვარი კონტროლის გარეშე, დაუბრკოლებლად შედიან თურქეთის კერძო ფირმების გემები, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა უმაღლესი დონის გადაწყვეტილებები და მითითებები.

ასევე, საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად მოხდა ოჩამჩირეში განლაგებული რუსეთის სასაზღვრო ბაზისა და ქარხნების დემონტაჟი და ისინი, გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ბათუმში გადაიტანეს. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ასეთი ფაქტი ნამდვილად მოხდა, ოღონდ ბაზა და ქარხნები გადაიტანეს არა ბათუმში, არამედ ნოვოროსიისკში.

საქართველოს პრეზიდენტმა მკაცრად მოითხოვა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობისაგან, მეტი პრინციპულობა გამოიჩინონ თავიანთ საქმიანობაში. მან ყურადღება მიაპყრო საქართველოსა და რუსეთს შორის საზღვრების ერთობლივი დაცვის შესახებ ხელშეკრულების ძირითად დებულებას, რომელიც ითვალისწინებს, რომ საზღვრების ერთობლივი დაცვის მიზნით განხორციელებული ყველა ღონისძიება შეთანხმებული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტთან. – ნუ დაგვავიწყდება, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ, – განაცხადა ქვეყნის მეთაურმა. – მსგავსი რამ ჩვენს საზღვრებზე აღარ უნდა განმეორდეს. ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ ვაშენებთ ურთიერთობას მეზობელ სახელმწიფოებთან, მათ შორის, თურქეთთან, და ასეთმა გაუმართლებელმა ძალადობამ, რომელიც არ შეესაბამება ჩვენს მიერ აღიარებულ პრინციპებს, ეჭვქვეშ არ უნდა დააყენოს ჩვენს ქვეყნებს შორის მომავალი ურთიერთობა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ.

## ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა

14 მარტს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს „საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის საქმიანობის შემდგომი განვითარებისა და მისი პოტენციალის, ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისა და სამხედრო აღმშენებლობისათვის გამოყენების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 24 მაისის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

სხდომის მონაწილეებმა განიხილეს საკითხები საქართველოს პრეზიდენტის, სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მთავარი სამხედრო ინსპექციის დებულების და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის დებულებისა და სტრუქტურის შესახებ.

სხდომაზე იმსჯელეს 1997 წლის 11-12 თებერვალს რუსეთის ფედერაციის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის ჯგუფ „გრუზიას" მესაზღვრეების მიერ საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე ქვეყნის ტერიტორიულ წყლებში განხორციელებული აქციის შესახებ.

სხდომა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ – ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ.

## საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 12 მარტი — ქ. თბილისი

### საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების ოცდაექვსსაუკუნოვანი თარიღის აღნიშვნის შესახებ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ-ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ურთიერთობის გათვალისწინებით საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების ოცდაექვსსაუკუნოვანი ისტორიის ღრმად შესწავლისა და მსოფლიოსათვის ამ უნიკალური მაგალითის წარმოჩენის მიზნით:

1. მიღებულ იქნეს ქართველი საზოგადოებრიობის, საქართველოს კულტურის სამინისტროს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს ებრაელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინადადება საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების ოცდაექვსსაუკუნოვანი თარიღის აღნიშვნის შესახებ.
2. საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების ოცდაექვსსაუკუნოვანი თარიღი აღინიშნოს 1998 წლის სექტემბერში ამ თარიღისადმი მიძღვნილ დღეებში.
3. ზემოაღნიშნული თარიღის აღნიშვნისათვის საქართველოს პრეზიდენტის ხელმძღვანელობით შეიქმნას სახელმწიფო საიუბილეო კომისია.
4. სახელმწიფო საიუბილეო კომისიამ 1997 წლის 1 მაისამდე შეიმუშაოს საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების ოცდაექვსსაუკუნოვანი თარიღის აღნიშვნის ღონისძიებათა გეგმა და ხარჯთა ნუსხა, უზრუნველყოს ამ ღონისძიებაში ქართველი საზოგადოებრიობის, საქართველოს ებრაელთა საზოგადოებრივი გაერთიანებების, მსოფლიოში მცხოვრები ქართველი ებრაელებისა და მსოფლიოს ებრაელი საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობა.
5. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ წარმოადგინოს სათანადო მასალები ამ მოვლენასთან დაკავშირებით.

**Ე. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ.**

## ხაზინა

# სახელმწიფო ბიუჯეტს – სახელმწიფოებრივი მიდგომა

### 14 მარტისთვის შეიტანეს

| | |
|---|---|
| **რუსთავი** | |
| ს/ს „საქმექანომონტაჟი" | – 25 000 ლარი |
| ფირმა „გიო" | – 10 000 ლარი |
| **თბილისი** | |
| **მთაწმინდა** | |
| შპს „გლობუსი" | – 6 800 ლარი |
| შპს „მასპინძელი" | – 7 400 ლარი |
| **აჭარა** | |
| ბათუმის კომერციული სამუამავლო საწარმო | – 12 000 ლარი |
| გაერთიანება „აჭარპური" | – 37 500 ლარი |
| სამკერვალო საწარმოო გაერთიანება | – 21 900 ლარი |
| **მცხეთა** | |
| შპს „სინათლე" | – 500 ლარი |
| შპს „საქელექტროკავშირი" | – 3 470 ლარი |
| შპს „ზაჰესი" | – 2 280 ლარი |
| **გორი** | |
| გორის ს/ს „გორგონი" | – 840 ლარი |
| ხელთუბანის აგროფერმა | – 600 ლარი |
| **ხაშური** | |
| ს/ს „მექანიკოსი" | – 1 200 ლარი |
| სურამის გამგეობა | – 670 ლარი |
| **ქარელი** | |
| მოხისის საკრებულო | – 780 ლარი |
| აგარის გამგეობა | – 546 ლარი |

## ინფორმაცია

### გაწვევა გალის რაიონში

„ᲘᲑᲔᲠᲘᲘᲡ" მიერ მიღებული ოპერატიული ინფორმაციით, კონფლიქტის ზონაში განლაგებული რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები აქტიურად ეხმარებიან აფხაზურ მხარეს, რათა სავალდებულო სამსახურში გაწვევა ძალდატანებით განხორციელდეს. კომისარიატის წარმომადგენლები, რფ ჯავშანმანქანებთან ერთად, წვევამდელთა გაწვევის მოტივით, უკვე „ეწვიენენ" რამდენიმე ოჯახს.

გალის რაიონიდან ძალდატანებით გაწვეულია 10 ახალგაზრდა.

### შემცირდება ჰუმანიტარული დახმარება

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ჰუმანიტარული დახმარების კოორდინაციის ბიუროს ინფორმაციით, 1997 წლის გაზაფხულიდან, საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები შეამცირებენ საკვებით დახმარებას. ამიტომ, აუცილებელი გახდება ლტოლვილთა და გაჭირვებულ პირთა სიების გადასინჯვა. აქედან გამომდინარე, აღარ განხორციელდება ჰუმანიტარული პროგრამები 5 წლამდე ბავშვებისათვის, ორსული და მეძუძური დედებისათვის.

### აღძრულია სისხლის სამართლის საქმე

ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ გემის „ერგიუმ კერდებლეის" ინციდენტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და შეიქმნა სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი საქართველოს პროკურატურის, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის მუშაკებისაგან. საქმე თავის წარმოებაში მიიღო საქართველოს გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატმა.

### მოშიმშილე პარლამენტარები აცხადებენ

„ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ცნობილი გახდა, რომ აქციის მგაბის სახელით აგროვებენ ფულს აფხაზეთიდან და ცხინვალიდან დევნილთა შორის, თითქოსდა აქციისათვის დახმარების მოტივით.

ვაცხადებთ, რომ ეს არის მოშიმშილე პარლამენტართა უაღრესად მნიშვნელოვანი აქციის დისკრედიტაციისკენ მიმართული პროვოკაცია.

მსგავსი შემთხვევების შესახებ გთხოვთ, გვაცნობოთ ტელეფონით – 99-80-47, – ნათქვამია მოშიმშილე პარლამენტართა პრესცენტრის განცხადებაში.

### ბუნებრივი გაზის მიწოდება განახლდა

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ კორესპონდენტის თენგიზ ჩხიკვაძის მიერ „საქგაზის" დეპარტამენტის თავმჯდომარის ვანო ზაზაშვილისაგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოში განახლდა რუსეთიდან ბუნებრივი გაზის მოწოდება. 13 მარტის 18 საათისათვის მოწოდების სადღეღამისო მოცულობა შეადგინა დაახლოებით 1,2 მილიონ კუბურ მეტრს. გაზის მიმღებთა შორის არიან თბილსრესი (ჯერჯერობით კი განეილი დღეღამის განმავლობაში აქ შემოვიდა მხოლოდ 360 ათასი კუბური მეტრი გაზი), სააქციო საზოგადოება რუსთავის „ქიმკომბინატი", რუსთავის პურის ქარხნები და რესპუბლიკის დედაქალაქის №8 პურის ქარხანა. უახლოეს ხანში ბუნებრივი გაზის მოწოდების სადღეღამისო მოცულობა 7 მილიონ კუბურ მეტრს გადააჭარბებს.

### დღეს ჩამოდის

ᲓᲦᲔᲡ თბილისს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა ევროს საპარლამენტო ასამბლეის ვიცეპრეზიდენტი ვოიცეხ ლამანტოვიჩი. შედგება შეხვედრები საქართველოს პრეზიდენტთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან.

ხვალ ბატონი ლამანტოვიჩი შეხვდება ფრაქცია „აფხაზეთის" საპროტესტო აქციის მონაწილეებს. 18 მარტს კი სოხუმში გაემგზავრება, 20 მარტს – ზუგდიდში ჩავა.

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲛᲝᲒᲕᲐᲬᲝᲓᲔᲡ: ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲛᲐ, „ᲘᲑᲔᲠᲘᲐᲛ".

## ვიზიტი

# არ შეასრულეს უმთავრესი ფუნქცია

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია და საპარლამენტო დელეგაციის წევრები, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუშაო ვიზიტად იმყოფებიან, 13 მარტს ნიუ-იორკში შეხვდნენ გაზეთ „უოლ სტრიტ ჯორნელის" სარედაქციო კოლეგიის წევრებს. ბატონმა ზურაბ ჟვანიამ დაწვრილებით უპასუხა მათ შეკითხვებს და კვლავ განსაკუთრებულად გაამახვილა ყურადღება აფხაზეთის პრობლემაზე. მისი თქმით, რუსეთის სამშვიდობო ძალებმა, რომლებიც კონფლიქტის ზონაში სამი წლის წინათ განლაგდნენ, ჯერჯერობით არ შეასრულეს მათი მანდატით გათვალისწინებული უმთავრესი ფუნქცია – არ უზრუნველყვეს ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა დაბრუნება მშობლიურ ადგილებში, რაც არა მხოლოდ ლტოლვილთა, არამედ თვით საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა იმედგაცრუებას იწვევს. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის დეპუტაციის წევრებმა, მათ შორის, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, დაიწყეს შიმშილობის აქცია რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის მოთხოვნით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში რუსეთის მუდმივ წარმომადგენელთან სერგეი ლავროვთან საუბრისას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ კატეგორიულად მოითხოვა: რუსეთის ფედერაციამ ერთმნიშვნელოვნად გამოხატოს თავისი პოზიცია და მხარი დაუჭიროს საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნას სეპარატისტთა კრიმინალური დაჯგუფების დასასჯელად.

სერგეი ლავროვმა თავის მხრივ განაცხადა, რომ ამჟამინდელი იმედგაცრუება „სამშვიდობო ოპერაციის" უშედეგობის გამო, ამჟღავნებულად გამართლებული და სავსებით ბუნებრივია. ამავე პრობლემის თაობაზე ბატონი ზურაბ ჟვანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბბინაში ესაუბრა გაეროში ამერიკის შეერთებული შტატების ალტერნატიულ წარმომადგენელს კარლ ინდერფურტს, „საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფის" გაეროში მუდმივ წარმომადგენელს ელჩ ალენ დეჟანერს და უშიშროების საბჭოს პრეზიდენტს გაეროში, პოლონეთის მუდმივ წარმომადგენელს ზბიგნევ ვლოსოვიჩს. „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი კონფლიქტის მოგვარებაში უნდა გაიზარდოს, გაეროს ეგიდით პროცესში უნდა ჩაერთონ სხვა დაინტერესებული ქვეყნებიც".

13 მარტს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შეხვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კოფი ანანს. საუბარმა სრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა. კოფი ანანი დაეთანხმა მოსაზრებას, რომ კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების მოქმედებამ ჯერჯერობით შედეგი არ გამოიღო და ახლა აუცილებელია სამშვიდობო ძალთა მანდატის გაფართოების შესახებ საკითხის განხილვა. გაეროს გენერალური მდივნის ამგვარი პოზიცია იმედისმომცემია,ვინაიდან კონფლიქტის ზონაში გაეროსა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის უფრო მჭიდრო თანამშრომლობის პერსპექტივაზე მიუთითებს.

საპარლამენტო დელეგაციის სამუშაო ვიზიტი 14 მარტს დასრულდა.

ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ.

## უკანასკნელ საათს

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა მუხლი დაიზიანა და ოპერაცია უნდა გაიკეთოს. ამის შემდეგ კი ორ-სამ კვირას ყავარჯნით მოუწევს სიარული. მეთვალყურეები შიშობენ, რომ ამ ამბავმა შეიძლება გავლენა მოახდინოს მის მომავალ ჰელსინკის შეხვედრაზე რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინთან. თვით კლინტონმა განაცხადა, რომ შეხვედრა აუცილებლად გაიმართება.

ᲠᲝᲛᲘ. პრაქტიკულად მთელი ალბანეთი ანარქიამ მოიცვა. გრძელდება საელჩოების ევაკუაცია, არის შემთხვევები, რომ შეიარაღებულ მოქალაქეთა ჯგუფები ავტომატის ცეცხლს უშენენ შვეულმფრენებს, რომლებშიც ყველაზე საძულველი მთავრობის წევრები და მათი ახლობლები ეგულებათ.

ᲥᲘᲨᲘᲜᲘᲝᲕᲘ. აქ დამთავრდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომა, რომელიც რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა და მიეძღვნა დსთ ტერიტორიაზე ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის ღონისძიებებს. დიდი ყურადღება დაეთმო ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცების წინააღმდეგ ბრძოლას, დაისახა ავტოტრანსპორტის აღრიცხვის ერთიანი ავტომატიზებული სისტემა. მონაწილენი დიდ გამარჯვებად თვლიან ინტერპოლის დსთ სუბრეგიონული ბიუროების შექმნას.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. გუშინ რუსეთის სახელმწიფოს მეთაური ბორის ელცინი გამოვიდა ტრადიციული რადიომიმართვით მოქალაქეებისადმი. მიმართვაში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ჟურნალისტთა როლს საზოგადოების ცხოვრებაში, ხელისუფლებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ურთიერთობას. პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქვეყანაში ცენზურა არ იქნება.

* * *

ᲒᲣᲨᲘᲜ გაიმართა რუსეთის სახალხო რესპუბლიკური პარტიის ყრილობა. პარტიის ლიდერმა, ყოფილმა უშიშროების საბჭოს მდივანმა ალექსანდრე ლებედმა განაცხადა, რომ პარტიის მიზანია ლეგიტიმური გახელისუფლება და მას შემუშავებული აქვს რუსეთის განვითარების ერთადერთი სწორი გზა. გენერალმა ლებედმა შეკრებილთ აუწყა, რომ წერილის ტექსტი, რომლითაც პრეზიდენტმა ბორის ელცინმა მიმართა 6 მარტს ფედერალურ კრებას, მთლიანად არის გადაწერილი მისი (ალექსანდრე ლებედის) წინასაარჩევნო მიმართვიდან.

საქართველოს რესპუბლი
№ 60. შაბათი, 15 მარტი, 1997 წელი

ჯეკ მეტლოკი

# იმპერიის გაკვეთა

მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძე დათანხმდა „რამდენიმე დღით“ დარჩენილიყო საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე, სანამ დაასახელებდნენ ახალ კანდიდატურას, მასთან შეხვედრა ვერ მოხერხდა. ვცდილობდი რა, ამეხსნა შევარდნაძის ქცევა, მე დავუკავშირდი სერგი ტარასენკოს, მის ერთ-ერთ უახლოეს მეგობარს. ტარასენკომ მითხრა, რომ შევარდნაძე უკვე წელიწადია, სერიოზულად ფიქრობდა გადადგომაზე. მისი გადადგომა დააჩქარა მოვლენათა მსვლელობამ, რამაც იგი დაარწმუნა, რომ საბჭოთა ხელისუფლება უფრო ფართოდ აპირებდა ძალის გამოყენებას, რომლის მონაწილეც მას არ სურდა გამხდარიყო. შევარდნაძე განსაკუთრებით ნაწყენი იყო იმის გამო, რომ გორბაჩოვი მას მცირედით დაეხმარა მაშინ, როდესაც სამხედროებმა დაარღვიეს მის მიერ მიღწეული და პირადად გორბაჩოვის მიერ მოწონებული ზოგიერთი შეთანხმება შეიარაღების კონტროლზე. უმაღლეს საბჭოში ლუკიანოვი მანევრირებას მიმართავდა იმ მიზნით, რომ ცუდად წარმოეჩინა შევარდნაძე. იგი აყოვნებდა სარატიფიკაციო ხელშეკრულებებს და უკანასკნელ წუთებში წარუდგენდა მათ დეპუტატებს ყალბი ბრალდებებით, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ ისინი დროზე არ წარმოადგინა. მან, ასევე, დაგეგმა მოსმენა იმ დროისათვის, როდესაც შევარდნაძე ქვეყანაში არ იმყოფებოდა და არ შეეძლო ეპასუხა შეკითხვებზე. შევარდნაძე დარწმუნებული იყო, რომ ლუკიანოვი ასე ვერ მოიქცეოდა, გორბაჩოვის მხარდაჭერა მის მიმართ მყარი რომ ყოფილიყო.

ტარასენკომ დაადასტურა, რომ გადადგომის საკითხი შევარდნაძემ წინასწარ არავის შეუთანხმა მისი მეუღლის, შვილების და თანაშემწეების — თეიმურაზ სტეპანოვის და თვით ტარასენკოს გარდა. ისინი ერთხმად შეთანხმდნენ, რომ იგი უნდა გადამდგარიყო.

მე ვკითხე ტარასენკოს, ფლობდა თუ არა შევარდნაძე რაიმე განსაკუთრებულ ინფორმაციას მოსალოდნელი შეთქმულების შესახებ. მან მიპასუხა, რომ არაფერი იცოდა კონკრეტული შეთქმულების შესახებ, მაგრამ გრძნობდა, რომ არსებობდა გარკვეული ჯგუფები, რომლებსაც მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი ქვეყნის ერთიანობა ძალით შეენარჩუნებინათ. გორბაჩოვი თავისი მიმდინარე პოლიტიკით მათ წისქვილზე ასხამდა წყალს. შესაძლებელია, გორბაჩოვი ფიქრობდა, რომ იგი დროს იგებდა. საბოლოოდ აღმოჩნდება, რომ ისინი, ვისაც იგი ეყრდნობოდა, მას ზურგით მოისვრიან. არსებულ გარემოცვაში შევარდნაძეს არ შეეძლო ხელისუფლებაში დარჩენა. მან იგრძნო, რომ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, თუკი ის შეძლებდა გარეთ არსებული დემოკრატიული ძალების შეკავშირებას.

ყველა პარტია გვარწმუნებდა, რომ საბჭოთა პოლიტიკა შეერთებული შტატების მიმართ არ შეიცვლებოდა. გორბაჩოვმა პირადი წერილი გაუგზავნა პრეზიდენტ ბუშს საშობაოდ, სადაც არწმუნებდა, რომ პოლიტიკა, რომელსაც შევარდნაძე ატარებდა, არ შეიცვლებოდა. შევარდნაძემ პირად საუბარში გვითხრა, რომ იგი არ გადადგებოდა, დარწმუნებული რომ არ ყოფილიყო შეერთებული შტატების და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის პოზიტიური კურსის სიმყარეში. სამი კვირის შემდეგ გორბაჩოვმა დაასახელა შევარდნაძის შემცვლელი. მან არჩევანი კარიერის მქონე დიპლომატზე, ალექსანდრე ბესმერტნიხზე შეაჩერა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ პატივს სცემდა ბესმერტნიხის შესაძლებლობებს, არამედ იმიტომაც, რომ მას სურდა გარანტია მიეცა შეერთებული შტატებისათვის.

* * *

ჩვენ კარგად ვიცნობდით ბესმერტნიხს და დიდ პატივს ვცემდით. მრავალჯერ ჩამოსულა იგი ვაშინგტონში, როდესაც უძღვებოდა აშშ-ს საქმეებს მოსკოვის საგარეო საქმეთა სამინისტროში. როდესაც შევარდნაძე საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა, მან სასწრაფოდ დააწინაურა ბესმერტნიხი და დაინიშნა თავის პირველ მოადგილედ, ხოლო 1990-იანი წლების დამდეგს ვაშინგტონში გაგზავნა ელჩად.

მხოლოდ იანვრის შუა რიცხვებში შევიტყვე, რომ გორბაჩოვის კანდიდატურა შევარდნაძის პოსტზე ბერსმერტნიხი იყო. შევარდნაძის გადადგომიდან ბესმერტნიხის დანიშნამდე რამდენიმე კვირის განმავლობაში ურთიერთობა ჩვენს შორის დაიძაბა, მაგრამ ამის მიზეზი არ იყო არც ერთი საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრი.

მეორე დღეს მე დავურეკე ანატოლი ჩერნიაევს. მასთან შეხვედრა ერთი კვირით ადრე ვითხოვე, მაგრამ მითხრეს, არ სცალიაო (რა თქმა უნდა, ეს სიმართლე იყო). მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, ნამდვილი მიზეზი ის იყო, რომ იმ დროისათვის იგი მზად არ იყო, რომ ესაუბრა შევარდნაძის გადადგომის შესახებ. როგორც ყოველთვის, მან თბილად მიმიღო. მუდამ მშვიდი და მობილიზებული, მაშინაც კი, როდესაც საკამათო საკითხებს იხილავდა, ჩერნიაევი უკანასკნელი ორი კვირის ნერვიულობისა და დაძაბულობის მიუხედავად, ამჯერად მშვიდი ჩანდა. ალბათ, დღესასწაულებზე დაისვენა, გავიფიქრე ჩემთვის.

პირველად ვკითხე, თუ როგორ უყურებდა გორბაჩოვი შევარდნაძის გადადგომას. ჩერნიაევმა მითხრა, რომ გორბაჩოვს არ უნდოდა შევარდნაძის წასვლა და ცდილობდა დაერწმუნებინა იგი, რომ დარჩენილიყო ან სხვა თანამდებობა დაეკავებინა. მაგრამ მიხვდა, რომ შევარდნაძის გადაწყვეტილება წასვლის თაობაზე მყარი იყო და არც შეეძლო სხვაგვარად მოქცეულიყო, თუ გაეითვალისწინებთ მისი ღირსების გრძნობას. ამიტომაც გორბაჩოვი შეურიგდა შევარდნაძის წასვლას. როდესაც შევარდნაძემ მოულოდნელად განაცხადა თავისი გადადგომის შესახებ, გორბაჩოვი ძალზე ნაწყენი დარჩა, რომ ეს მასთან წინასწარ შეუთანხმებლად მოხდა. მოგვიანებით იგი მიხვდა, რომ შევარდნაძემ თავი აარიდა მასთან საუბარს იმის გამო, რომ მას ნამდვილად სურდა წასვლა და ეშინოდა, რომ გორბაჩოვი მას გადაათქმევინებდა.

ერთი რამ, რაც მან ხაზგასმით აღნიშნა, ის იყო, რომ ჩვენ შეგვეძლო დარწმუნებული ვყოფილიყავით: საბჭოთა საგარეო პოლიტიკაში არანაირი ცვლილება არ მოხდებოდა. ურთიერთობები შეერთებულ შტატებთან მთავარი საკითხი იყო, რაც გორბაჩოვს კარგად ესმოდა.

გორბაჩოვი ყველაზე მეტს კარგავდა და მაინც, იგი მთვარეულივით იქცეოდა — დაბნეული აწყდებოდა აქეთ-იქით. მან ყურად არ იღო შევარდნაძის გაფრთხილება დეკემბერში და სულ ტყუილად აღშფოთდა. გასწირა თავისი ლოიალური მხარდამჭერები, მაგალითად, ბაკატინი. არაფრად ჩააგდო ალექსანდრე იაკოვლევის და სხვათა რჩევა, რომლებიც დაეხმარნენ მას, პირველ რიგში, პერესტროიკის მშენებლობაში და კვლავ ენდობოდა ორპირ კრიუჩკოვს და თავხედ კლოუნს — პავლოვს.

## გორბაჩოვის „გასვლა“ კომუნისტური პარტიიდან

ყველა რეფორმატორი არ იყო კმაყოფილი გორბაჩოვის ძალისხმევით შეენარჩუნებინა პარტიული პოზიციები. მომდევნო კვირას, როდესაც შეერთებულ შტატებში მომავალი ვიზიტის თაობაზე შევარდნაძეს დავურეკე, მითხრა, რომ გორბაჩოვს, მას შემდეგ, რაც მოახერხა მოეგერიებინა მისი გადაგომის მოთხოვნები, პირადი სურვილით უნდა დაეთმო პარტიული თანამდებობა. შევარდნაძე ფიქრობდა, რომ პირადი სურვილით პარტიიდან გასვლის შემთხვევაში გორბაჩოვი შესძლებდა „აპარატისაგან“ თავის დაღწევას და ამასთანავე, რეფორმატორების პარტიიდან გაყვანას, რითაც მნიშვნელოვნად დაიბრუნებდა პოპულარობას საზოგადოებაში. ამას მოჰყვებოდა კომუნისტური პარტიის გათიშვა, მაგრამ ეს ჯანსაღი მოვლენა იქნებოდა, რამდენადაც გაძლიერდებოდა მრავალპარტიული სისტემა, რომლის დამკვიდრებასაც ისინი ცდილობდნენ. „დეე, „კონსერვატორებს“ და „დემოკრატებს“ (კომუნისტურ პარტიაში) და სხვებსაც ჰყავდეთ თავიანთი პარტიები“ — აღნიშნა მან. მოვლენების განვითარების გამო შევარდნაძე შიშობდა, რომ გორბაჩოვი მტკიცე კურსის გამტარებელთა ტყვეობაში დარჩებოდა და იძულებული გახდებოდა განეხორციელებინა პოლიტიკა, რაც მხოლოდ ძალის გამოყენებით მოხერხდებოდა. ამაზე მიანიშნებდა პრემიერ-მინისტრ პავლოვის უკანასკნელი მუქარა.

მაგრამ სხვები ფიქრობდნენ, რომ სათანადო მომზადების გარეშე პარტიის გათიშვა გორბაჩოვის მხრივ არ იქნებოდა გონიერული. როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა ბესმერტნიხმა აღნიშნა ჩემთან შეხვედრისას იმავე დღეს, როდესაც შევხვდი შევარდნაძეს, გორბაჩოვს, როგორც პარტიის გენერალური მდივნის გადადგომას, ბევრი აღიქვამდა, როგორც პოლიტიკურ მარცხს და ამას შეიძლება მოჰყოლოდა საპრეზიდენტო მმართველობის სწრაფი დეზინტეგრაცია.

* * *

შევარდნაძის გაფრთხილება მოსალოდნელი სამხედრო გადატრიალების შესახებ, საკმარისად დამაჯერებელი ჩანდა.

* * *

1991 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში ედუარდ შევარდნაძე საბოლოოდ დაარწმუნეს დაბრუნებულიყო სახეშეცვლილ საგარეო საქმეთა სამინისტროში, და შესდგომოდა საქმეს, რომელიც რამდენიმე კვირაში დასრულდა. იმ დროისათვის ელცინი ცდილობდა სამინისტროს აპარატი 80 პროცენტით შეემცირებინა, მაგრამ ამ გეგმის განხორციელებამდე მოხდა საბჭოთა კავშირის და რუსეთის სამინისტროების გაერთიანება ანდრია კოზირევის ხელმძღვანელობით. ეს უკანასკნელი არცთუ ისე დიდი ხნის უკან შევარდნაძის ერთ-ერთი უმცროსი ლეიტენანტი იყო.

## „ახალი აზროვნება“

ეჭვგარეშეა, რომ საბჭოთა ხალხი სხვაგვარად განეწყობოდა, თუ დაარწმუნებდნენ, რომ აღმოსავლეთ ევროპის დაკარგვა გავლენას მოახდენდა მის უსაფრთხოებაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუკი ხალხს ისევ სჯეროდა, რომ შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები პოტენციური აგრესორები იყვნენ, ასეთ შემთხვევაში, საბჭოთა საზღვრებისაკენ უკანდახევა გამოიწვევდა ომის შიშს ევროპაში. მაგრამ ეს არ მოხდა. შევარდნაძის და იაკოვლევის მიერ შემოტანილი „ახალი აზროვნება“ ფესვებს იდგამდა, რაც დიდად იყო განპირობებული იმით, რომ საბჭოთა საზოგადოება ამჩნევდა, თუ როგორ იცვლებოდა დასავლეთის რეაქცია საბჭოთა პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებების მიმართ და უკეთ იყო ინფორმირებული უწინდელი საბჭოთა პოლიტიკის თაობაზე, რომელსაც დასავლეთი აფასებდა, როგორც აგრესიულს.

## პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭო

გორბაჩოვმა უშიშროების საბჭო ახალი პოლიტიკური საკონსტულტაციო საბჭოთი შეცვალა. ორ წელიწადზე ნაკლებ დროში მისმა მთავარმა მრჩეველმა საბჭომ მესამედ იცვალა სახე. საპრეზიდენტო საბჭომ მხოლოდ ერთ წელიწადს იარსება. ფორმირების პროცესში მყოფი უშიშროების საბჭოს ძირითადმა წევრებმა სცადეს წაერთმიათ გორბაჩოვისათვის ძალაუფლება. ამჯერად გორბაჩოვი არ შეეცადა პარტიიდან საბჭოში კონსერვატორების და რუსი მოვინისტების შეყვანას. მან დაასახელა რამდენიმე მისი ყოფილი მრჩეველი, მაგალითად, ვადიმ ბაკატინი, ეკონომისტი ნიკოლოზ პეტრიაკოვი, ალექსანდრე იაკოვლევი და ფიზიკოსი ევგენი ველიხოვი, ასევე უფრო რადიკალი რეფორმატორები, მოსკოვის მერი გაბრიელ პოპოვი, ელცინის ძველი მხარდამჭერი იური რიჟკოვი, პეტერბურგის მერი ანატოლი სობჩაკი და ეგორ იაკოვლევი — „მოსკოუ ნიუზის“ რედაქტორი, რომელიც ის-ის იყო დაინიშნა ცენტრალური ტელევიზიის ხელმძღვანელად. გორბაჩოვმა ასევე დაასახელა ედუარდ შევარდნაძე, მაგრამ მან უარი განაცხადა სამსახურზე.

## „ჩვენ ყველანი სრულიად ახალ თამაშს ვიწყებთ!“

საერთაშორისო კონფერენციებზე ერთ ქალაქში ყოფნისას შეერთებული შტატების და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა ტრადიციად იქცა. ოთხი კვირის შემდეგ, მას აქეთ, რაც შევარდნაძემ შეცვალა გრომიკო, ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრები შეიკრიბნენ ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის კონფერენციის მონაწილეების მიერ ჰელსინკში ხელმოწერილი შეთანხმების ათი წლისთავის აღსანიშნავად. გვეგონა, შეკრებას გრომიკო დაესწრებოდა. აღმოჩნდა, რომ ეს შეხვედრა შევარდნაძის დებიუტად იქცა მსოფლიო პოლიტიკურ სარბიელზე.

სახელმწიფო მდივნის ჯორჯ შულცის და ახალი საბჭოთა საგარეო მინისტრის ეს შეხვედრა, რომელიც პირველი იყო და რომელსაც მე ვესწრებოდი, როგორც ეროვნული უშიშროების საბჭოს წარმომადგენელი, ღირშესანიშნავი გამოდგა. მაგიდასთან მსხდომთა უმეტესობას — ამერიკელებს (წესისამებრ, მინისტრები იხდნენ ცენტრში, გრძელი მაგიდის ორივე მხარეს, თავ-თავიანთი გუნდით პირისპირ), საათები გაგვეტარებინა გრომიკოსთან უსასრულო მოლაპარაკებებში (ერთ-ერთი ასეთი მარათონული სესია ჟენევაში ექვს საათს გაგრძელდა შეუსვენებლად) და ეს აშშ-საბჭოთა მოლაპარაკებების ნორმად იქცა.

ჩვენ სასიამოვნო სიურპრიზი გველოდა. თეთრთმიანი, მხიარული კაცი, სახეზე მზადყოფნის და გამარჯვების ღიმილით, ოთახში შემოვიდა, ამერიკელებს ხელი ჩამოგვართვა და შეხვედრა იმით დაიწყო, რომ თავის თანაშემწეებს რუსულად, აქცენტით მიმართა: „მე ამ საქმეში ახალი ვარ. დარწმუნებული იყავით, რომ თუ შემეშლება — შემისწორეთ“. თქვა და სიცილით საქმეს შეუდგა.

ამ შეხვედრაზე არც ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა არ გადაჭრილა. მაგრამ პირველი შემთხვევა იყო, როდესაც დღის წესრიგით გათვალისწინებულ ყველა საკითხზე ვისაუბრეთ. შევარდნაძემ თავისი პოზიცია მოკლედ წარმოგვიდგინა. იმ შემთხვევაში, როდესაც შულცი მას არ ეთანხმებოდა (და მეტწილად ასე ხდებოდა), იგი უბრალოდ ამბობდა: „კარგით, იფიქრეთ ამის შესახებ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს კარგი აზრია, შესაძლოა, თქვენ უკეთესი წინადადება წარმოგვიდგინოთ“. შემდეგ იგი სხვა საკითხებზე გადადიოდა და როდესაც შულცი მისთვის მიუღებელ წინადადებას აყენებდა, იგი პასუხობდა რაღაცა ამის მსგავსს: „ჩვენ ამ საკითხზე განსხვავებული აზრი გვაქვს, მაგრამ ვინაიდან საჭიროა ამ პრობლემის გადაჭრა, თქვენ იფიქრეთ იმაზე, რაც მე ვთქვი, ჩვენ ვიფიქრებთ თქვენს ნათქვამზე. შესაძლოა შემდეგ შეხვედრაზე დავახლოვდეთ“.

არ ყოფილა არავითარი ისტერია, გრძელი ლექციები, ურთიერთბრალდებები. მართალია, საბჭოთა პოლიტიკის არსი ჯერ არ იყო შეცვლილი, მაგრამ მისი წარმოდგენა სრულიად განსხვავებული იყო. გრომიკოსაგან განსხვავებით, რომელიც ისე ლაპარაკობდა, თითქოსდა, ათასკაციან აუდიტორიას მიმართავდა, ნაცვლად იმისა, რომ ორატორიაში გადავარდნილიყო, შევარდნაძე ხმადაბლა ლაპარაკობდა. საჭირო იყო დაძაბვა, რომ არ გამოგვრჩენოდა არც ერთი მისი სიტყვა თუ ფრაზა. შეხვედრის დამთავრების შემდეგ იგი მიუბრუნდა თავისი აპარატის თანამშრომლებს და ჰკითხა: „აბა, ბიჭებო, როგორ გავართვი თავი? რამდენი შეცდომა დაითვალეთ?“ სანამ ისინი მის დამშვიდებას მოასწრებდნენ, მან გაიცინა და თქვა: „მოიცადეთ, ჯერ ოთახიდან გავიდეთ და მერე მითხარით“. ყველას ხელი ჩამოგვართვა და გავიდა.

„ნუთუ ეს საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრია?!“ შესძახა ერთ-ერთმა მონაწილემ ამერიკის მხრიდან, როდესაც შევარდნაძე გავიდა. „ჩვენ ყველანი სრულიად ახალ თამაშს ვიწყებთ!“ და ასეც იყო.

პუბლიკაცია მოამზადა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა
**ნანა ავალიანმა.**

(დასასრული „სრ“ საკვირაო გამოშვებაში).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 54-56, 58.

---

თავანკარა ქართული

# სახელმწიფო ენა და ენობრივი პოლიტიკა

### 3. მდინარე სათავიდან უნდა დაიწმინდოს.

წერილის დასაწყისშივე განცხადებული კონკრეტული მიზანდასახულების მიუხედავად, მაინც გაგვიყოლია ენის სიწმინდეზე საუბარმა. დავუბრუნდეთ ძირითად სათქმელს. ყველამ ვისწავლეთ ძველი სიბრძნე: „...თუ საძირკველი დანგრეულია, მაშინ კედლების ამშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია“. როგორც ზემოთ აღინიშნა, სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვა სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ერთ-ერთი უბანია და არა ერთადერთი. ამავე დროს, ენის სიწმინდის დონის „სადიაგნოსტიკო სინჯები“ ენის მდინარების წყალუხვ მორევშია აღებული და ხშირად არ ითვალისწინებს ამ სიმდერივეთა „წყაროებს“ — სათავეებსა და შენაკადებს. პრობლემის მოგვარების გზები კი სწორედ ამ სათავეებშია საძიებელი. იგავური საუბრიდან რეალურზე რომ გადავიდეთ, სათავეებზე მითითება გულისხმობს სახელმწიფო ენის წინაშე მდგარი პრობლემების არა ფრაგმენტულად (ცალკე მეტყველების სიწმინდე, ცალკე — რეკლამები, ცალკე — სწავლება...), არამედ გლობალურად წარმოსახვას, ანუ სახელმწიფო ენის შესახებ ერთიანი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ჩამოყალიბებას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები ისახება: შექმნილია საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისია. აქვე უნდა განიმარტოს, რომ ეს არ არის ოდენ განახლება ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიისა, რომელიც ხუთ ათეულ წელს არსებობდა მინისტრთა საბჭოსთან. თვით სახელწოდებები წარმოაჩენს მათ განსხვავებასაც და იმ პრობლემათა ურთიერთმიმართებასაც, რაზეც ზემოთ ვმსჯელობდით. სულ ახლახან პრეზიდენტის გადაწყვეტილებით შეიქმნა ენის სახელმწიფო პალატა, როგორც სპეციალური სამთავრობო სტრუქტურა, რომელიც უმთავრესად მაკონტროლებელ ფუნქციებს ითავსებს. ამ სტრუქტურისადმი პრეზიდენტის მხარდაჭერა სწორედ სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების გამოხატულებაა. უკვე აღინიშნა, რომ საქართველოს პარლამენტში არსებობს სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტი (ოღონდ იბადება კითხვა, რისი ქვეკომიტეტი?). მაგრამ ვერცერთი ამ და სხვა ორგანიზაციის საქმე წარმატებით ვერ წარიმართება, თუ არ შეიქმნა სათანადო საკანონმდებლო ბაზისი.

როგორც ითქვა, ენობრივი სახელმწიფოებრივი პოლიტიკისთვის მყარი ფუნდამენტი არსებობს შესაბამისი კონსტიტუციური მუხლის სახით. ოღონდ თვით ეს მუხლი თავის მაღალ დანიშნულებას ვერ შეასრულებს, თუ არ მოხდა მისი შესაფერისი საკანონმდებლო განმარტება (ამ სიტყვის ახლანდელი და აგრეთვე, ძველი მნიშვნელობით, რაც „გამლას“ ნიშნავს). ჩვენი ყოველმხრივ შეჭირვებული მოქალაქე საკუთარ ტყავზე გრძნობს, რას ნიშნავს კონსტიტუციას ჩამორჩენილი საკანონმდებლო ვაკუუმი, ამიტომაც კონკრეტული საკონსტიტუციო სტატიების საკანონმდებლო უზრუნველყოფის საჭიროებაზე საუბარი ზედმეტად გვეჩვენება. თუმცა, უნდა ითქვას, რომ დღეს „ენის კანონის“ მიღებას მოწინააღმდეგეებიც (სკეპტიკოსებიც) ჰყავს. ისინი თითქოს ალტერნატიული ღონისძიებების შესაძლებლობასაც ხედავენ. არა გვგონია, ასე საგრძნობი საკანონმდებლო სიცარიელე რაიმე სხვა ძალისხმევამ შეავსოს. არცერთი ქვეყნის გამოცდილების ბრმად გადმოღება არ ვარგა, მაგრამ შესწავლა და გაზიარება კი ზედმეტი არასდროს ყოფილა. ბალტიისპირეთის რესპუბლიკები საბჭოთა ეპოქაში მშობლიურ ენაზე ზრუნვის თვალსაზრისით ჩვენზე წინ ნამდვილად არ ყოფილან, მაგრამ 80-იანი წლების დასასრულს, როცა რეალურად (და რეალისტურად) დაიწყეს დამოუკიდებლობაზე ფიქრი, ერთ-ერთი უპირველესი სახელმწიფოებრივი ღონისძიება ენის შესახებ კანონპროექტების შემუშავება იყო (თუ ვინმე დაინტერესდება, შეგვიძლია გავაცნოთ). ჩვენთან კი მესამე პარლამენტი მე-

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ №58-59.

მაობს, რაც ამ კანონპროექტის მომზადებაზეა საუბარი და შედეგი [illegible] რაც არ ჩანს, სამაგიეროდ, უკანონობის შედეგებზე საუბარი შეიძლება დაუსრულებლად.

ახლა რამდენიმე სიტყვა ზოგი[illegible] სფეროს შესახებ, რომელ[illegible] უპირველესად უნდა მოიცავს სახელმწიფოებრივმა ენობრივმა პოლიტიკამ და ენის კანონმდებლობამ (განათლების, მეცნიერების, პრესის და სხვა კანონებთან ერთად).

ზემოთ რომ სახელმწიფო ენის არსებობის სათავეებზე იყო საუბარი, ბუნებრივი იქნებოდა, თუ მასში უპირველესად ეროვნულ სკოლას, განათლების სისტემას გავიაზრებდით. თითქმის ამაოა იმაზე ფიქრი, რომ ენის სიწმინდის ქადაგებით რაიმე გაელენან მოეახდენთ ქუჩაზე, ბაზარზე, თუნდაც, საზოგადოების უკვე ჩამოყალიბებულ ინტელექტუალურ ნაწილზე. ამგვარი ღონისძიებების ადრესატად ძირითადად მოსწავლე-ახალგაზრდობა უნდა ვიგულოთ. ამაშია მემკვიდრეობითობის ლოგიკაც. აუცილებელია იმის აღიარება, რომ ყოფილი განათლების სისტემა ბოლომდე დაინგრა და რაც უფრო მეტხანს ვიქნებით მისი ვითომ არსებობის ილუზიებით, მით უარესი. ახლა უაღრესად აქტუალურია ამ სფეროს რეფორმა. რას უნდა დაეფუძნოს ეროვნული სკოლის რეფორმა, თუ არა სახელმწიფო ენის სწავლების საკითხსა და, საზოგადოდ, მისი როლის გარკვევას აღზრდის სისტემაში? არა პროფილაქტიკურ, არამედ ფუნდამენტურ ცვლილებებს მოითხოვს ქართული ენის სწავლების ის სახელმწიფო სტანდარტი, ის პროგრამები, ფორმები და მეთოდები, რომლითაც დღემდე ხელმძღვანელობდა სკოლა. ამ მხრივ უამრავი პრობლემაა დაგროვილი და სპეციალური დისკუსია სარგებლობის მეტს არაფერს მოიტანდა, ხოლო შესაბამისი ზოგადი დასკვნები ენისა და განათლების კანონებში ჰპოვებდა გამოძახილს.

დღეს განათლების სისტემის სახელმწიფო დაწესებულებებს გვერდში ამოუდგა თავისუფალი სასწავლებლები სხვადასხვა რანგისა, შინაარსისა და ფორმისა. სხვა საგნებისა რა მოგახსენოთ და, უმეტეს მათგანში სახელმწიფო ენას რომ შესაფერისი ადგილი არ უკავია არც მისაღები და გამოსაშვები გამოცდებისას, არც სწავლების პროცესში, ეს უდავოა. ვფიქრობთ, სწორედ სახელმწიფოებრივ-საკანონმდებლო ვალდებულებად უნდა იქცეს ქართული ენის ცოდნის დონის შემოწმება ყველა სახის უმაღლეს სასწავლებელში მისვლისას. ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს ამავე სასწავლებლების კონკურენცია უცხო ენების უპირატესი შესწავლის რეკლამებით. რის ხარჯზე ხდება დაწყებითი კლასებიდანვე ორი და სამი უცხო ენის გაძლიერებული სწავლება? ვეტყვიან, მშობლის ჯიბის ხარჯზეო. არა, ქართული ენის ხარჯზე და, განუყოფლად, აღსაზრდელთა ცნობიერების დეგრადაციის ხარჯზე! საგანმანათლებლო „ბაზარზე“ მშობლიური უცხოურზე ათჯერ ნაკლები „ღირს“. პირდაპირ უნდა ითქვას, დღეს ჩვენში შეჯიბრია „გასაქცევი კონტინენტის“ მიზიდვა-მომზადებაში, „დასატოვებელ კადრებს“ არავინ ამზადებს. სხვისი არ ვიცი და მე არ შემხვედრია რეკლამა, მობრძანდით, მშობლიურ ენასა და ლიტერატურას გაძლიერებულად გასწავლითო. ეროვნული დისციპლინები და დარგები კადრების დეფიციტს განიცდის, ხოლო რასაც უცხოური, ევროპული (თუნდაც აზიური) და საერთაშორისო დაერქვა, ერთი წუთებაა. ხომ არ დაგვერქვა ქართულისთვისაც უცხო ან საერთაშორისო?!

მწარე იუმორი იქით იყოს და ეს პრობლემა მართლაც სერიოზულ სახე-

ლმწიფო[illegible] მიდ[illegible]მას [illegible] საზოგადოდ, კი არ შემცირებულა, [illegible]ამაფრდა უცხო ენის ექსპანსიის პრობლემა. ინფორმაციულ-ტექნიკური ბუმის ეპოქაში ეს ყოფნა-არყოფნის პრობლემა [illegible] ერებისთვის. რუსულმა ენამ საბჭოური 70 [illegible] განმავლობაში [illegible] აკლო ქართულს, რამდენიც ინგლისურმა ბოლო ოთხ-ხუთ წელიწადში. აქ გადამწყვეტ როლს ისევ ფსიქოლოგიური, განწყობის ფაქტორი თამაშობს. დამპყრობი ენის მიმართ იმუნიტეტი, ანუ „ანტისხეულები“ გამომუშავებული გვქონდა, ხოლო ინგლისურს დაუკავშირდა, ერთი მხრივ, თავისუფლების ოცნება, მეორე მხრივ კი — დამთრგუნველი განცდა, ერთგვარი მასობრივი არასრულფასოვნების კომპლექსი, როდესაც ერთბაშად იხუვლა აქამდე ხელოვნურად შეგუბებულმა მასკულტურის ზღვამ და თითქოს „გადათელა“ ქართული კულტურის ჭეშმარიტი, მაგრამ რაოდენობრივად უკიდურესად „დაჩაგრული“ ნიმუშები... ახალი სინამდვილის დამკვიდრებას მოსდევს არსებითად უმართავი შემოჭრა უცხო სიტყვათა, ტერმინთა ახალ-ახალი ნაკადისა და აღარ ხერხდება მისთვის დახვედრება მშობლიური ენის „ფილტრისა“, რაც, ტრადიციისდაკვალად (გავიხსენოთ თუნდაც ვუკ. ბერიძის მოღვაწეობა), ქართული ადეკვატების ძიებას გულისხმობს. ამიტომაც ჩვენს თვალწინ ივსება თანამედროვე აქტიურ სიტყვათა მარაგი უცხოურის სრული უპირატესობით (მენეჯმენტი, მარკეტინგი, ჯირო, აუდიტი, ბაიპეკი, სტენდბაი, ტენდერი, ბაილი, მულტიმედია, ჯოისტიკი, მეშიონი, ტრასტი, ინტერვერტი, მასმედია...). „ბაბილონის გოდოლად“ მონათლული ცენტრალური თბილისის ხარეკლამო სურათი ყოველივე ამის მხოლოდ გარეგანი გამოხატულებაა.

წარმოდგენილ პრობლემათა თვალსაზრისით, განსაკუთრებით საგანგაშოა ქართული წიგნის ბედი. ენის ჭეშმარიტი სიცოცხლე წიგნსა და წიგნიერებაშია. სახელმწიფო ენის ფუნქციონირების მიმართ თუ სადმე ფუნდამენტური სახელმწიფოებრივი პოლიტიკის აუცილებლობა მძაფრად იგრძნობა, ეს ქართული წიგნია, ანუ ქართული მწერლობა, ქართული ენისა და ლიტერატურის კვლევის სფეროები და მათ სამსახურში მდგომი (ალარმდგომი) საგამომცემლო დაწესებულებები. თუ წიგნი არ იქნა, ქართული ენის სიწმინდეზე კი არა, მის ბედზე საუბარი გახდება საჭირო, სანატრელი შეგვექმნება „კილო მუაბაზრისა“. დღეს სახელმწიფო ენის რეალურ ხვედრს სიმბოლურად, მაგრამ ზედმიწევნით გამოხატავს საკუთარი სახლიდან (წიგნის მაღაზიიდან) ქუჩაში გამოგდებული ქართული წიგნი, ქართველი კლასიკოსი. გაუგებარია, რატომ არ ჩაითვალა წიგნის მაღაზიები კულტურის ობიექტებად და რატომ აღმოჩნდა შესაძლებელი მათი შელახვა? ანდა რატომ აღმოჩნდა შესაძლებელი გამომცემლობებისა და პოლიგრაფიული ბაზის ქართული სიტყვისა და მწერლობის არადჩამედებთა ხელში ჩაგდება, რომელთა „მზრუნველობის“ სფეროში აღმოჩნდა ათასი ჯურის სექტანტურად გონისამრევი ჭრელაჭრულა გამოცემები, ქართველი მწერლის ადგილი კი არ მოიძებნა! ან რა ზნეობის კომერსანტ-ბიზნესმენები იკავებენ თანამდებობრივ სავარძლებს, უმეცენატოდ დარჩენილი ქართული კულტურისაკენ გახედვაც რომ არ უნდათ?! განა შეიძლება სახელმწიფო მოღვაწის ასპარეზი მიეცეს იმ პირს, რომელიც ქართული კლასიკის გამოსაცემ სესხზეც კი უარს ამბობს?!

ქართულ მწერლობასთან ერთად, ვფიქრობთ, სახელმწიფოებრივი ენობრივი პოლიტიკა ასევე მოითხოვს კვლევითი პრიორიტეტების გამოკ-

ვეთის ამ ეროვნული ღირ
სახით, რომლებიც ქართ
[illegible]
არავინ მიუხედავს. ამ
საზრისით მეც[illegible]
[illegible]
ბიც შესაძლებელს გახდ
წეულის შენარჩუნებას მ
არა თხზვა იმ ყაიდის
ციებისა, რომლებიც უ
მყოფისათვის ხელ
უდრის). ერთი სიტყვით,
ნდელი ვითარება ამ ს
უკიდურესად არასახარ
არსობის პერმოკლებუ
ლისა თუ მეცნიერის თ
რვით კვლავ იქმნება ს
მაგრამ მისი ბედი არა
ხებს. არაერთი განხორ
ლი აზრი უცდის დღეს
ნათლეს. ამგვარი „პრო
„კონკურენტუნარიანობ
ერთ ნორმალურ ქვეყან
მსჯელობენ; „ტენების
ბაზე“ კი განვითარებად
ნებიც განგამს ტეხენ...
თუ არა მიზანმიმართ
ხელმწიფოებრივი პოლ
სხვა გამოსავალი არა
ამ და სხვა მომიჯნავე
ბლემებზე საუბრის უფრო
გამლაც შეიძლება, უფრ
რმაცებაც, დეტალიზებაც
მატიზებაც (უფრო სწორ
ალური სურათის უფრო
წევნით წარმოსახვა, ვ
რეალურზე უფრო დრამ
წარმოდგენაც ძნელია).
არსებითი სათქმელი
ხელმწიფო ენის ფუნქციონ
ბის სფეროში მართლაც
მწიფოებრივი პოლიტიკ
და განხორციელება პრო
უფრო მასშტაბურ, ყოვ
მცველ დანახვას მოით
არა ტრადიციული, კრ
ღონისძიებების გზით ს
რომელთაც, უკეთეს შემ
პროფილაქტიკური დ
ბის შესრულება თუ მ
წერილი უნდა დავასრ
სულხან-საბას სიბრძნის
ბოლო იგავით:
იხვი და მყვარი ერთმა
ვესთვის სასიცოცხლოდ ა
ბელმა, წყლის გუბემ დ
შემდეგ მოვლენები ასე გ
რდა:
რა მზე გაცხარდა და
ლმან სიცხე მოუმატა, წ
კლება შექმნა. იხვმან
მყვარს: მოდი, ადგილი
ლოთო!
მყვარმან უთხრა: შენ
თრევას ჩვეულხარ, მე ს
დროს ვერ დავუტევებ!
იხვი გაფრინდა, სადაც
წყალი იყო, იქ მივიდა.
მყვარმან სამკვიდრო ა
უშვა.
ცოტა ხანს უკან იხვმან
წავალ, ჩემს ძმობილს ენ
სა იქმსო?
მოვიდა, ნახა: გუბე გ
ყო, მყვარი მომკვდარიყ
ძმობილო, მაგისთანა სამ
სიყვარულს ჩემეული სი
სჯობნებიაო!
ამ იგავის ქვეტექსტს ა
ქებს ის, რომ რუქას ბუნ
ემართება, მისი მხილებ
ტექსტით იკითხება. მაგრ
ჯერად იგავი სხვა მხრივ
ნტერესებს — წყლის ფუნ
აზრების თვალსაზრისით.
ვარმა საარსებო წყლის
ჩუნება ვერ შეძლო, მაშინ
იქ მეთრევი“ იხვის ნიშნ
საფუძვლიანი იქნება.
ყოველ შემთხვევაში, იხვ
ლისაგან ხელს დაიბანს.

**ავთანდილ არაბუ**

---

ფორს-მაჟორი?

# ინციდენტი ზღვაში

როგორც ვიუწყებოდით, „მიმდინარე წლის 12 მარტს რუსი მესაზღვრეების მოქმედება ოთხი თურქული თევზსაჭერი სეინერის იძულებით გაყვანისა და ერთი თევზსაჭერი გემის დაკავების დროს (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შავი ზღვის სანაპირო, სარფის დასახლებული პუნქტის მახლობლად) არ იყო შეთანხმებული საქართველოს სასაზღვრო ჯარების სარდლობასთან“, — ეს განაცხადა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სასაზღვრო ჯარების სარდალმა გენერალ-მაიორმა ვალერი ჩხეიძემ. ჟურნალისტებთან საუბრის დროს მან აღნიშნა, რომ „საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი რუსეთის სასაზღვრო ჯარების სტატუსისა და ფუნქციონირების პირობების შესახებ“ რუსეთ-საქართველოს შეთანხმების მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად (ამ შეთანხმებას ხელი მოაწერეს 1994 წლის 3 თებერვალს), რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ჯარებმა საქართველოს სასაზღვრო ჯარების სარდლობას უნდა შეუთანხმონ თავიანთი მოქმედება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის დაცვისათვის.

გენერალმა ჩხეიძემ განაცხადა, რომ უკანასკნელი თვეების მანძილზე ეს რუსი მესაზღვრეების მიერ შეთანხმების ზემოაღნიშნული პუნქტის დარღვევის პირველი შემთხვევა როდია, რაც საქართველოს მხარის გაოცებასა და პროტესტს იწვევს.

ვალერი ჩხეიძემ ისიც აღნიშნა, რომ საქართველოს სასაზღვრო ჯარების სარდლობას თურქეთის 4 სამართალდამრღვევი სეინერის იძულებით გაყვანისა და ერთი თურქული თევზსაჭერის დაკავების ფაქტი მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ შეატყობინეს. მან დაწვრილებით ილაპარაკა რუსი მესაზღვრეების მოქმედებაზე: 12 მარტის დილის 8 საათსა და 10 წუთზე ბათუმში დისლოცირებულმა რუს მესაზღვრეთა ტექნიკური მეთვალყურეობის საგუშაგომ დააფიქსირა თურქეთის 5 გემის შემოსვლა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში, 8 საათსა და 40 წუთზე გაიმართა შეხვედრა თურქეთის რესპუბლიკის სასაზღვრო კომისრის მოადგილესთან, რომელზეც თურქეთის მხარემ გამოთქვა წერილობითი თანხმობა დამრღვევი გემების დაკავებაზე, 8 საათსა და 45 წუთზე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დამრღვევთა დასაკავებლად ზღვაში გავიდნენ რუსეთის სასაზღვრო საგუშაგო ხომალდი და სასაზღვრო კატარღა, 9 საათსა და 25 წუთზე ისინი მივიდნენ საზღვრის დარღვევის რაიონში. ოთხმა თურქულმა გემმა მაშინვე დატოვა საქართველოს ტერიტორიული წყლები. სეინერმა „ერგიუმ კარდისლერმა“ არ შეასრულა სასაზღვრო კატარღის მოთხოვნა და დაიწყო სახიფათო მანევრირება მაშინ, როცა რუსეთის მხარე შეეცადა გადაესხა გემზე შემმოწმე-

ბელი ჯგუფი. 9 საათსა და
წუთზე რუსეთის კატარღამ
ერში გამაფრთხილებელი ცეც
გახსნა დამრღვევი გემის მ
რების მიზნით, მაგრამ თურ
სეინერს არც ეს მოთხოვნა
უსრულებია, იგი განაგრძობ
სვლას. 9 საათსა და 45 წუ
რუსეთის სასაზღვრო კატარ
დამიზნებითი ცეცხლი გახსნა,
მრღვევი-გემი დაკავებული
9 საათსა და 55 წუთზე თურ
თის გემზე გადასხეს შემმო
ბელი ჯგუფი, რომელზეც აღ
აჩინეს დაჭრილი თურქი მ
ღური. იგი რამდენიმე წუთის
მდეგ გარდაიცვალა. გემი,
მელზეც იმყოფებოდა ეკიპ
24 წევრი, ბადრაგის თანხლ
ჩაიყვანეს ბათუმში. 11 საა
და 30 წუთზე თურქეთის სა
ზღვრო კომისრის მოადგილე
მოუგზავნა წერილი, რომელ
იგი ოფიციალურად აღიარე
თურქეთის გემების მიერ ს
ზღვრის დარღვევის ფაქტს, 12 ს
ათისა და 45 წუთზე კი რუსმა
საზღვრეებმა მომხდარი ამბ
შეატყობინეს საქართველოს ჯ
რების სარდლობას.

საქინფორმ

საქართველოს რესპუბლიკა
№60. შაბათი, 15 მარტი, 1997 წელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## როგორც ამტკიცებენ...

რადიო „გერმანიის ტალღა“: გერმანიის პრესა ფართოდ გამოხმაურებია პრეზიდენტ ელცინის გამოსვლას რუსეთის პარლამენტში. გაზეთი „ველტი“, კერძოდ, წერს: „შეიძლებოდა გეფიქრა, რომ ტრიბუნაზე დგას შეურიგებელი ოპოზიციონერი, – ერთი იმათგანი, ვინც, ნამდვილი და ურიცხვი დროშებით გამოდის. სახელმწიფოს მეთაური, რომელიც კონსტიტუციით ისეთი ფართო რწმუნებებით არის აღჭურვილი, მეფეებსაც რომ არ ჰქონიათ, ცდილობს ყველაფერი დააბრალოს მთავრობას და ამასთან ავიწყდება, რომ ეს მთავრობა სწორედ მისი ჩამოყალიბებულია.

გაზეთი „ვაშინგტონ ტაიმსი“: ბორის ელცინი კვლავ ჩაება ბრძოლაში და არცა ფიქრობს, შეძლებს თუ ვერა გაიაროს დისტანცია. სამწუხაროდ, მისი გამოჩენა კრემლში მხოლოდ სულ ოდნავ დააცხრობს პრეზიდენტის ავადმყოფობის დროს გაჩაღებულ კულისმიღმა ბრძოლის სიმძაფრეს. ამიტომ სულ ცოტა ხნის შემდეგ ის საკითხი, თუ ვინ მართავს რუსეთს, კვლავ გადმოვა წინა პლანზე.

რადიო „ბი-ბი-სი“: ჩუბაისსა და ჩერნომირდინს, რომლებსაც აქამდე იშვიათად ხედავდნენ ერთად, ახლა მოუწევთ გააერთიანონ ძალისხმევა, რათა სახელმწიფოს ხომალდი მშვიდობიანად გაატარონ მზორგავ წყლებში. ეს „სანავიგაციო ძალისხმევა“ უმთავრესად გამოიხატება იმასთან ბრძოლით, რასაც ელცინმა უწოდა რუსეთის ძირითადი პრობლემა – ეს არის სახელმწიფო სახსრების გამოყენება პირადი ან ჯგუფური ინტერესებისათვის.

რადიო „თავისუფლება“: ამერიკელი ექსპერტები ჩუბაისის დანიშვნას მიიჩნევენ დამაიმედებელ ნაბიჯად, თუმცა ბევრი მათგანი თვლის, რომ არ უნდა გამოიჩინონ მეტისმეტად ოპტიმიზმი, თითქოს ჩუბაისის მთავრობაში დადგომის შემდეგ ეკონომიკური რეფორმები რუსეთში მალე დაწინაურდება.

## რუსეთ-ნატოს ხელშეკრულება დაიდება

როგორც როიტერის სააგენტო იუწყება, რუსეთი და ნატო ახლოს არიან შეთანხმების დადებასთან, რომლითაც მოსკოვი ცნობს ნატოს შეზღუდულ გაფართოებას აღმოსავლეთით. ძირითადი სადავო პუნქტი ალიანსის ახალი წევრების ტერიტორიებზე ნატოს სამხედრო ბაზების შექმნის აკრძალვის შესახებ უკვე მოიხსნა. დასავლელი დიპლომატები ამტკიცებენ, რომ მოსკოვი შეურიგდა ნატოს გაფართოების იდეას, ოღონდ ახლა ცდილობს უფრო სარფიანი მორიგება დადოს. მას შემდეგ, რაც ნატოს გენერალური მდივანი ხავიერ სოლანა მოსკოვიდან შუა აზიის რესპუბლიკებში გაემგზავრა, მოსკოვში დარჩა მისი თანაშემწე გებჰარტ ფონ მოდტკე, რომელიც განაგრძობს მოლაპარაკებას რუსეთისა და ნატოს მომავალი ხელშეკრულების შესახებ.

## იფურჩქნება პირადი უსაფრთხოების ბიზნესი

რუსეთში ოფიციალურად არის გატარებული რეგისტრაციაში 9800 კერძო ფირმა, რომლებიც მსურველებს დაცვის მომსახურებას უწევენ. ამ ფირმებში 155000 კაცი მუშაობს. რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, აღნიშნული ფირმების ყოველი მესამე მუშაკი სახელმწიფო სამართალდამცავი ორგანოებისა და განსაკუთრებული დანიშნულების ქვეგანაყოფების ყოფილი თანამშრომელია. სამინისტრო შეშფოთებულია იმით, რომ უსაფრთხოების კერძო სამსახურებს ხშირად იყენებენ დანაშაულებრივი ორგანიზაციების შესანიღბად. 1996 წელს შემოწმებული 5 000 დაცვის ფირმისაგან ყოველი მეათე დამნაშავეთა სამყაროსთან იყო დაკავშირებული. 3000-ზე მეტ უსაფრთხოების აგენტს ლიცენზია არ ჰქონდა. ინსპექტორებმა აღმოაჩინეს, აგრეთვე 1700 რეგისტრაციაში გაუტარებელი ფირმა.

## თითქოს გზას აღმოდებულმა მეტეორმა გადაუფრინაო

სამი კაცი დაიღუპა და სამოცი დაშავდა ინგლისის მ-42 გზატკეცილზე მომხდარ შემზარავი მასშტაბის „ჯაჭვურ“ საავტომობილო ავარიაში. ტრასის ორივე მხარეს ასობით მეტრზე გადაჭიმული ორი საშინელი „გარმონის“ მიზეზი გახდა სქელი ნისლი. ასობით დამწვარი მანქანის ქვეშ ასფალტის საფარი ისე გალღვა, რომ ცალკეული მონაკვეთები ხელახლა დასაგები შეიქმნა.





## პრეზიდენტის საქმეთა მმართველი იმუქრება

პაველ ბოროდინმა, პრეზიდენტის ბიზნეს-მენეჯერმა გამართა საგანგებო პრესკონფერენცია, რომლის დროსაც განაცხადა, რომ თუ ამჟამად კაბინეტში მიმდინარე „წმენდის“ შედეგად იგი თავის სამუშაოს დაჰკარგავს, იძულებული გახდება პოლიტიკაში გადავიდეს. ბოროდინი ამაყობს იმით, რომ მას შემდეგ, რაც 1993 წელს დადგა ამ პოსტზე, კრემლის კონტროლსდაქვემდებარებული საკუთრება 10-ჯერ გაიზარდა. მისი 350-კაციანი აპარატი ხელმძღვანელობს 200 კომპანიას, რომლებშიც მრავალი ათასი კაცია დასაქმებული და რომლებიც პატრონობენ 300 შენობას მოსკოვში, სამედიცინო დაწესებულებებს სოჭსა და ჩრდილოეთ კავკასიაში და ავიაკომპანია „რუსეთს“. მისი კაბინეტი ეწევა პარლამენტის, მთავრობის და რეგიონების ფედერალური სამსახურების დაფინანსებას. ბოროდინმა გააკრიტიკა პრეზიდენტის ყოველწლიური მიმართვა პარლამენტისადმი იმის გამო, რომ მან არ მოუწონა 1,4 მილიარდი დოლარი ღირებულების ახალი ცენტრის მშენებლობის გეგმა პარლამენტის განთავსებისა და დეპუტატებისათვის საცხოვრებელი ბინების მიცემის შესახებ. მან, აგრეთვე თქვა, რომ ელცინის ოჯახი ცხოვრობს ბინაში, რომლის ფართობი 167 კვადრატულ მეტრს შეადგენს.

იაპონიის საკურორტო ქალაქ იტოში მიმდინარეობს სინტოისტური ღმერთისათვის შესაწირავის (ბრინჯისა და არყის) მირთმევის ცერემონია. ხალხი ღმერთს შესთხოვს, იხსნას მიწისძვრებისაგან. მარტო ერთ კვირაში მარტის დასაწყისიდან ამ ტერიტორიაზე 8.700 მიწისძვრა ბიძგი მოხდა.



## არ უნდათ რუსი მშვიდობისმყოფლები

უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ და მოლდავეთის პრეზიდენტმა პეტრე ლუჩინსკიმ ხელი მოაწერეს შეთანხმებებს, რომლებიც ითვალისწინებენ ორ ქვეყანას შორის საბაჟო კავშირის შექმნას. პრეზიდენტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მათი საბაჟო კავშირი ძირეულად განსხვავდება რუსეთისა და ბელორუსიის ასეთივე კავშირისაგან, ვინაიდან იგი დაემყარება სრული თანასწორობის პრინციპებს. კუჩმამ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას განაცხადა, რომ უკრაინას განზრახული აქვს დააჩქაროს თავისი სამუამავლო ძალისხმევა მოლაპარაკებაზე კიშინიოვსა და ტირასპოლს შორის. უკრაინა „უაღრესად დაინტერესებულია რუსეთის ჯარების გაყვანით დნესტრისპირეთიდან“ და კიევი იმუშავებს უკრაინის ტერიტორიის გავლით რუსეთის ჯარების ტრანზიტული გაყვანის საკითხის „ორმხრივ მისაღები გადაწყვეტისათვის“. თუმცა, რუსეთმა ტრანზიტის ფული უნდა გადაიხადოს, უკრაინა არ დაეძებს სარგებელს, თქვა მან. როგორც უკრაინის თავდაცვისა და უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელმა ვლადიმერ გორბულინმა განაცხადა, კიშინიოვმა და ტირასპოლმა უკრაინას მიმართეს თხოვნით განალაგოს კონფლიქტის რეგიონში თავისი მშვიდობისმყოფელნი.

## შენიღბული არაყსადენი

ესტონელმა და ლატვიელმა საბაჟო ორგანოების წარმომადგენლებმა აღმოაჩინეს მიწისქვეშა მილსადენი, რომელიც განკუთვნილი იყო ორ ქვეყანას შორის არყის კონტრაბანდისათვის. 300-მეტრიანი არაყსადენი გადის რიგა-ტალინის გზის გასწვრივ ორ მოსაზღვრე სოფელს შორის. ესტონელმა ხელისუფლებმა მილსადენი იქამდე აღმოაჩინეს, სანამ იგი ამოქმედდებოდა. არყის ფასი ესტონეთში 60 პროცენტით მეტია, ვიდრე ლატვიაში, და სწორედ ამან განაპირობა არაყსადენის გაყვანა.

### დადგენილია ჟურნალისტის მკვლელობის გარემოებანი

ყაზახეთის დედაქალაქში დაკავებულმა, ამერიკელი ჟურნალისტის კრის გერინგის მკვლელებმა აღიარეს დანაშაული. მათ თქვეს, რომ მოიპარეს გერინგის გასაღები და მის ბინაში შევიდნენ ვალუტის საძებნელად. როდესაც ფული ვერ იპოვეს, გადაწყვიტეს გერინგის მოსვლას დალოდებოდნენ. მკვლელებმა აღიარეს, რომ დააბეს და აწამეს ჟურნალისტი, მერე კი ყელი გამოჭრეს. ამის შემდეგ წაიღეს ავტომოპასუხე ტელეფონი და კომპიუტერი. გერინგი ინტერნიუსზე მუშაობდა და ხელს უწყობდა შუა აზიის მასობრივი ინფორმაციის დამოუკიდებელ საშუალებათა განვითარებას.

### უმუშევრების შემწეობა უნდა შემცირდეს

ამჟამად რუსეთში უმუშევრების შემწეობის დავალიანება შეადგენს 1,2 ტრილიონ რუბლს (210 მილიონ დოლარს), და უმუშევრობის ფონდის გადახდისუნარიანობის შენარჩუნების მიზნით დაგეგმილია შემცირდეს ამ გადასახდელთა ოდენობა. ამჟამად უმუშევარი რუსეთის მოქალაქე იღებს თავისი უკანასკნელი ხელფასის ოდენობის 75 პროცენტ შემწეობას. მთავრობა ამზადებს ახალ კანონს, რომლის შესაბამისად შემწეობის ოდენობა იმ რეგიონის საარსებო მინიმუმის ტოლი იქნება, რომელშიც ცხოვრობს უმუშევარი.

### მინსკში დემონსტრანტებს აპატიმრებენ

5 ათასზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა საპროტესტო დემონსტრაციაში რუსეთ-ბელორუსიის ინტეგრაციის წინააღმდეგ. ეს პროტესტი დაემთხვა რუსეთის დელეგაციის ჩასვლას ქვეყნის დედაქალაქში. ხელისუფლებმა ქუჩაში გამოსვლის ნება დართეს მხოლოდ 40 კაცს, რომლებმაც პარლამენტის შენობის პიკეტირება განიზრახეს. უშიშროების ძალებმა დანარჩენებს მოუწოდეს დაშლილიყვნენ, მაგრამ, როდესაც დემონსტრანტებმა მათი მოთხოვნა არ შეასრულეს, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა ძალა იხმარეს. პროტესტის აქციის მონაწილეებს სცემეს, დაპატიმრებულია 100-ზე მეტი კაცი. დაკავებულთ ემუქრება ჯარიმა და ორი წლის პატიმრობა. ლუკაშენკოს მიერ დემონსტრაციების მოწყობაზე შემოღებული შეზღუდვების მიუხედავად, დემოკრატიულად და ნაციონალისტურად განწყობილ ოპოზიციას განზრახული აქვს დამატებითი მიტინგები გამართოს გაზაფხულზე. ბელორუსიის სახალხო ფრონტის ლიდერმა ვიაჩესლავ სიჩუკმა განაცხადა, რომ მიტინგი მოეწყობა 15 მარტს, 1994 წლის კონსტიტუციის მიღების წლისთავზე.



### ტირასპოლს არ სურს ეუთოსთან თანამშრომლობა

ტირასპოლის ხელისუფლებმა შეწყვიტეს თანამშრომლობა ეუთოს მუდმივ მისიასთან დნესტრისპირეთში. ვალერი ლიტკაიმ, რეგიონის „საგარეო საქმეთა მინისტრმა“ სააგენტოს აცნობა, რომ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მისიის ხელმძღვანელის ჯონსტონის მოხსენების შემდეგ, რომელიც მან ეუთოს საბჭოს გადასცა. დნესტრისპირელები არ ცნობენ კრიტიკას, რომელსაც ეს მოხსენება შეიცავს.

### ბულგარეთში სწრაფად იზრდება ინფლაცია

თებერვალში სამომხმარებლო საქონლის ფასები 242,7 პროცენტით გაიზარდა, იუწყებიან ბულგარული გაზეთები. ინფლაციის დონემ პირველ ორ თვეში შეადგინა თითქმის 393 პროცენტი მთელი წინა წლის 311 პროცენტთან შედარებით. იმპორტის ფასები კლებულობს, ვინაიდან ლევის პოზიცია მტკიცდება. პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ბოჟკომა განაცხადა, რომ ბულგარეთი არ აპირებს მისცეს რუსეთს თავის ტერიტორიაზე გაზსადენის მშენებლობის უფლება. მთავრობა აცხადებს, რომ წინანდელმა ხელისუფლებმა რუსეთისათვის ამგვარი უფლების მინიჭების გადაწყვეტილება ნაჩქარევად მიიღეს.

### სერბეთი პრესის ახალ კანონს მიიღებს

ინფორმაციის მინისტრმა რადმილა მილენტიევიჩმა წინადადება წამოაყენა, მიიღონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ახალი კანონი, რომლის თანახმად, კერძო მფლობელებს შეიძლება ეკუთვნოდეს არა უმეტეს მთელი ყოველდღიური გაზეთების 20 პროცენტისა, ხოლო კერძო სატელევიზიო და რადიოსადგურებს შეუძლიათ აწარმოონ ტრანსლაცია ქვეყნის მთელი მოსახლეობის მხოლოდ 25 პროცენტისათვის. სახელმწიფო რადიო და ტელევიზია, რომლებიც სერბეთის პრეზიდენტის სლობოდან მილოშევიჩის მკაცრი კონტროლის ქვეშ რჩება, განაგრძობენ გადაცემებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. მილენტიევიჩმა დაიცვა თავისი წინადადება და განაცხადა, რომ იგი ევროპულ სტანდარტებს შეესაბამება.

## ჩეჩნეთის შსს უარყოფს



ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ საველე მეთაურის ბასაევის შტაბბინის მახლობლად აფეთქება მოხდა მცირე რაოდენობის ასაფეთქებელი ნივთიერების შემთხვევითი აალების — და არა ბომბის სროლის — შედეგად. ჩეჩნეთში ცხოვრება თანდათან დგება კალაპოტში. კერძოდ, ჩეჩნეთის პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმა მოაწერა ხელი ორ ბრძანებულებას: პორნოგრაფიის გავრცელების და ახალგაზრდობის მორალური გარყვნის აღკვეთის მიზნით რესპუბლიკის ტერიტორიაზე დამოუკიდებელი ტელერადიო კომპანიების საქმიანობის შეჩერების შესახებ და ყველა ელექტრონული მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის სპეციალური ლიცენზიების შემოღების შესახებ.

## კარტოფილი შიდსის წამალი

სამხრეთაფრიკელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ „აფრიკული კარტოფილის“ სახელწოდებით ცნობილი მცენარის ექსტრაქტი ხელს უწყობს შიდსიან ავადმყოფთა იმუნური სისტემის განმტკიცებას, იუწყება ფრანს პრესი. ექსტრაქტი, რომელიც სახალხო მედიცინაში გამოიყენება, განამტკიცებს და აღადგენს კიდეც იმუნური სისტემის უჯრედებს, ეგრეთ წოდებულ „ტ-უჯრედებს“, რომელთა რიცხვი შიდსით დაავადების დროს ელვის სისწრაფით მცირდება. „აფრიკული კარტოფილის“ ექსტრაქტი უკვდავების წამალი არ არის, აღნიშნავენ მედიკოსები, მაგრამ იგი არც თანამდევ ეფექტებს იწვევს და ყველაზე ქმედითია ცნობილ მცენარეულ პრეპარატებს შორის. გარდა ამისა – ყველაზე იაფიც არის.

## „ვუმკურნალოთ თუ... ვაცოცხლოთ?“

### ექიმთა შეცდომების გამო გფრ-ში ყოველდღიურად იღუპება 68 კაცი

ასეთმა ციფრმა არ შეიძლება არ შეგაშინოს: პაციენტთა საყოველთაო კავშირს მიაჩნია, რომ ყოველწლიურად ექიმების შეცდომების მსხვერპლი ხდება სულ ცოტა 100 ათასი კაცი, ამასთან 25 ათასი სიცოცხლეს ეთხოვება. კელნელი ადვოკატის ბორის მაინიკეს თქმით, „არც ერთი საზოგადოებრივი ჯგუფის (მაფიის ჩათვლით) არ განაპირობებს ქვეყანაში სიკვდილთა ისეთ რაოდენობას, როგორც ექიმები. უნებლიეთ გაგახსენდება ანეგდოტი „მავი“ სამედიცინო იუმორიდან, როგორ ეკითხება ერთი ექიმი პაციენტზე მეორეს: „რა ვუყოთ, ვუმკურნალოთ თუ ვაცოცხლოთ?“

აი, მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა ცივილიზებული ქვეყნისათვის წარმოდგენილი მედიცინის მუშაკთა დაუდევრობისა.

39 წლის ულრიკე შმიდტი, ხელბურთელი და სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი, ნავარჯიშევი, სალსალამათი ქალი, ორი შვილის დედა. მენისკის მარტივი ოპერაციის დროს ექიმმა ნარკოზის წინ შეუყვანა სასუნთქი აპარატის მილი ტრაქეის მაგივრად საყლაპავში. სანიტარმა საოპერაციო დარბაზში შეამჩნია, რომ პაციენტს თითები ულურჯდება, მაგრამ ქირურგი ოპერაციას განაგრძობდა. შედეგი ტრაგიკულია — ახალგაზრდა ქალი დაიღუპა.

გერჰარდ ფლინი პატარა, მეტრიანი კიბიდან ჩამოვარდა და მენისკი დაიზიანა. პოლიკლინიკაში, სადაც მთავარ ექიმად მუშაობს იოზეფ შმიდი (იგი გფრ-ის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის მთავარი ექიმიც არის), გაუკეთეს ოპერაცია, რომლის შემდეგაც ცალი მუხლი ორჯერ გაუმსხვილდა. თვით შეფმა გასინჯა ავადმყოფი და თქვა, „განსაკუთრებული არაფერიაო“. გაუკეთა ნემსი, გამოუწერა ვარჯიშების კომპლექსი. მაგრამ პაციენტი სულ უფრო ცუდად ხდებოდა. ამას მოჰყვა რამდენიმე ახალი ოპერაცია და, საბოლოოდ, გამოჯანსაღების ნაცვლად – ინვალიდობა, რომლის გამოც გერჰარდმა ჯანმრთელობასთან ერთად სამუშაოც დაკარგა.

პილდეგრატ ნომანი ხშირად უჩიოდა ტკივილებს კუჭის არეში. ექიმებმა აღუთქვეს, რომ ოპერაცია არ იქნებოდა რთული, მაგრამ ენდოსკოპი კუჭუკანა ჯირკვალს გამოსდეს, რამაც სისხლის მოწამვლა გამოიწვია. სამი თვის შემდეგ ნომანი გარდაიცვალა.

ლუდვიგ მამინგი, 64 წლისა, დიაბეტიკი. ბამბერგელმა ექიმებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ აუცილებელია ცალი ფეხის ამპუტაცია მუხლს ქვემოთ. ოპერატორი ექიმი დოკუმენტებს არ გაეცნო და საღი ფეხი მოაჭრა. შეცდომა რომ დაინახა, მერე მეორეც მიაყოლა.

სავალალოა, რომ შეცდომების რიცხვს ამკარა ზრდის ტენდენცია აქვს, თანაც ამას ადასტურებენ არა მარტო პაციენტთა ინტერესების დამცველი სხვადასხვა ორგანიზაციის მონაცემები, არამედ თვით მედიკოსებიც. ფრაიბურგელი პროფესორის დაშნერის, ბერლინელი ზაპროვის, ბრემენელი შენპოფერის, მიუნხენელი ლენგფელდერის გამოკვლევებმა ცხადყო: მარტო ჰიგიენის ნორმების დაუცველობის მიზეზით კლინიკებში იღუპება 10 ათასი კაცი. „მშობიარობის დროს დახმარების გაერთიანების“ მონაცემებით, ათი ათასამდე ახალშობილი სხვადასხვა ტრამვებს იღებს საავადმყოფოს თანამშრომელთა მიზეზით. „პაციენტთა საყოველთაო კავშირის მიერ მოწყობილი გამოკვლევა ადასტურებს, რომ ზოგჯერ „საავტომობილო გზებზე მდებარე ტუალეტები ბაქტერიულად უფრო სუფთაა, ვიდრე ექიმის ხელები სიცოცხლისათვის მნიშვნელოვანი ოპერაციის წინ“.

გერმანიის ჯანდაცვაში ესოდენ სამარცხვინო მოვლენის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მიაჩნიათ მედპერსონალის გადატვირთვა. საყოველთაო აზრით, სამასი ათასი ექიმი მეტისმეტად ცოტაა ქვეყნისთვის, რომლის მოსახლეობა 80 მილიონს შეადგენს. ქირურგები ზოგჯერ კვირაში 80 საათს მუშაობენ. ჰამბურგელი ექიმი ჩივის, რომ ძირითადი სამუშაოს გარდა, „იგი იძულებულია კვირაში ორჯერ 24-24 საათს იმორიგეოს“. ცნობილი ექსპერტი იურგენ შტოფრეგენი საექიმო შეცდომების მიზეზებს შორის ასახელებს „მუშაობის ცუდ ორგანიზაციას კლინიკებში, ხარვეზებს ცოდნაში, გერმანელი ექიმების მიერ თავიანთი უნარის მეტისმეტად გაზვიადებულ შეფასებას“.

კონფლიქტური გარჩევები ავადმყოფებსა და მკურნალებს შორის უკვე დიდი ხანია გადავიდა გერმანიის სასამართლოებში. ყოველწლიურად 30 ათასამდე პაციენტი უჩივის სასამართლოში ექიმს არასწორი მოქმედებისათვის. მედიკოსები და მათი ადვოკატები ყოველნაირად აჭიანურებენ პროცესებს, აგროვებენ უამრავ ცნობას და აწყობენ ურიცხვ ექსპერტიზებს. „რეკორდული“ საქმეები ზოგჯერ ოც წლამდე გრძელდება და ხშირად აკოტრებს წაგებულ მხარეს – პაციენტს თუ ექიმს, მაგრამ არსებითად არაფერს არ ცვლის მთავარში: გარდაცვლილს საიქიოდან ვერ დააბრუნებ, დაკარგულ ჯანმრთელობას ვერ აღიდგენ. საექიმო შეცდომების რიცხვი, როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, არ კლებულობს, წერს გაზეთ „ტრუდის“ ბონელი კორესპონდენტი რუდოლფ კოლჩანოვი.

ჩვენ კი იმით შეგვიძლია ვინუგეშოთ თავი, რომ ყოველივე ეს ხდება გერმანიაში და არა ჩვენში.

## ყრილობები საჭურისებსაც აქვთ

ინდოეთის ქალაქ რაიპურში გაიმართა სრულიად ინდოეთის საჭურისთა ყრილობა. სხდომებს შუა შესვენებისას საჭურისები უძველესი თამაშით „ჩობათით“ იქცევდნენ თავს. ნუ შეცბუნებით, რომ ფოტოზე გამოსახული მოთამაშენი ქალებს ჰგვანან. ინდოეთში საჭურისები, ტრადიციისამებრ, თავიანთი ტანსაცმლით იმოსებიან.



## მკვლელობა თონესთან



ეს მკვლელობა მოსკოვის ჩრდილოეთ ნაწილში მოხდა. ამჯერად დაქირავებულ მკვლელთა მსხვერპლი გახდა 34 წლის ზურაბ ჭუაძე. როგორც გამოირკვა, ჭუაძე მეუღლესთან ერთად მანქანით მისულა კოსტიაკოვის ქუჩაზე, იქ გადამჯდარა „ჟიგულში“, და მძღოლთან საუბრის შემდეგ ერთად შესულან თონეში. შენობიდან რომ გამოდიოდნენ, თანამგზავრმა სწორედ მაშინ იშიშვლა პისტოლეტი „TT“ და ოთხჯერ ესროლა – ტყვიები თავსა და მკერდში მოხვდა მსხვერპლს. ამის შემდეგ დამნაშავე მიიმალა.

დანაშაულის ადგილზე მანქანებით მივიდნენ საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები. ჟურნალისტებთან საუბრისას მათ განაცხადეს, რომ ჭუაძეს საელჩოში არასდროს არ უმუშავია. მილიციის თანამშრომელთა ერთ-ერთი ვერსიით მკვლელობა გავლენის სფეროებისათვის ბრძოლასთან არის დაკავშირებული.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების, საინფორმაციო ბიურო „ველიანას“ და „პლანეტა-ფორტეს“ მასალების მიხედვით.

მოამზადა
არჩილ მანჯგალაძე

საქართველოს რესპუბლიკა
№60. შაბათი, 15 მარტი, 1997 წელი.

# დღეს, 15 მარტს შოთა იამანიძეს 60 წელი შეუსრულდებოდა

დღეს მინდა, შოთა იამანიძე გაეიხსენო: „ის კაცი იყო, ვით შემვენის კაცსა კაცობა“... ოჰ! როგორ მიესადაგება ეს სიტყვები შოთა იამანიძეს. კაცს, რომელსაც რუსთაველის ავთანდილის ხიბლი ჰქონდა, თავის საქმეში — გალაკტიონის ნიჭი და სულის სიფაქიზით ფიროსმანს ჩამოჰგავდა...

ხუთი წელიწადი — პირველიდან მეხუთემდე, შოთა და მე კლასელები ვიყავით. თბილისის მე-19 ვაჟთა საშუალო სკოლის მოსწავლეები. არ ვიცი, რატომ და ჩემს ყმაწვილობაში თბილისში ბევრი ხუჭუჭთმიანი ბავშვი იყო და მათ შორის თავისი კულულებით გამოირჩეოდა ბიჭი, რომელსაც შეეძლო, მთელი სკოლის ბავშვები „მატაობით“ დაეჩაგრა. („მატაობას“ იმ ფინტების კასკადს ვეძახდით, როდესაც ბურთი თითქოს ფეხზეა მიბმული) და კიდევ ის ხუჭუჭა ბიჭი სკოლის აბსოლუტური ჩემპიონი იყო „ავჭალურში“.

ული ფეხბურთელი რომ იქნება, მაშინაც ითამაშებს, მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ...

ახლა კი 40-იანი წლების კიევის ქუჩაზე მდებარე მყუდრო სკოლის ეზოში შევიხედოთ. სხვებთან ერთად, ერთი სახალხო კომისრის (ახლანდელი მინისტრის) შვილიც სწავლობდა. იმ ბავშვს „კამერა-აბალოჩკა“ ჰქონდა და იყო დიდი ბურთაობა. იმ ბობოლას შვილი არჩევან-არადანით მოთას ამოირჩევდა ხოლმე და ეს ორნი ყველა დანარჩენს გვეთამაშებოდნენ. გაბღენძილი „კამერა-აბალოჩკას“ პატრონი ამაყად ორ ქვას მორის იდგა, იამანიძე კი ყველა დანარჩენს გვემატავებოდა და გვჯაბნიდა.

ოჰ, რა ფეხბურთს თამაშობდა ის ბიჭი!

მერე ის ბიჭი 35-ე საფეხბურთო სკოლაში გადავიდა. მერე ის ბიჭი თბილისის „დინამოში“ ჩაირიცხა. მერე ის ბიჭი გუნდის თავი გახდა. მერე ის ბიჭი ყველა ქართველი გულშემატკივრის კერპი შეიქნა. მერე იმ ბიჭის თავკაცობით „დინამო“ 64-ში იმ-

ლგით“ მოთამ ჩამოიარა. დამინახა, გააჩერა მანქანა და მომიკითხა. გავანდე ჩემი მეხ ვ ე დ რ ი საიდუმლო და იქვე დავძინე: — „ნამა“ კი მომივა და, არ ვიცი, სად წავიყვანო-მეთქი. მოთას არც დაუხანია, ისე გადმოვიდა მანქანიდან და მომაწოდა გასაღები — აჰა, აილე და გაიხარეო. მე გამოვუტყდი, რომ მანქანის ტარება არ ვიცოდი. ეგ არაფერი. ჩასხედით მანქანაში, იჭუკჭუკეთ და მერე მომიტან გასაღებსო, — ასე მათხოვა თავისი თეთრი „ბოინგი“ „პილოტს“, რომელსაც არაფერი გაეგებოდა მანქანისა, იმ ხანად აგრე რიგად



მანიძისტებად“ (ხომ არ გეიმნა, მკითხველო, რამე?) და ნეტავ ჩემი თაობა სხვა „ისტებს“ არ მოსწრებოდა!

ადრე დაგპირდით, „ავჭალურს“ კიდევ გავიხსენებ-მეთქი: მოთა უკვე სპორტის დამსახურებული ოსტატია, „დინამოს“ თავკაცი, ჩემპიონი, დიდებით და პოპულარობით საკმაოდ დამძიმებული, მაგრამ ისევ უბრალო და ლაღი...

...თბილისური შემოდგომის ერთ მშვენიერ ღამეს ბიჭები წვეულებიდან ვბრუნდებით. ბიჭებს ვამბობ, მაგრამ რა ხალხი: გივი გადელა, „ყაფლანა“, „ხანძარლიკა“, (ჯემალ პაჭკორია), ავთო საყვარელიძე, კახი კავსაძე, ომარ მხეიძე. ჰო და მხეიძე და იამანიძე ველარ გააჩერეთ — დაობენ და დაობენ — „არა ჩემი პროფესიაა პროფესია და არა შენი!“-ო (გაგახსენებთ — ომარი „სუხიშვილის“ ანსამბლის წამყვანი სოლისტი იყო). ცეკვა თუ ფეხბურთი, და ბოლოს, „ჩელუსკინელების“ ხიდზე გაგვაჩერა იამანიძემ — „ძმებო, პროფესიონალიზმზეა ახლა დავა. მიდი, ომარ, თუ ბიჭი ხარ, აქ დოლ-გარმონის გარეშე იცეკვე!“-ო. ომარი უპასუხებს: „ჩემო მოთა, არ მითხრა, რომ ახლა აქ ბურთაობას გამართავ?!. რატომაც არა?!“ — უპასუხა მოთამ, შემდეგ ასანთის კოლოფი მოითხოვა და გამართა, მაგრამ რა „ავჭალური“ გამართა — კენწლა და კენწლა ასანთის პატარა კოლოფი.

## „ის კაცი იყო, ვით შეშვენის კაცსა კაცობა“

აი, ამ თამაშზე მინდა განსაკუთრებულად შევჩერდე და იცით, რატომ? თუ ბრაზილიელი ბურთის ჯადოქრები პელე და მისი მეგობრები „პლაჟის“ ფეხბურთიდან მოვიდნენ, 50-იანი წლების ქართველი ოსტატები — შოთა და ძმანი მისნი, „ავჭალურიდან“... ნახევარი საუკუნის წინ სად იყო „კამერა-აბალოჩკა“ (ასე ვეძახდით ნაღდ ბურთს). იყო დედის „ჩულქი“, მიგ ჩაყრილი ლობიოს მარცვლით და ამ ბურთის კენწვლა. „და ვკენწლავდით და ვკენწლავდით — „ავჭალურს“ ვთამაშობდით. ჩემპიონი კი მოთა იყო.

„ავჭალურს“ მოთა, დრო-

პერიის ჩემპიონი გახდა. კერპი კი ბიჭად დარჩა, თბილისელ ბიჭად, რომელსაც, ღრმად ვარ დარწმუნებული, არასდროს არაფერი არ მემლია.

ახლა რომ ამბავს გავიხსენებ, ორმოცდაათიანი წლების ბოლო ხანს მოხდა: იმ წლებში თბილისში საკუთარი მანქანა, თანაც ახალი „ვოლგისა“, დღეს რომ კაცს „ბოინგი“ ჰყავდეს, იმის ტოლფასი იყო. ჰოდა, ჩემი სკოლის ძმაკაცი მოთა იამანიძე ცინცხალი თეთრი „ვოლგის“ პატრონია. ერთ მშვენიერ დღეს კალინინის ქუჩაზე რანდევუ მაქვს ერთ „ნამასთან“ (ასე ვეძახდით გოგოს, რომელსაც ვეტრფოდით). ვდგავარ პაემანზე და ამ დროს თავისი „ვო-

რომ ფასობდა. ახლა არც ის „ნამა“ მახსოვს, არც ის, რაზე ვჭუკჭუკებდი მასთან, მაგრამ არასდროს დამავიწყდება დიდი კაცი და დიდი ფეხბურთელი.

მე რომ მკითხოთ, გარინჩა პელეზე დიდად ნაკლები ფეხბურთელი არ იყო, მაგრამ პელე „მეფედ“ დარჩა და გარინჩა დღეთა სრბოლაში თანდათან იკარგება. ხშირად მიფიქრია, რამია საქმე? ალბათ, იმაშიც, რომ შენი საქმის გარდა, კიდევ ცხოვრებაშიც ღირსეული კაცი უნდა იყო და საკუთარი ღირსება კიდეც უნდა შექმნა და კიდეც უნდა ატარო.

რა ღირსებით იყო სავსე მოედანზე მოთა იამანიძე! მახსენდება 1964 წლის გაზაფხული, მაშინ საბჭოთა ნაკრებმა თბილისში „დინამოსთან“ ამხანაგური მატჩი გამართა. მოედანზე საუკეთესო დინამოელი შოთა იამანიძე იყო, თუმცა, ნაკრებში მაინც მწვრთნელთა ჭირვეულობის გამო არ ჩარიცხეს, მაგრამ მას თავისი ღირსება არ დაუკარგავს და სულ მალე, 64-ის შემოდგომაზე საქმით დაამტკიცა — მისი თავკაცობით „დინამო“ სსრკ ჩემპიონი გახდა. ან როგორი თავდაჭერით ხვდებოდა მოკამათეთა აზრს, იმ წლებში კი საფეხბურთო კამათის თემა მეტწილად იამანიძე და მესხი იყო. ქართველი გულშემატკივრების არმია ორად იყო ჭაყოფილი — „მესხისტებად“ და „იამანიძისტებად“. „დინამოს“ სტადიონთან პერმანენტულად შეკრებილი „ბალელშიკები“ კახიანის მეთაურობით (სახელი არ მახსოვს — უბრალოდ ასე ვიცნობდით — კახიანი). იამანიძეს ალმერთებდნენ. „ბალელშიკების“ ელიტა კი ვერის პარკში „ბელადის“ (ქართლოს სვანიძის) თამადობით — მესხს. „და იყო ასე გაყოფილი თბილისი „მესხისტებად“ და „ია-



60-იანი წლების თბილისში თუ რაიმეზე იმართებოდა ცხარე და გრძელ-გრძელი დებატები, ფეხბურთი ერთ-ერთი პირველი საგანი გახლდათ. ვისაც ვინ უნდა მოწონდეს, მოთაა ჩემი საფეხბურთო ტრფიალი-მეთქი, გარდაუთქმელად ვიტყოდი ხოლმე მინაურ წრეში. დიახ, შოთა იამანიძე იყო ჩემი უსაყვარლესი მოთამაშე და ამას დღესაც სრული „კატეგორიულობით“ ვამბობ.

შოთა იამანიძეს ეგებ არ დაჰყოლია ისეთი კამკამა ტალანტი, როგორც მიხეილ მესხს ან სლავა მეტრეველს, ოღონდ ჩემს თვალში (დაპირისპირებად ნუ ჩამომართმევთ), მოთა მეტს ნიშნა-

ამ ამბის შემდეგ მრავალი წელიწადი გავიდა. „ჩელუსკინელების“ ხიდმა სახელი იცვალა, მტკვარშიც ბევრმა წყალმა ჩაიარა. ამ ამბის მომსწრე მრავალი ბიჭიც ჩვენს შორის აღარაა. მაგრამ დღესაც თვალწინ მიდგას სურათი: ერთი ამაყი, ღირსეული და დიდი კაცისა ხატვა რომ შემეძლოს, მის პორტრეტს ასეთს შევქმნიდი: ბურთზე, რომელიც დედამიწასა ჰგავს, დგას ამაყად ბიჭი და „ავჭალურს“ კენწლავს. ალბათ მიმიხვდით, ის ბიჭი შოთა იამანიძე იქნებოდა და მის პორტრეტს თამამად მივაწერდი — „ის კაცი იყო, ვით შეშვენის კაცსა კაცობა“...

**ნუგზარ ჯუღელი.**

*სურათებზე: (ზემოთ) წლების მანძილზე გამოჰყავდა თავისი გუნდი — თბილისის „დინამო“ მის შესანიშნავ კაპიტანს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს შოთა იამანიძეს უძლიერეს გუნდებთან საასპარეზოდ; (ქვემოთ) როდესაც მოედანზე იყვნენ ტყავის ბურთის უბადლო ოსტატები მიხეილ მესხი და შოთა იამანიძე, გულშემატკივრებმა იცოდნენ, რომ ჭეშმარიტ საფეხბურთო სპექტაკლს იხილავდნენ.*

# ჩემი ოცნების ფეხბურთელი

ვდა გუნდისათვის, ვიდრე მიხეილი ან სლავა; არა მარტო კაპიტნობით — თამაშით, დირიჟორობით, „წამყვანობით“. ასეთი „ფორმულა“ მქონდა ჩემთვის გამოყვანილი: თამაშობდა მოთა — თამაშობდა გუნდი; არ გამოსდიოდა (იშვიათად!) ჩვეული თამაში კაპიტანს — არ გამოსდიოდა გუნდს.

მომწონდა, ყოველთ უწინარეს, როგორც ინტელექტუალი — მოთამაშე, როგორც ესთეტი — მოთამაშე, როგორც დრიბლიორი, გამთამაშებელი. მისი სირბილის მანერაც მომწონდა, რაღაცნაირი გოგმანა სირბილისა...

მოთა უბედო კაცი გახლდათ. უბედობაა, მაშ რა არის, ასე უდროოდ დაღუპვა, ასეთი ბრმა სიკვდილი; უბედობაა, მაშ რა არის, საბჭოთა კავშირის ნაკრებში რომ ვერ მოიკიდა ფეხი. მის დროს რუსეთს, უკრაინასაც შესანიშნავი პავბეკები ჰყავდათ, ანუ ნახევარმცველები; ნეტო, ვორონინი, მანომინი, ვოინოვი, სერებრიანიკოვი, ბიბა... იამანიძე, როგორც ფეხბურთელი, ლიდერად იყო დაბადებული, ბუნებით, მოწოდებით გახლდათ წინამძღოლი მოთამაშე და ნაკრებში თუ აიყვანდნენ, პირველი კაცი უნდა გამხდარიყო (როგორც თბილისის „დინამოში“); მაგრამ ვერ გახდებოდა, რადგან, ვიმეორებ, საბჭოთა ნაკრებში მაშინ

ბრწყინვალე ნახევარმცველები თამაშობდნენ.

... ეს ვაკის სტადიონზე მოხდა, მოსკოვის „ლოკომოტივთან“ შეხვედრისას. მოთამ ბურთით თავის საჯარიმო მოედნიდან „გაიარა“ მთელი მინდორი, მეკარის ჩათვლით მოატყუა 9 (ცხრა!) მეტოქე და მაღალი ტრაექტორიით (სხვანაირად არ ხერხდებოდა) გაგზავნა ბურთი გოლკიპერის მიერ დატოვებულ კარში. ბურთი ბედა ძელს მოხვდა (ესეც მოთას უბედურება მგონია) და დღემდე ვერ „მომინელებია“ ასეთი ფანტასტიკური რეიდი გოლით რომ არ დამთავრდა.

კიდევ ერთი ბლაპრული ეპიზოდი, იამანიძის „საფირმო კერძი“: კვლავ კალენდარული შეხვედრა, ამჯერად დონეცკის „შახტიორთან“, ორი მცველისა და მეკარის ლამაზი „გაცურება“ და ბურთიანად ბადეში შეღოღმანება. ეს ყველაფერი ალბექდილია ექვს მიმდევრობით ფოტოზე. ბოლო კადრზე მკაფიოდ ჩანს, მანამდე დაძაბულსახიანი მოთა როგორი დაწყნარებული შედის კარში. ეს მშვენიერი საფეხბურთო ნოველა, ექვსი კადრისა და კომენტარებისაგან შემდგარი, თუ არ ვცდები, გურამ ფანჯიკიძემ გამოაქვეყნა.

**თამაზ ეგანოიძე.**

# კაპიტნად დაბადებული

**გვესაუბრებიან ფეხბურთის ვეტერანი მოსე დავარაშვილი და მსახიობი კახი კავსაძე.**

**მოსე დავარაშვილი:**

— იმ დროს 35-ე სკოლას ძლიერი გუნდი ჰყავდა. 1953 წელს ჭაბუკთა საკავშირო პირველობაზე მე-3 ადგილი დავიკავეთ. მომდევნო წელს არჩილ კიკნაძის ხელმძღვანელობით კვლავ გამოვედით ანალოგიურ მეჯიბრებაზე. შესარჩევი ტურნირი იაროსლავლში უნდა გაგვევლო. მოსკოვამდე მატარებლით ვიმგზავრეთ. იქ საღამომდე დრო გვქონდა. მწვრთნელის ნებართვით, მე და მოთა ქალაქის დასათვალიერებლად წავედით. პირველად ვიყავით მოსკოვში და ისე გავერთეთ სეირნობით, რომ დათქმულ ადგილზე მისვლა მთელი საათით დაგვაგვიანდა. ბატონი არჩილი სიბრაზისგან ცოფებს ყრიდა, რადგან იაროსლავლის მატარებელი ვაგზლიდან უკვე... ნახევარი საათის გასული იყო. მეორე საღამომდე მოგვიწია ცდა. მე გუნდის კაპიტნობიდან გამათავისუფლეს. მოთა ისე განიცდიდა მომხდარს, რომ მთელი 24 საათის განმავლობაში ხმა არ ამოუღია. იაროსლავლში ტურნირის დაწყების დღეს ჩავედით. პირველად ტალინის გუნდს შევხვდით. მე და შოთას თავი არ დაგვიზოგავს, რომ დანაშაული გამოგვესყიდა. ბიჭებმაც აგვიბეს მხარი. პირველი გოლი მოთამ გაიტანა. ის მატჩი მოვიგეთ ანგარიშით 3:0. შემდეგ ერთმანეთის მიყოლებით დავამარცხეთ სომხეთის, ბელორუსიის, უზბეკეთისა და აზერბაიჯანის გუნდები. ჯგუფში პირველ ადგილზე გავედით. მეტოქეებს 33 გოლი გავუტანეთ, საკუთარ კარში კი ერთიც არ მიგვიღია. მოთამ ამ ტურნირში 6 ბურთი გაიტანა, თანაც მოედანზე ნამდვილი დირიჟორი იყო. არჩილ კიკნაძეს ეს მხედველობიდან არ გამორჩენია. მან გვაპატია დანაშაული, მოთა კი გუნდის კაპიტნადაც დანიშნა. ლენინგრადში ფინალურ ეტაპზე სწორედ მისი თავკაცობით გამოვდიოდით მოედანზე და ჩემპიონობაც მოვიპოვეთ. იქიდან დაბრუნების შემდეგ ბორის პაიჭაძემ მე და შოთა იამანიძე „დინამოში“ ჩაგვრიცხა.

**კახი კავსაძე:**

ბავშვობისას ორივენი „ვორონცოვზე“ ვცხოვრობდით. მოთა ყოველთვის გამოირჩეოდა ჩვენს შორის. დიდივით ვეკითხებოდით ჭკუას. მისდაუნებურად პირველობდა ყველაფერში. ჩვენს სამეგობროში ის გახდა პირველი ცნობილი პიროვნება, პირველმა მან მიიღო ბინა, შეიძინა მანქანა... ოჰ, ეს მანქანა... არასდროს გაყოყოჩებულა. ყველას ეხმარებოდა, რითაც შეეძლო, ლვიძლ ძმასავით პატრონობდა ყველას.

არ მახსოვს, მისთვის ოდესმე ზომიერების გრძნობას ელალატოს. ერთხელ, „კრილია სოვეტოვთან“ შეხვედრის წინა დღეს, დილმის საწვრთნელ ბაზაზე მივაკითხეთ ბიჭებმა. ფეხბურთელები მომავალ მატჩზე ბჭობდნენ, ანგარიშსაც წინასწარმეტყველებდნენ — 3:0-ს მოვიგებთ, არა — 5:0-სო. ერთმა ისიც თქვა, ჯერ ორი ბურთი გავატანინოთ, შემდეგ შვიდი გოლი შევუგდოთო. მხოლოდ კაპიტანი იჯდა მშვიდად. ჯერ გადავხტეთ და „ჰოპ“ მერე დავიძახოთო, ჩაილაპარაკა. მეორე დღეს სტუმრებმა სამი ბურთი გაგვიტანეს და წავაგეთ. მატჩის შემდეგ მოთას თავის ბინაზე შევხვდი, ლანა პირს არ ხსნიდა. რა მოხდა-მეთქი, ვკითხე. მეტოქეს რომ არ შეაფასებ და საკუთარ ძალებში ზედმეტად იქნები დარწმუნებული, უარესიც მოგივაო, — ნერვიულად მიპასუხა.

მოედანზე ვისაც უნახავს მოთა იამანიძე, დამერწმუნება, რომ იგი ნამდვილი დირიჟორი იყო, კაპიტნად დაბადებული. მკურნალის ალღოთი გრძნობდა თამაშის უმცირეს ნიუანსსაც კი. ერთხელ თბილისში, რომელიღაც გუნდთან, ზუსტად არ მახსოვს, ვაგებდით შეხვედრას 0:2-ს. მოთა შეუძლოდ იყო და სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ჩვენები გამმაგებით უტევდნენ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ. მატჩის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე კაპიტანი მაინც გავიდა მოედანზე. გვეგონა, იგი გუნდის იერიშებს გააძლიერებდა. მოხდა კი პირიქით — ყველას გასაკვირად შოთა საკუთარ მოედანზე შეგნებულად დიდხანს აყოვნებდა ბურთს. გაოგნებული სტადიონი გაისუსა ორივე გუნდის ფეხბურთელები თითქოს ბედს შეურიგდნენო, მოეშვნენ. ამ დროს მოთამ ბიჭებს მესძახა, წავედითო და მართლაც, წავიდა და წავიდა. 10 თუ 15 წუთში 2 ბურთი გავიტანეთ და წაგებას გადავრჩით. „ჩვენები სიბრაზისგან ისე იყვნენ ანთებული, თვალებში ვერ იხედებოდნენ. — მითხრა მატჩის შემდეგ მოთამ. — ბოლმა ახრჩობდათ და არაფერი გამოსდიოდათ. თამაში რომ დავაწყნარე, ბიჭები გონს მოეგნენ, მერე იერიშებიც გამოგვივიდაო...“

ყველაფერში პირველმა იმქვეყნად წასვლაც დაგვასწრო მეგობრებს. მისმა ტრაგიკულმა დაღუპვამ სიკვდილამდე უკურნებელი იარა და ტკივილი დაგვიტოვა...

ესაუბრა **ვაჟა დანელია.**

## გუშინ

### დავით ყიფიანი: სეზონის [illegible] იქნება

გუშინ „დინამოს“ სტადიონის ოსტატთა კლუბში დავით ყიფიანი შეხვდა სპორტულ ჟურნალისტებს.

— [illegible] თბილისის „დინამოს“ უფროსმა მწვრთნელმა კლუბში მომხდარი ცვლილებებით დაიწყო. გუნდი დატოვა რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა, სამაგიეროდ თბილისის „დინამოს“ ფარ-კლუბიდან მივიღეთ რამდენიმე პერსპექტიული ფეხბურთელი იმედია, ისინი გაამართლებენ გუნდის ხელმძღვანელობის იმედებს — თქვა მან. წინ ძნელი სეზონი გველის, რადგან მეორე წრეში 10 გასვლითი მატჩის ჩატარება გვიწევს. „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი შეეხო საქართველოს შიდა გზის ჩემპიონის გამოსვლას ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების საკვალიფიკაციო ტურნირში. ჩვენმა გუნდმა შარშან ევროთასზე წარმატებული გამოსვლით სათანადო სარეიტინგო ქულები დააგროვა და 23 ივლისიდან ყველაზე პრესტიჟულ გათამაშებაში ჩაებმება. პირველი ეტაპზე მას ოდნავ სუსტი მეტოქე შეხვდება. კენჭისყრა 23 ივლისამდე რამდენიმე ხნით ადრე გაიმართება და მაშინ შევიტყობთ მომავალ მეტოქეს. საპასუხო მატჩი დანიშნულია 30 ივლისს. თუ პირველ ზღუდე გავიარეთ, აგვისტოში მეორე რაუნდის თამაშები გველის. აქ უკვე სერიოზულ მეტოქესთან გვექნება საქმე.

31 მაისს დასრულდება საქართველოს VIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში. ხუთდღიანი დასვენების შემდეგ შევუდგებით მზადებას ევროპული ტურნირისათვის. მოლაპარაკებას ვაწარმოებთ გერმანულ კლუბებთან, რათა ივნისში მათ საკონტროლო ამხანაგური მატჩები გამართონ ჩვენს გუნდთან. ამისათვის კლუბი გერმანიაში გაემგზავრება. როგორც კი „დინამოს“ პატარა „ფანჯარა“ ექნება, უსათუოდ გავმართავთ საქველმოქმედო ამხანაგურ მატჩს სოჭის „ჟემჩუჟინასთან“, რომლის სპორტულ ღირსებას ჩვენი ნაკრების თავდამსხმელი გოჩა გოგრიჭიანი იცავს. ამ შეხვედრის მთლიანი შემოსავალი სლავა მეტრეველის მკურნალობას მოხმარდება.

ჟურნალისტების ცნობისმოყვარეობა „დინამოს“ სტადიონის სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების შესახებ დააკმაყოფილა კლუბის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ უეფა მზად არის, 3 მილიონი ამერიკული დოლარი გაიღოს ამ საქმისათვის. 2 დღის წინ მივიღეთ ფაქსი უეფადან, რომ ერთი კვირის ვადაში გაირკვეს სტადიონის კაპიტალური მდგომარეობის საკითხი. რაც შეეხება წლევანდელ სეზონს, უეფა ჯერჯერობით ნებას გვაძლევს, ევროპის ჩემპიონთა თასისა და ნაკრების თამაშებიც „დინამოს“ სტადიონზე გავმართოთ. 1998 წლის სეზონიდან, თუ სტადიონზე არ იქნა სათანადო სინათლე, სკამები და სხვა პირობები, უეფა სათამაშოდ არ დაგვიშვებს.

**შალვა ძირია.**

### „ხუთეულის“ პირველი წრის ფინიში

გუშინ ვერის ბაღში დასრულდა ვაჟ კალათბურთელთა ჩემპიონატის ფინალური ხუთეულის პირველი წრე დასკვნით ტურში ორი პრინციპული შეხვედრა გაიმართა. პირველ მატჩში ერთმანეთს ხვდებოდნენ რუსთავის „ქიმიკოსი“ და „შევარდენი“. ეს გუნდები იბრძვიან მეოთხე ადგილისთვის, რაც მათ „პლეი-ოფში“ თამაშის უფლებას მისცემს.

შეხვედრა დაძაბულად დაიწყო, არცერთი გუნდი არ აძლევდა მეტოქეს სოლიდური სხვაობით დაწინაურების საშუალებას, მაგრამ რუსთაველმა კალათბურთელებმა ჯაფარიძის (31 ქულა) აქტიური თამაშით შეძლეს ტაიმის მოგება. მატჩის მეორე ნახევარში დაიღალნენ შევარდნელები, რომლებმაც შეხვედრა თითქმის შეუცვლელად ჩაატარეს. ამით ისარგებლეს „ქიმიკოსის“ კალათბურთელებმა და ანგარიშში სხვაობა თანდათან გაზარდეს. შეხვედრის მიწურულს „შევარდენმა“ კვლავ სცადა მატჩის ბედის თავის სასარგებლოდ შემობრუნება — წოწელიამ (30 ქულა) და ჩხეიძემ (21 ქულა) ზედიზედ ჩააგდეს სამქულიანები და სხვაობა 5 ქულამდე შეამცირეს, მაგრამ აქ ხუთი პერსონალური ჯარიმის გამო მოედანი დატოვეს შევარდნელებმა ქეხიაშვილმა (23 ქულა) და ორჯონიკიძემ. რუსთაველ კალათბურთელებს არ გასჭირვებიათ შეხვედრის მოგება — 97 : 83.

ინტერესს იწვევდა მეორე მატჩი „ვიტა“ — „დინამო“, მაგრამ ბრძოლა არ შედგა. საქართველოს ჩემპიონმა „ვიტამ“ ნაცვლიშვილის (37 ქულა) შესანიშნავი თამაშის წყალობით ადვილად დაამარცხა მეტოქე, რომელსაც გუშინდელ მატჩში წამყვანი მოთამაშეები აკლდა. შეხვედრის ანგარიშია 117:72.

**იაგო სავანელი.**

## ფეხბურთი

### გოლების წვიმა „სინათლეზე“

გუშინ ავჭალაში, „სინათლის“ სტადიონზე თბილისის „მერანისა“ და ზესტაფონის „მარგვეთის“ მატჩით დაიწყო ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე.

კლუბის პრეზიდენტის, „მარგვეთის“ ერთადერთი პატრონისა და მწრუნველის ვასილ ხაჭაპურიძის დაპატიმრებამ, ეტყობა, წელში გატეხა სტუმრები. ყოველ შემთხვევაში, ცალკეული ეპიზოდების გარდა, ვერ წარმოიდგენდი კაცი, რომ ეს გუნდი შარშან ქვეყანას ევროტურნირში წარმოადგენდა.

რაც შეეხება „მერანს“, მან ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლის შესაფერისი თამაში გვიჩვენა და სრულფასოვანი რევანში აიღო პირველ წრეში დამარცხებისათვის — 4:0 (0:3).

გოლები ზესტაფონელთა კარში გაიტანეს მასპინძელთა დებიუტანტმა დავით გოდერძიშვილმა (2), სულიკო ლავითაშვილმა და მიხეილ მაშიაშვილმა.

19 მარტს ფოთში გაიმართება საპრიზო ადგილებისა და ევროტურნირების ხაგზერებისათვის ბრძოლაში ერთ-ერთი გადამწყვეტი შეხვედრა — „კოლხეთი“ — „მერანი“.

**გია პლატონიშვილი.**

### ევროპის სტადიონებზე

დრამატულად წარიმართა ესპანეთის თასის გათამაშების საპასუხო მეოთხედფინალური შეხვედრა „ბარსელონა“ — მადრიდის „ატლეტიკო“ (პირველი მატჩი 2:2).

შესვენებამდე იუგოსლაველი მილინკო პანჩიჩის „ჰეთ-თრიკით“ სტუმრები სოლიდური უპირატესობით დაწინაურდნენ — 3:0.

უიმედო მდგომარეობაში კატალონელთა ინგლისელმა მწვრთნელმა ბობი რობსონმა მცველების ფრანგი ლორან ბლანისა და რუმინელი გეორგე პოპესკუს ნაცვლად მინდორზე ცნობილი სნაიპერები — ბულგარელი ხრისტო სტოიჩკოვი და გაესპანელებული არგენტინელი ხუან ანტონიო პიცი გამოიყვანეს.

„ბარსელონამ“ მეორე ტაიმში შეუძლებელი შეძლო და 5:4 მოიგო (!). გოლები მასპინძელთაგან გაიტანეს რონალდომ (2), დე ლა პენიამ, ფიგუმ და პიციმ. პანჩიჩის მეოთხე გოლმა „ატლეტიკოს“ ვეღარ უშველა.

მეორე ჯგუფის „ლას-პალმასმა“ გათამაშებიდან გამოთიშა ბარსელონას მეორე კლუბი „ესპანიოლი“ 1:1 (0:0).

* * *

გერმანიის ჩემპიონატს ახალი ლიდერი ჰყავს. ქვეყნის უკანასკნელი ორი ჩემპიონატის გამარჯვებულმა დორტმუნდის „ბორუსიამ“ XXII ტურში შინ 3:0 სძლია როსტოკის „ჰანზას“ და 3 ქულით უსწრებს მიუნხენის „ბაიერნს“, რომელიც ბილეფელდში „არმინიასთან“ დამარცხდა 0:2.

## ანონსი

### „ტორპედოს“ მზეც ამობრწყინდება

14 მარტს დაიწყო ფეხბურთში საქართველოს მეორე ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე. გათამაშების პირველი ნახევარი მეტად რთული გამოდგა ქუთაისის „ტორპედოსათვის“. მაგრამ არის დიდი იმედი, რომ სულ მოკლე დროში „ტორპედო“ კვლავ გაგვახარებს. რა გვაძლევს ასეთი ოპტიმიზმის საფუძველს? ვფიქრობთ, ამ კითხვას ნათელს მოჰფენს საუბარი გუნდის მთავარ მწვრთნელთან სოსო ფრუიძესთან, რომელსაც ჩვენი გაზეთი მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

## ჭადრაკი

### კასპაროვის მსოფლიო რეკორდი

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის (ფიდეს) „რეიტინგ-ლისტი“ (ძალთა შედარებითი ნუსხა) ოფიციალურად წელიწადში ორჯერ ქვეყნდება.

ამის გარდა, ფიდე ყოველთვიურად აქვეყნებს გამოჩენილი დიდოსტატების, ასე ვთქვათ, საჭადარაკო ელიტის წარმომადგენლების, პირად კოეფიციენტებს. მას შემდეგ, რაც ლას-პალმასისა და ლინარესის უმნიშვნელოვანესი ტურნირები ჩატარდა, მსოფლიოს პირველი ათეული ახლა ასე გამოიყურება.

1. **გარი კასპაროვი** (რუსეთი) — 2820 ქულა. უნდა ითქვას, რომ ეს მსოფლიო რეკორდია — კასპაროვს არასოდეს ჰქონია 2800-ზე მეტი ქულა, ზოგჯერ კი ოდნავ უკანაც იხევდა ხოლმე. 2. **ვიშვანათან ანანდი** (ინდოეთი) — 2770. ანანდი, ლინარესში ერთგვარი მარცხის მიუხედავად, უკვე რამდენიმე თვეა ინარჩუნებს მსოფლიოში მეორე პოზიციას. 3. **ვლადიმერ კრამნიკი** (რუსეთი) — 2755. კრამნიკის წინ გადაადგილება დაკავშირებულია ლინარესში დაკავებულ მეორე ადგილთან. 4. **ანატოლი კარპოვი** (რუსეთი) — 2745, ასე დაბლა მსოფლიო ჩემპიონი ფიდეს ვერსიით არასოდეს დაშვებულა. 5. **ვესელინ ტოპალოვი** (ბულგარეთი) — 2730. ტოპალოვმა წარმატებით ითამაშა ლას-პალმასშიც და ლინარესშიც. 6. **გატა კამსკი** (აშშ) — 2720. 7. **ვასილ ივანჩუკი** (უკრაინა) — 2710. იყო დრო, როცა ლვოველი მსოფლიოში მეორე იყო, ახლა კი ლას-პალმასშიც დაზარალდა და ლინარესშიც. 8. **ბორის გულფანდი** (ბელორუსია) — 2695. 9. **მაიკ ადამსი** (ინგლისი) — 2675. 10. **ნაიჯელ შორტი** (ინგლისი) — 2670 ქულა.



## კალათბურთი

### ჯორდანი

### მეექვსე სნაიპერი კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ისტორიაში

32 ქულა მოაგროვა მაიკლ ჯორდანმა — „ჩიკაგო ბულზის“ დამცველმა — „ბოსტონ სელტიკსთან“ შეხვედრაში. ჩაგდებული ბურთების საერთო რაოდენობით გაუსწრო 60-70-იანი წლების ცნობილ თავდამსხმელს ჯონ ჰაველიჩეკს და ლიგის ყველა დროის საუკეთესო სნაიპერთა სიაში მეექვსე ადგილი დაიკავა. ახლა მის ანგარიშზეა 26 399 ქულა. ამ სეზონშივე ჯორდანს საშუალება აქვს კიდევ წაიწიოს წინ და მეხუთე ადგილზე აღმოჩნდეს. ამისათვის საჭიროა, რომ რეგულარული ჩემპიონატის დარჩენილ 20 მატჩში კიდევ 312 ქულა დააგროვეს.

აი, ასეთია სნაიპერთა ექვსეული:

| | | |
|---|---|---|
| 1. | ქარიმ აბდულ — ჯაბარი — | 38 387 |
| 2. | უილტ ჩემბერლენი — | 31 419 |
| 3. | მოზეს მელოუნი — | 27 409 |
| 4. | ელვინ ჰეისი — | 27 313 |
| 5. | ოსკარ რობერტსონი — | 26 710 |
| 6. | მაიკლ ჯორდანი — | 26 399 |

სურათზე: მაიკლ ჯორდანი უტევს.



თეატრალური გაზეთი

# სახიობა

„საქართველოს რესპუბლიკის"
ყოველთვიური დამატება

№3

...დიდია, განუზომელია მნიშვნელობა თეატრისა ყველა ერისათვის. კულტურა თეატრისა უმაღლესი კულტურაა ერისა. იგი ხარობს, ფრთებს ისხამს მასთან ერთად და ეცემა, კვდება ერის სიკვდილთან ერთად.

**სანდრო ახმეტელი.**

უბილე



## ზურაბი ჩვენი სიამაყეა!

ზურაბ სოტკილავა თანამედროვე ხელოვნების სიამაყეა. მე განსაკუთრებით ვაფასებ იმის გამო, რომ მის შემოქმედებას ამომწურავი და ულევი სასიმღერო წყარო ასაზრდოებს გულიდან, სულიდან მომდინარე, მისი პედაგოგი დავით ანდღულაძე მას ცეცხლს ეძახდა. როგორადაც და რანაირადაც არ უნდა ასრულებდეს იგი სტილისტური და ჟანრული თვალსაზრისით მრავალფეროვან ვოკალურ ნაწარმოებებს, მის შესრულებას მუდამ უშრეტი წვა და მგზნებარება ახლავს და ეს ისეთი თვისებაა, რომელიც ედება გარემოს, მის ირგვლივ მყოფთ.

იგი, როგორც ხელოვანი, დიონისეური საწყისის მატარებელია თავის შემოქმედებაში და ჩვენამდე მოაქვს ადამიანური ემოციის, სიწრფელის, გატაცების, რომანტიზმისა და ლირიზმის კონტრასტები. ამით იზიდავს მსმენელს, რომელიც მონატრებულია ამ უშუალო ადამიანურ გამოხატვას. მსმენელს ყველაფერი ავიწყდება, როცა მას უსმენს. ზურაბს უსაზღვროდ უყვარს ნაწარმოები, რომელსაც ასრულებს, უყვარს თავისი სიყვარულით და სიყვარულითვე აერთიანებს აუდიტორიას, ამიტომ არის, რომ ყველა ესწრაფვის მასთან შეხვედრას.

არ შემიძლია, არ აღვნიშნო ის ფაქტი, რომ იტალიაში ყოფნისას ყველაზე დახვეწილი გემოვნების ადამიანებს მიაჩნდათ, რომ იტალიურ ხალხურ სიმღერებსა და რომანსებს ყველაზე კარგად მსოფლიოში მხოლოდ სამი ადამიანი მღერის: ბენიემინო ჯილი, ჯუზეპე დი სტეფანო და ზურაბ სოტკილავა! მერწმუნეთ, უდიდესი აღიარებაა.

ჩემი მხრიდან დავუმატებდი, — „ლა სკალამ" ბევრი დაკარგა იმით, რომ არ გამოიყენა ზურაბის შესაძლებლობა და საგანგებოდ მისთვის არ დადგა ჯორდანოს „ანდრე შენიე".

ჩვენთვის საამაყოა ისიც, რომ იგი ბოლონიის უძველესი აკადემიის საპატიო წევრია, აკადემიისა, რომელიც მხოლოდ 7 წევრს აერთიანებს და რომლის წევრია თვით მოცარტი!

ღმერთმა ქნას, დიდხანს, დიდხანს მიეცეს ზურაბს საშუალება, თავისი ხელოვნებით სიხარული მიანიჭოს მსმენელს.

**ნოდარ ანდღულაძე.**

## მისი ხელოვნება ზენიტშია!

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს, საოპერო ხელოვნების ოსტატს და საზოგადო მოღვაწეს ზურაბ სოტკილავას სამოცი წელი შეუსრულდა. სამ ათეულ წელზე მეტია, მსოფლიოს საუკეთესო საოპერო თეატრების სცენიდან ისმის ბრწყინვალე ხმა ქართველი მომღერლისა, რომელსაც აღფრთოვანებული მაყურებელი ოვაციებით ხვდება. ზურაბ სოტკილავა ახალგაზრდობიდან ჩემი საყვარელი პარტნიორი გახლავთ საოპერო სცენაზე. მე სიამოვნებით ვიხსენებ სპექტაკლებს, რომლებშიც ერთად ვმღეროდით. ეს იყო ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი", პუჩინის „ტოსკა", ვერდის „ტრუბადური" და „ბალ-მასკარადი", მასკანის „სოფლის პატიოსნება". ყოველი სპექტაკლი, რომელშიც ზურაბი მონაწილეობდა, ყოველთვის დღესასწაულად გადაიქცეოდა ხოლმე. არ დამავიწყდება ზურაბის პირველი გასტროლი თბილისში, როცა უკვე დიდი თეატრის სოლისტი იყო, მან შეასრულა ოტელოს პარტია ვერდის ამავე სახელწოდების ოპერაში, პირველივე ფრაზიდან მოაჯადოვა მთელი დარბაზი და დიდი ოსტატობით ჩაატარა სპექტაკლი. ოვაციებს დასასრული არ ჰქონდა.

1974 წლიდან ზურაბი დიდი თეატრის სოლისტია. ამ სცენაზე მთელი ძალით გაიბრწყინა ზურაბის ნიჭმა.

მე მინდა გავიხსენო ზურაბის შემოქმედებითი საღამო მოსკოვში, სვეტების დარბაზში, სადაც მან მეც მიმიწვია მონაწილეობისათვის. ჩვენ შევასრულეთ მასკანის „სოფლის პატიოსნებიდან" ტურიდუს და სანტუცას დუეტი, ასევე ჩაიკოვსკის „პიკის ქალიდან" გერმანის და ლიზას დუეტი. ზურაბმა უმაღლესი ოსტატობით იმღერა. აღფრთოვანებული მაყურებელი შეძახილებით გამოხატავდა თავის აღტაცებას.

არ შეიძლება, არ აღინიშნოს ზურაბის გამოსვლები მოსკოვის ტელევიზიით, როცა იგი მსოფლიოს საოპერო შედევრებს აცნობს ფართო საზოგადოებრიობას. დღეს ზურაბ სოტკილავას ხელოვნება ზენიტშია. მე გულმხურვალედ ვულოცავ ჩემს მეგობარს, ქართველი ხალხის საამაყო მომღერალს — ზურაბ სოტკილავას საიუბილეო თარიღს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, ოჯახის ბედნიერებას და ულევ შემოქმედებით წარმატებებს. ასევე ვულოცავ მის მეუღლეს, შესანიშნავ ქალბატონსა და კონცერტმაისტერს ელისო თურმანიძეს, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ზურაბის მომღერლად ჩამოყალიბებაში.

**ციცანა ტატიშვილი,**
საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, პროფესორი.

ვარსკვლავედი

## კოტე ყიფიანი

„ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს. კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანო, ვისაც არ ახსოვს — ვინ არის, საიდამ მოდის და სად მიდის. ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწყრომია და თავისი ისტორია არ ახსოვს. რა არის ისტორია? იგია მთხრობელი მისი თუ — რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შესაძლოა ვიყვნეთ კვლავადაც. ისტორია თავის გულის ფიცარზედ იჭდევს მარტო სულისა და გულის მოძრაობას ერისას და ამ დაჭდევითა, როგორც სარკე, გვიჩვენებს იმ დონეს და საგზალს, რომელიც მომადლებული აქვს ამა თუ იმ ერსა დღეგრძელობისათვის და გაძლიერებისათვის" (ილია ჭავჭავაძე).

ქართულ თეატრსაც აქვს წარსული. არდავიწყება გვმართებს მისი, რადგან იგია მძლავრი ფესვი და საძირკველი დღევანდელის და ხვალინდელისა. ამ მიზნით, გაზეთ „სახიობის" ფურცლებზე რუბრიკით „ვარსკვლავედი" ვიწყებთ გამოჩენილ ქართველ მსახიობთა შემოქმედებითი პორტრეტების სერიალს.

სერიალს უძღვება ცნობილი თეატრმცოდნე, პროფესორი ნათელა ურუშაძე.

იხ. მე-6 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა
№60, შაბათი, 15 მარტი, 1997 წელი

# კოტე ყიფიანი



მსახიობის შემოქმედებით მაშინ დაინტერესდებიან, როცა გამოირკვევა, რომ ეს შემოქმედება ღირსია ყურადღებისა. შემდეგ იწყება კვლევა მისი ბიოგრაფიისა და სცენის ხელოვნებასთან შეხვედრა-დაკავშირებისა. ზოგჯერ ძალიან ჭირს სათავეებთან მიახლოება. იშვიათ შემთხვევაში თვითონ მსახიობი მოგვითხრობს ხოლმე საკუთარი ცხოვრების ამბავს. ეს მუდამ საინტერესოა, რადგან მოიცავს ისეთ ფაქტებს, მკვლევარი რომ ვერ მიაგნებს. ასეთი იშვიათობაა აღორძინებული მუდმივი ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებლის, დიდი დიმიტრი ყიფიანის ვაჟის – კოტე ყიფიანის მონათხრობი:

„მე დავიბადე 1849 წლის მარტის 3 დღესა ქ. თბილისში, სამების უბანში, სალამოს მეათე საათზედ.

კავკასიის მთავარმართებელს თავადს მ.ს. ვორონცოვს რუსულ ენაზედ წარმოდგენა ჰქონდა გამართული თავისივე სასახლეში, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ თბილისის მაღალი საზოგადოების არჩეულნი პირნი. ამ წარმოდგენაზე საზოგადოება იყო მიწვეული სადარბაზო ბარათებით, უფასოდ. სხვათა შორის, იქ იყვნენ მიწვეულნი ჩემი დედ-მამაც. მაშინ დედაჩემი ჩემზედ იყო ფეხმძიმედ. პირველი მოქმედება რომ დაიწყეს, მთელმა საზოგადოებამ დედაჩემს მიაქცია ყურადღება, რომელიც კარგად ვერა გრძნობდა თავს. ამ ქალს რაღა ემართებაო, დაიწყეს ლაპარაკი აქეთ-იქით და დედაჩემმაც ველარ მოითმინა, მიუგზავნა ნამესტნიკს მამაჩემი ბოდიშის მოსახდელად და საჩქაროდ შინ დაბრუნდნენ სამების უბანში. იმ დროს თბილისში არც ფაიტონები იყო და არც სხვა რამ საშუალება ქუჩებში მოძრაობისათვის. მაღალი საზოგადოების ქალები დაჰყავდათ მუშებს ან მოსამსახურეებს პორტ-შეზ-ით, ე.ი. პატარა, ხელში ასაწევ კარეტით, რომელშიაც მხოლოდ ორი კაცი ძლივს ეტეოდა. ამისთანა პორტ-შეზ-ით მიიყვანეს დედაჩემი შინ და მისვლისთანავე არ გასულა ნახევარი საათიც, გავჩნდი მე ამ ქვეყნიერებაზე. დედაჩემს რომ შინ წასვლა დაეგვიანებინა, წარმოდგენის დროს გავჩნდებოდი თეატრის დარბაზში“.

ვინ წარმოიდგენდა მაშინ, რომ ლამის თეატრში დაბადებული, ის თეატრისთვის დაბადებული აღმოჩნდებოდა!

იმთავითვე ეს, მართლაც, არ შეინიშნებოდა. ერთი იყო აშკარა – ყმაწვილი დიდი ინტერესით ეკიდებოდა სწავლას, რომელსაც თავდაპირველად ოჯახში აზიარეს – დიმიტრი ყიფიანმა თავისი ორი ვაჟის აღმზრდელებად საუკეთესო ქართველი და უცხოელი მასწავლებლები მიიწვია. მათ უნდა მოემზადებინათ ისინი კლასიკური გიმნაზიისთვის.

კოტე გიმნაზიაში 1865 წელს ჩაირიცხა. კარგად სწავლობდა. კარგად ხატავდა. მოხდა ისე, რომ იმ წელს დიმიტრი ყიფიანს პეტერბურგს მოუხდა გამგზავრება. ეტყობა, ძალიან აშკარა იყო ჭაბუკის გატაცება მხატვრობით, რომ მამამ ის თან წაიყვანა და იქაურ სამხატვრო სასწავლებელში მიაბარა. მაგრამ სრულიად მოულოდნელად კოტეს თვალები დაუავადდა და ექიმებმა ხატვა აუკრძალეს. გონიერი და განათლებული ჭაბუკი იქვე, პეტროვო-რაზუმოვსკის სამეურნეო-სატყეო აკადემიაში ჩაირიცხა. აქაც გატაცებით სწავლობდა, მაგრამ ვერც ეს სასწავლებელი დაასრულა, რადგან მამის ავადმყოფობის გამო შინ დაბრუნება მოუხდა. თან ჩამოჰყვა ინტერესთა ფართო წრე და ამ ინტერესთა გამომწვევი მრავალი სახის უნარი – ის მეცნიერებისკენაც მიიწრაფვოდა და ხელოვნებისკენაც. შემდგომ გამოირკვევა, რომ ეს ორი ინტერესი მისი ცხოვრების მუდმივი თანამგზარი იქნება.

შინ დაბრუნებისთანავე კოტემ დაიწყო სამსახური ჯერ ქუთაისის საქციო (ფასიანი ქაღალდების), შემდეგ კი ბორჯომის სახელმწიფო მამულების სამმართველოში. ასე დაიწყო ცხოვრება ამ მრავალმხრივ ნიჭიერმა ადამიანმა, რომელიც მალე ცხოვრების მიზნად მსახიობობას აირჩევს. ყველა მისი უნარი ამ რთულ ხელოვნებას დაუდგება სამსახურად, თანაც იმ დროს, როდესაც პროფესიული ქართული თეატრი არ არსებობს და აღდგენას საჭიროებს. ეს გარემოება ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ასეთ დროს მსახიობისთვის მხოლოდ ნიჭი არაა საკმარისი, ის აუცილებლად მოღვაწეც უნდა იყოს, გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს თეატრის საზოგადოებრივი მნიშვნელობა. სწორედ ასეთი იყო კოტე ყიფიანი – დიმიტრი ყიფიანის ღირსეული მთამომავალი, შესანიშნავი პიროვნება. პიროვნულ თვისებებს კი, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მსახიობის ხელოვნებისთვის, რადგან სცენური სახე მისი პიროვნებისაგან იქმნება.

რა ვიცით კოტე ყიფიანის შესახებ? როგორი თვისებებით იყო იგი ბუნებით დაჯილდოებული? ახლობელთა მოგონებები გვატყობინებენ, რომ თავშეკავებული ყოფილა, მუყაითი, მომთმენი, დარბაისელი. გონების შრომა დასვენება იყო თურმე მისი, ბევრს კითხულობდა. წერდა. ყველაფერში წესიერება უყვარდა. პურის ჭამასაც კი დანიშნულ დროს არ გადააცილებდა. დაგვიანების გამო საყვედურს არავის ეტყოდა, მაგრამ თუ დათქმულ დროს სუფრასთან არ მიიწვევდნენ, ხელში საათს დაიჭერდა თურმე და მოლიმარი სახით გამოეცხადებოდა დიასახლისს.

შინაურ სადილზედაც კი ისეთივე გამოწყობილი და წამოჭიმული იჯდა, თითქოს საპატიო სტუმრებს მასპინძლობსო. ერთი სანახაობა ყოფილა წიწილის მირთმევისას დანა-ჩანგლის მისეული ხმარება. ენამოსწრებულს უყვარდა ხუმრობა, ამბის მოყოლა. შინაურები ამბის გულდას ეძახდნენ.

წიგნიერება, ლიტერატურის სიყვარული, წესიერება და სიზუსტე, გარეგნული სიკოხტავისადმი მიდრეკილება, სხვათა ალტაცების გამომწვევი დანა-ჩანგლის ხმარების ფაქიზი პლასტიკა, იუმორი და ამბის თხრობით მსმენელთა დაპყრობა, – განა ეს ყველაფერი მსახიობის ნიჭიერების მანიშნებელი არაა? და თუ განგებამ ასეთი ნიჭი გაიღო, მისი პატრონის გული თეატრისკენ არ გაიწევს? მით უფრო, თუ დაიბადე და გაიზარდე ქართული თეატრის აღორძინება-განვითარებისათვის ისეთი აქტიური მებრძოლი მოღვაწის ოჯახში, როგორიც დიმიტრი ყიფიანი იყო!

სცენაზე მისი პირველი გამოსვლის შესახებაც თვითონ კ. ყიფიანი გვიამბობს: „1865 წელს, მარიამობის თვეს გაიმართა თბილისში ქართული წარმოდგენა საქველმოქმედო მიზნით თამამშაანთ ქარვასლის მშვენიერს თეატრში და სხვათა პიესებს შორის წარმოადგინეს საფრანგეთის მწერლის, მოლიერის კომედიის „ცოლის შერთვევინება“ მამიჩემის თარგმანი. ამ პიესაში ქალის როლი დორიმენესი შეასრულა ვასილ მაჩაბელმა, რადგანაც ქართველი ქალები ჯერ ვერ ჰბედავდნენ სცენაზედ საქვეყნოდ გამოსვლა და სირცხვილადაც მიაჩნდათ მაშინ ამისთანა მოღვაწეობა. მაჩაბელს ჩააცვეს რაღაცნაირი კაბა, რომლის შლეიფი სამი არშინის ტოლა მისთრევდა უკან. ეს კუდი-შლეიფი მიკერებული კი არ იყო კაბასთან, მიბლანდული იყო და აქა-იქ ქინძისთავეებით მიმაგრებული. ეს შლეიფი მე დამაჭერინეს ხელში და ასე გავედი პირველად სცენაზედ. მაგრამ ვაი იმ გასვლას. რომ დავინახე უშველებელი დარბაზი თეატრისა და აუარებელი ხალხი, მე ჯერ გავშტერდი, დავალე პირი და გავშეშდი ერთ ალაგას. მაჩაბელი თურმე წინ მიიწევდა და მე რომ ადგილიდან არ ვიძროდი, გაიწია ლონიერათა და იმის კუდი-შლეიფი აკი ხელში არ შემრჩა! წასკდა სიცილი იმოდენა ხალხს და ასტყდა ერთი უშველებელი ტაშის ცემა. მე შემრცხვა, გავწითლდი და მაჩაბლის კუდიანა გავვარდი კულისებში“.

მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ – 1871 წელს – მოსკოვიდან დაბრუნებული კ. ყიფიანი უკვე მუდმივად მონაწილეობს თბილისის სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში, მაგრამ, ეტყობა, სცენის შიში მაინც გამოჰყვა და კარგა ხანს მხოლოდ მოკარნახის მოვალეობას კისრულობდა. განა ეს სცენისადმი განსაკუთრებული მიდრეკილებისა და თეატრისადმი განსაკუთრებული სიყვარულის მანიშნებელი არაა? – თუ სცენაზე ვერა, – სცენასთან მაინც! თუნდაც მოკარნახის ჯიხურში!



სცენასთან ასეთმა მჭიდრო კონტაქტმა, მსახიობებთან ხშირმა შეხვედრებმა, ეტყობა, თანდათან გაუქრო შიში, გაარკვია მათი შემოქმედების თავისებურებაში. თავის მხრივ, ნიჭი, როგორც ყოველთვის, გარეგამოვლენას ითხოვდა. საჭირო იყო შემთხვევა. მან არ დააგვიანა.

1871 წელს სცენისმოყვარეებმა განიზრახეს გ. სუნდუკიანის „პეპოს“ დადგმა. წარმოდგენას თვითონ პიესის ავტორი დგამდა. მოკარნახე კ. ყიფიანი, ცხადია, ყველა რეპეტიციას ესწრებოდა და როგორც ყველა მოკარნახემ, მანაც მალე მთელი პიესა ზეპირად იცოდა. ძალზე გასჭირვებია დრამატურგს გიქოს როლის შემსრულებელ ალ. ინაშვილთან მუშაობა – მას მეტისმეტად ძლიერი და მჭექარე ხმა ჰქონია, რაც ღრმად მოხუცი გიქოსთვის სრულიად შეუფერებელი იყო. ალ. ინაშვილი კ. მაისუროვით შეუცვლიათ, კ. მაისუროვი – ლ. აბაშიძით, მაგრამ ყველაფერი ამაო აღმოჩნდა. მაშინ მოთმინებიდან გამოსულ მოკარნახეს განზე გაუხმია ალ. ინაშვილი და უჩვენებია, რანაირი ხმით უნდა ლაპარაკობდეს ხნოვანებისაგან მიმქრალი გიქო – „აი, ჩემი გიქო! – შესძახა თურმე გახარებულმა დრამატურგმა, გადაეხვია ახალგაზრდა მოკარნახეს და გიქოს როლის შემსრულებლის ძებნაც ამით დასრულებულა. ასე დაიწყო კოტე ყიფიანის, როგორც მსახიობის ცხოვრება ჯერ სცენისმოყვარეთა წრეში, 1879 წლიდან კი აღორძინებულ პროფესიულ ქართულ თეატრში, რომელსაც ალარასოდეს ჩამოსცილებია.

აქ განასახიერა მან სვიმონ ლიონიძე დ. ერისთავის „სამშობლოდან“, ოტია ჯოლია ვალ. გუნიას პიესიდან „და-ძმა“, ვივი ა. წერეთლის „პატარა კახიდან“, კონსტანტინე ბატონიშვილი ა. ყაზბეგის ამავე სახელწოდების ნაწარმოებიდან, გიქო და ზიმზიმოვი გ. სუნდუკიანის „პეპოდან“, ივანე უსტაბაში ა. ცაგარლის „ციმბირელიდან“, ფამუსოვი ა. გრიბოედოვის კომედიიდან „ვაი, ჭკუისაგან“, გოროდნიჩი გოგოლის „რევიზორიდან“, ანანია ალ. სუმბათაშვილის „ღალატიდან“, ლირი შექსპირის „მეფე ლირიდან“, შეილოკი ამავე ავტორის „ვენეციელი ვაჭრიდან“, სკაპენი მოლიერის კომედიიდან „სკაპენის ოინები“ და სხვ.

იმდროინდელი კრიტიკა დიდი ყურადღებით ეკიდებოდა კ. ყიფიანის შემოქმედებას. ბევრიც დაწერილა მის შესახებ. გვაცნობებენ, რომ ამ მსახიობის სცენური გმირი არასდროს არაა უმოქმედო, განურჩევლად იმისა, მეტყველებს იგი, თუ სდუმს. რომ სცენაზე მუდამ შეუბოჭავი და ბუნებრივია. ერთგულია პიესის ავტორის სიტყვისა. უმიზნოდ არაფერს გააკეთებს სცენაზე, რომ ყველა ამ თვისებით „ჭეშმარიტის გრძნობის სიმებს ააჟღერებს ადამიანის გულში და ესტეტიურს სიამოვნებას აგრძნობინებს“ (ი. ჭავჭავაძე), რომ „ბუნებრივის სიმართლით თამაშობს დრამატულსა და კომედიურ როლებს, ბებრებსა და ახალგაზრდებს“ (ვალ. გუნია).

1914 წელს კ. ყიფიანს იუბილე გადაუხადეს. შ. დადიანმა საქვეყნოდ განაცხადა: „ქართულ სცენაზე პირველმა შენ შემოიტანე ევროპული მოპყრობა როლისადმი და ამით შენ მოგვეც მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ექცეოდეს მსახიობი თავის მოვალეობას. ასე რომ, შენ ნიჭითაც და მუშაობითაც, გონებაგახსნილობითაც და სინდისიერების აღსრულებითაც იყავ მუდამ ღირსეული მსახიობი და მუდამ მაღლა გეკავა ნამდვილი მსახიობის დროშა“.

ნახევარი საუკუნე ემსახურა იგი ქართულ თეატრს და მრავალი სათეატრო პრობლემის გადაჭრა მოუხდა – მეტისმეტად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან მისი სცენური გმირები ასაკითაც, ეროვნებითაც, სოციალური მდგომარეობითა და ადამიანური ხასიათებითაც. განსხვავდებოდნენ ავტორები, ვის პიესებშიც მონაწილეობდა იგი. ცხადია, ყოველი როლი მიდგომასაც თავისებურს ითხოვდა. მით უფრო, რომ უაღრესად განათლებული, ის ხელოვნების ყველა დარგში ერკვეოდა შესანიშნავად.

გარდა წმინდა სათეატრო მოღვაწეობისა, კ. ყიფიანი ბევრ სხვა სახის საქმიანობასაც ეწეოდა: შეადგინა და გამოსცა ასტრონომიის, გეოლოგიის, მინერალოგიისა და სხვა ტერმინთა და ტექნიკურ სიტყვათა რუსულ-ქართული ლექსიკონი. აქტიურად თანამშრომლობდა პრესაში. ქართულად და რუსულად აქვეყნებდა სტატიებს საერთო საზოგადოებრივი პრობლემებისა და სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების თაობაზე, [illegible] სათეატრო ხელოვნების შესახებ. კამათიც იცოდა და საკუთარი შეხედულების სისწორეში [illegible] დარწმუნებაც, რადგან ყველამ [illegible] როდა, რომ მისთვის მუდამ მთავარი იყო თეატრის ღირსება და მისდამი პატივისცემა. ამის დასტურად ი. იმედაშვილის მოგონებაც საკმარისია:

„დედა რომ გარდაეცვალა და დაკრძალა, იმავე და მეორე ღამეს სცენაზე წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღო. ამ გარემოებამ ბევრში აღშფოთება გამოიწვია. დედამისი ხომ უბრალო ვინმე არ იყო ან მხოლოდ მშობელი-აღმზრდელი, არამედ შესანიშნავი ქართველი მანდილოსანიც, რომელმაც მეუღლის – დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვის დროს დიდი სიმტკიცე გამოიჩინა, როცა სასახლის წინ ცხედრის გატარებას მეფის მთავრობა გადაელობა – აქეთ არ შეიძლებაო. ამით დაბრკოლებულმა ალექსანდრე ეპისკოპოსმა დიმიტრის მეუღლეს ნინოს მიმართა: ქ-ნო ნინო, მიცვალებული თქვენია, საით გაესვენოთ? ნინომ მტკიცედ მიუგო – თუ ღირსი ვარ, ჩემი მეუღლე პირდაპირ გაატარეთ, თან ხელით მიუთითა. ეს იყო იმ დროს დიდი პროტესტი მთავრობის წინააღმდეგ. და ჩვენ აღშფოთებული ვიყავით, რომ ასეთი დედის გამო კოტემ ხანგრძლივად არ იგლოვა და იმავე ღამეს სცენაზე გამოვიდა. ეს აზრი რომ გაუნეუცხადე, კოტემ მომიგო: დედის ხსოვნას პატივს ვცემ, მაგრამ მის სულს უფრო ვაამებ, თუ ჩვენ სამშობლო სცენისა და ამხანავთა წინაშე ჩემს მოვალეობას პირნათლად აღვასრულებო“.

კოტე ყიფიანი ეკუთვნოდა მსახიობთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს, ვინც არ კმაყოფილდება წმინდა აქტიორული შემოქმედებით და ცდილობს, საკუთარი და სხვისი შემოქმედებითი პრაქტიკა თეორიულადაც გაიაზროს, გააცნობიეროს სათეატრო ხელოვნების ზოგადი კანონზომიერებანი. მისი ნააზრევი სცენის ხელოვნების შესახებ ქართული სათეატრო აზროვნების ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ის საგანგებო შესწავლას საჭიროებს. ამ წერილების წყალობით უამრავი რამ ირკვევა იმ დროის ქართული თეატრის ცხოვრების, მისი დანიშნულებისა და თავისებურების შესახებ. იმათზე, ვინც ამ ასპარეზზე იღვწოდა საქართველოში. 1885 წელს ჟურნალ „ივერიაში“ (№ 4-5) გამოქვეყნდა კ. ყიფიანის „რამდენიმე სიტყვა სცენიკურს ხელოვნებაზედ (მისი წარსული ისტორია და დღევანდელი ვითარება)“. 1895 წელს – „თეატრის მნიშვნელობა“. კ. ყიფიანის ნააზრევი სათეატრო ხელოვნების შესახებ სრული სახით დღემდე არ არის გამოქვეყნებული. ცნობილია დრამატული ნაწარმოებები, რომლებითაც გაამდიდრა კ. ყიფიანმა მაშინდელი ქართული თეატრის რეპერტუარი: „ბედი ქართლისა“, „ბრძოლა“, „განსაცდელი“, „დატრიალდა ჯარა“, „ნუთუ არ მოვა“, „ცოტნე დადიანი“ და სხვ. მათი გაცნობა საკმარისია იმისათვის, რომ ნათელი გახდეს, რა დონის მოაზროვნე იყო ძველი ქართული თეატრის მსახიობი კოტე ყიფიანი. ის ყველა თავისი შესაძლებლობით ემსახურებოდა წმიდათაწმიდა თეატრალურ რწმენას, რომელიც ასე ზუსტად გამოსახა თავის წერილში „თეატრის დანიშნულება“: „თეატრი არის უდიდესი შკოლა კაცობრიობისათვის. ეს უბრალო რამ სახუმარო-საქმე კი არ არის, ისეთი რამ არის, რომ შიგ თავს იყრის ასი და ათასი სხვადასხვა შეხედულების, სხვადასხვა ხასიათის და მისწრაფების ქალ-კაცი და ეს ამოდენა ხალხი თეატრში ერთი და იგივე ცრემლით სტირის, ერთი და იგივე სიცილით იცინის... ამ უდიდეს შკოლაში ადამიანი ბევრს რასმე შეიძენს თავისი გონებაგახსნილობისთვის“.

ნათელა ურუშაძე.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პირველი როლი



# მედეა ჩახავა

სტუდენტ მედეა ჩახავას პირველივ თეატრალურ ინსტიტუტში საკმაო „ხმაური" იყო. პედაგოგები და თანატოლები მის ნიჭსა და უნარს აღიარებდნენ. ერთადერთი სახელობითი სტიპენდიაც მას ჰქონდა დანიშნული. მედეა ჩახავას ჯგუფს ხელმძღვანელობდა დიდი რეჟისორი გიორგი ტოვსტონოგოვი. იგი დგამდა საკურსო სპექტაკლებსაც, რომლებშიც სულსა და გულს აქსოვდა. მედეა ჩახავა მთავარ როლებს ასრულებდა. თეატრალებს ჯერ კიდევ ახსოვთ ტოვსტონოგოვისეული სტუდენტური სპექტაკლები, რომლებსაც თავის დროზე დიდი გამოხმაურება ჰქონდათ. მაგალითად, ბრუშტეინის „ცისფერსა და ვარდისფერს". აქ მედეა ჩახავა ბლუმას როლს ასრულებდა, ხოლო პრისტლის პიესაში „დრო და კონვეის ოჯახი", მსახიობმა კეროლი განასახიერა. „ცისფერი და ვარდისფერი" ვასილ კაჩალოვს უნახავს. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ იგი სცენაზე ასულა, მედეასთვის უკოცნია და კარგი მომავალი დაულოცია. ორიოდე დღის შემდეგ კი დიდი რუსი მსახიობის რუსთაველის თეატრის სპექტაკლს დასწრებია. როდესაც მსახიობები და სტუდენტები გარს შემოეხვევიან, კაჩალოვს უკითხავს – „А где Блума?" მას შემდეგ მედეას ამხანაგები და მეგობრები ხუმრობით კარგა ხანს „ა გდე ბლუმას" ეძახდნენ თურმე. ინსტიტუტში ნათამაშევი როლები ქალბატონ მედეას შემოქმედებითი ბიოგრაფიის მშვენებაა.

და აი, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 22 წლის ქალიშვილმა დიდ სცენაზე გადაინაცვლა. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში პირველ ორ სეზონში იგი ფერმკრთალ სცენებში დააკავეს.

– მასობრივი სცენებით ძალიან შეწუხებული ვიყავი და იმდენად მრცხვენოდა, რომ ვცდილობდი ისეთი გრიმები გამეკეთებინა, არავის ვეცნე, – იგონებს ქალბატონი მედეა, – თეატრისათვის თავის დანებებასაც ვაპირებდი, რომ არა რეჟისორი შალვა ღსაბაძე. მან დამნიშნა ნინო ლაფაჩის დუბლიორად ასმათის როლზე სერგო კლდიაშვილის პიესაში „ირმის ხევი". ეს იყო ჩემი პირველი მთავარი როლი და ამავე დროს პირველად მომეცა შესაძლებლობა ხმა ამომეღო დიდ სცენაზე. ასმათი დადებითი გმირი იყო. დაახლოებით ორი თეატრალური სეზონის მანძილზე მონაცვლეობით ვთამაშობდით მე და ქალბატონი ნინო. ამ სპექტაკლში ჩვენი პარტნიორები იყვნენ გიორგი სალარაძე და სტეფანე ჯაფარიძე.

ასმათს დიდი თრთოლვით ვთამაშობდი, ნინო ლაფაჩი მაშინ ბრწყინვალე ფორმაში იყო და მასთან შედარებით, მე 22 წლის გოგონა, უსუსური და უფერული ვიყავი. ჩემი ხმა საორკესტრო ორმოს ვერ გადაავწვდინე, მიუხედავად იმისა, რომ დიდი პარტნიორები სიამოვნებით თამაშობდნენ ჩემთან, როგორც უმცროს კოლეგას ყურადღებას არ მაკლებდნენ და ყოველმხრივ ცდილობდნენ გაეადვილებინათ ჩემთვის თამაში.

ყოველივეს მიუხედავად ამ როლმა გამბედაობა შემძინა, უფრო გავთამამდი სცენაზე და მომდევნო პიესებში შევძელი მაყურებლისთვის ხმაც მიმეწვდინა. ასმათის როლმა თეატრში დამტოვა და მე მიმაჩნია, რომ იგი ტრამპლინიც კი იყო ჩემს შემოქმედებით ცხოვრებაში.

ამ როლთან დაკავშირებით ქალბატონი მედეა ერთ ფაქტსაც იხსენებს.

– სპექტაკლში ერთი სახიფათო მიზანსცენა იყო: სტეფანე ჯაფარიძეს უნდა მოვექნიე და „გადავეგდე". ერთ-ერთ წარმოდგენაზე როგორღაც ხელი გამეკაწრა, სისხლი წამსკდა და სცენაზე მის დამალვას ვუნდებოდი. ეს სტეფანეს დავაბრალე. სხვათა შორის, ეს განაკაწრი შემდეგ გამირთულდა და თქვენ წარმოიდგინეთ, დღესაც კი მამჩნევია ნაიარევი.

გავიდა ხანი და მე კვლავ მომიხდა მეთამაშა ისევ სერგო კლდიაშვილის ნაწარმოებში „დღესასწაული საკრეულაში", რომელიც რეჟისორმა დოდო ალექსიძემ დადგა. ამ კომედიაში ეროსი მანჯგალაძე იყო ჩემი პარტნიორი, მახსოვს, როგორ [illegible] ერთხელ თავის როლს და რა სიამოვნებით ართმევდა თავს.

...პირველი აღიარება მსახიობს მაშენკას როლმა მოუტანა ოსტროვსკის პიესაში „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება". ამ გახმაურებულ სპექტაკლში იგი დიდი კორიფეების, აკაკი ხორავას და აკაკი ვასაძის გვერდით თამაშობდა. მიუხედავად ამისა, მაყურებელმა მაინც შენიშნა იგი და ირწმუნა მისი გამორჩეული აქტიორული შესაძლებლობები.

მნიშვნელოვანი როლი, რომელმაც დიდი კმაყოფილება და გამარჯვება მოუტანა მსახიობს ჯენევრას როლი გახლდათ, ამერიკელი დრამატურგების დიუსოს და გოუს პიესაში „ღრმა ფესვები". დოდო ალექსიძის მიერ დადგმული ეს პიესა ძალიან მოდური იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში. ქართული დადგმა სტალინურ პრემიაზეც კი წარადგინეს. მართალია, სპექტაკლმა პრემია ვერ მიიღო, მაგრამ ბევრმა თეატრმა აღიარა, რომ მედეა ჩახავასა და ვალერიან კვაჭაძის [illegible]სინაირი წყვილი მთელ კავშირში შეუდარებელი იყო.

აღიარება მსახიობთან ღირსეულად მოვიდა.

**რუსუდან მუხიგულაშვილი.**

## ოსტატობა

# მსახიობის ახალი სცენური სახე

ნინო (ნინიკო) ჩხეიძე ეკუთვნის ქართველ მსახიობთა იმ პლეადას, რომლებიც კოტე მარჯანიშვილის ტრადიციებზე აღიზარდნენ, დიდი მსახიობის უშანგი ჩხეიძის და, თეატრში აღიზარდა, თეატრი იყო და დღესაც არის მისი ცხოვრების მთავარი არსი.

მოკრძალებული, უსიტყვო ადამიანი, იგი მთავარ, ხშირად ეპიზოდურ როლებსაც ასრულებდა, ბევრი ღირსშესანიშნავი სახეც შექმნა (განსაკუთრებით ქართულ რეპერტუარში). იგი, თეატრის ტრადიციის მიხედვით, მუდამ ცდილობს ადამიანის სულიერი ცხოვრების ნიუანსებში წვდომას, მისწრაფება მთელი სიმართლით დაგვიხატოს ქართველი ქალის სახე და, ეს განსაკუთრებით გამოჩნდა მის ბოლო ნამუშევარში, ბებიის როლში ნოდარ დუმბაძისა და გიგა ლორთქიფანიძის პიესაში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", რომელსაც იგი ასრულებს გიგა ლორთქიფანიძის მიერ ქართულ მოზარდ მაყურებელთა თეატრში ახლახანს დადგმულ წარმოდგენაში.

მართალი გითხრათ, სესილია თაყაიშვილის მიერ ამ როლის გენიალური შესრულების შემდეგ ეს ცდა დიდ გაბედულებას მოითხოვდა.

ნ. ჩხეიძე არ შეუშინდა თითქოს და მისთვის ახალ ამპლუას წაუბაძავად, შეიძლება ითქვას „სუფთა ფურცელზე" დახატა მის მიერ განცდილი, საკუთარი თვალთახედვით დანახული ოლღა ბებიას სახე. იგი არ „ეკამათება" სესილია თაყაიშვილს, თავისი გზით მიდის. ამ მოხუც ქალში, მას წინ ოთარაანთ ქვრივისთვის ნიშანდობლივი ხასიათის სიძლიერე როდი წამოუწევია, რაც თაყაიშვილის ბებიას ახასიათებდა ზოგჯერ, ნ. ჩხეიძის ბებიას „იარაღი" სწორედ ამ მოხუცი ქალის სისუსტეა, მისი გმირი ჩასაქრობად განწირული სანთელივითაა. ერთადერთი, რაც მას ამ ქვეყნად ამ ცხოვრების ზედაპირზე ამაგრებს, ესაა საყვარელი, საყვარელი შვილიშვილისადმი, ძველი მეგობრებისადმი – ილიკოსა და ილარიონისადმი, და ალბათ, საერთოდ, ადამიანებისადმი. მისი სუსტი ხმა და ასეთივე მიხრა-მოხრა შორსაა პროტესტისაგან, მას მხოლოდ ზურიკელას სიყვარული აძლევს ძალას და ეს სიყვარულის ძალა მასში ძლიერია, ძლიერია სურვილი მოესწროს ზურიკელას დავაჟკაცებას, მის დიპლომს. სპექტაკლის მიზანსცენები ისეა აგებული, რომ ბებია თითქმის მუდამ უკანა პლანზეა, ჩრდილში. თუმცა, იგი ამის მიუხედავად რაღაც სიკეთის უხილავ ატმოსფეროს ქმნის.

შესანიშნავია სცენა, როდესაც ბებია ჩხეიძე ზურიკელას ფერხთით დაჯდება და ბიჭის მუხლს ეალერსება, თავისთვის რაღაცას ჩურჩულებს. ეს მშვენიერი აქტიორული მიგნებაა და ზუსტად გადმოგვცემს გმირის ხასიათს, მის შინაგან განცდას, სიყვარულსა და იმედს. შთამბეჭდავია ბებიას გარდაცვალების სცენაც. ოლღა ბებიას ოცნება აუსრულდა და უკვე სიკვდილისა აღარც ეშინია – ბიჭი ხომ ფეხზე დააყენა!

მოლასლასებული ძლივს მიაღწევს საწოლს და მომტირალ, დამწუხრებულ ილიკოს და ილარიონს ოთახიდან გასვლას თხოვს, მერე შვილიშვილს ემშვიდობება, ბრძნულად, მშვიდად. ძალაწართმეულია, – მისი სიცოცხლის სანთელი ოდნავღა ბჟუტავს, მაგრამ იგი კმაყოფილი, შერიგებული მიდის ცხოვრებიდან, რადგანაც თავისი ვალი პატიოსნად აღასრულა. გამოთხოვების ეს სცენა ჭეშმარიტად ბრძნულია, ბუნებრივი; გაილია ადამიანის ცხოვრების გზა, გაასრულა მან იგი და მშვიდად ხუჭავს თვალებს, რამდენი სულიერი ძალაა ამ სისუსტეში, ბებია თურმე სუსტი არ ყოფილა, იგი ძლიერია, სულიერად ძლიერი და ამაშია მისი სიმტკიცე და ადამიანური მშვენიერება.

ნინო ჩხეიძემ ბებიის ტრადიციულ სახეში საკუთარი, შეიძლება ითქვას, აკვარელური ფერები შეიტანა, ახლებურად ააჟღერა მელოდია სიყვარულისა, ვალისმოხდისა და ამან მაყურებელი შეუძლებელია არ აალელვოს.

**ნადია შალუტაშვილი.**

## მეგობრული შარჟები



გიორგი გეგეჭკორი



ზურაბ სოტკილავა



გიორგი ხარაბაძე



მედეა კუჭუხიძე



რუსლან მიქაბერიძე

**ბელა დურგლიშვილის ნახატები.**

საქართველოს რესპუბლიკა
№60. შაბათი. 15 მარტი, 19

## გადარჩენილი რვეული

***ანკეტა:** ლალიძე ივანე ვასილის ძე, დაბადებული 1900 წლის 19 აგვისტოს, სოფელ ხაშმში (საგარეჯო).*

*მამა — ვასილ ივანეს ძე, მღვდელი 1921 წლამდე, შემდეგ სოფლის მეურნე. დედა — მარიამ იოსების ასული ქურხული — დიასახლისი.*

*ივანემ — ახლობლობაში ვანომ, დაამთავრა თბილისის მე-8 ვაჟთა გიმნაზია, 1921 წელს მასწავლებლობდა პატარძეულში, 1923-25 წლებში სწავლობდა სათეატრო სტუდიაში. 1921-22 წლებში სოფელ ხაშმში და პატარძეულში რეჟისორობდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენებს, 1925 წლიდან რუსთაველის თეატრის მსახიობია.*

*პირველად ითამაშა პანტომიმა „მზეთამზეში“ სპარსეთის მეფისწული.*

*ვანო ლალიძე — საიდან ხაშმში ლალიძეები?*

*— პაპა ივანე ლალიძე ობჩიდან (ბაღდათი) წამოსულა, კალატოზობდა; ხაშმში დაქორწინებულა მაკრინე ქოქრაშვილზე, მათ სამი ვაჟი და ერთი ქალი შეძენიათ, უფროსი იყო ვასო, ბაბუაჩემი — მიამბობს ნანული ლალიძე, რომელიც სათუთად ინახავს მამისეულ მცირე არქივს და რელიკვიებს: ნიკო გოცირიძის ნახელავ საჭადრაკო დაფას — (აჩუქა როგორც ჩინებულ მოჭადრაკესო) და გოგლა ლეონიძის მიერ „მაისტერის“ პრემიერაზე მიძღვნილ სპილოს ძვლის მუნდშტუკს და კალმისტარს.*

*ისევ „მშრალი“ ანკეტა: მუშაობის სტაჟი: 1925 წლიდან 1936 წლამდე რუსთაველის თეატრის მსახიობა. 1935 წელს საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილებით მოხსნეს თეატრიდან, 1936 წლის 22 სექტემბერს კი დააპატიმრეს...*

# ...თეთრ საყდარში თეთრი მტრედი...

## ვანო ლალიძის მოზაიკური პორტრეტი







...ქართველს რატომ უკრძალავდნენ ქართველობას?! მის მსაჯულად რატომ იჯდა უცხოტომელი?! მარტოოდენ ქართველს არ ენდობოდნენ და ამიტომაც უკიდურესი იყო ხოლმე განაჩენი: „მსოფლიო თეატრის ისტორიამ არ იცის ასეთი სასტიკი განაჩენი. გათამაშდა გრანდიოზული ტრაგიკული სპექტაკლი, რომელიც უფრო მეტი იყო, ვიდრე ცხოვრების რეალობა“ – წერს აკადემიკოსი ვასილ კიკნაძე თავისი ხვედიანი წიგნის – „წამებული რაინდების“ შესავალში (1992 წ. გამომცემლობა „ქართული თეატრი“), რომელშიც დოკუმენტური მასალების საფუძველზეა მოთხრობილი 1937 წელს დახვრეტილ და სხვა რეპრესირებულ რეჟისორთა და მსახიობთა ბედი. „სუკის“ არქივებში გაეცნო ავტორი რეპრესირებულთა საქმეებს – ძნელი იყო ემოციური ნისლით მოცული ფურცლებიდან ამოკითხული სასტიკი დაკითხვების აღქმა და ანალიზი, მაგრამ მკვლევარმა გრძნობებს თავი დააღწია და სამართლიანი წიგნი დაწერა მათზე, ვისი სახელის ხსენებაც წლების მანძილზე იკრძალებოდა.

...„მხოლოდ თავაწყვეტილ ფანტაზიას შეეძლო მოეგონებინა განჯვა-წამების ამდენი მრავალსახეობა. აბა, ვის შეეძლო ყოფილიყო ახმეტელის „კონტრაქტული სადისტი და მისი მორალური მკვლელი“, თუ არა შეკოტიხინი. სწორედ შეკოტიხინი, არტამიანი, კრიმიანი, ოსიპოვი წყვეტდნენ ქართული თეატრის ბედს. მაგულევიჩი თავისი სამეულით ადასტურებდა გამოძიებათა შედეგებს, საბოლოო ბეჭედს უსვამდა განაჩენს“ (იქვე).

...ასე უკუღმა დატრიალდა ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული ქართული თეატრის ბედი და რეჟისორ სანდრო ახმეტელთან ერთად გაწირულ ადამიანთაგან 13 დახვრიტა – ერთი მათგანია მსახიობი ივანე ლალიძე – იგი 37 წლისა წავიდა ამ ქვეყნიდან...

60 წელი გასულა მას შემდეგ... რამ გადაარჩინა ეს ფერნაცვალი რვეული, რომელიც მისი ქალიშვილის, ნანული ლალიძის წყალობით ჩემს ხელთაა. მასში ეპოეტიკის, ფსიქოლოგიის, ქართული ენის, მეტყველების ტექნიკის ლექციების ფრაგმენტებთან ერთად ესქილეს, შექსპირის, მოლიერის, ჰიუგოს, ჰაუპტმანის, რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის ქმნილებებიდანაც ნახავთ ნაწყვეტებსა და მონოლოგებს, შიგა და შიგ ენის გასატეხებსა და მისი თანამედროვე პოეტების – გალაკტიონის, გრიგოლ რობაქიძის, კოტე მაყაშვილის ლექსებს – „მერი“, „ლონდა“ (თარის ზღაპარი), „სატანა“.

„სატანასთან“ დაკავშირებით შევყოვნდები: ოციან წლებში კოტე მაყაშვილის ეს ლექსი არანაკლებ პოპულარული ყოფილა, ვიდრე მისივე „სამშობლო“ („მე სამშობლოში დავკარგე სამშობლო“)... „სატანას“ ხშირად და კარგად კითხულობდნენ თურმე აკაკი ხორავა და თვით ავტორი (რატომღაც ბოლო წიგნში არ შეიტანესო, – დანანებით მითხრა პოეტის ასულმა, ქალბატონმა ნუგეშა მაყაშვილმა).

„მაე ფრთოსან რაშზედა,
ცხოვრების მთაზედა,
ჯერეც ვერ ძლეული
დაჰქროდა წყეული,
სატანა წყვდიადით
გარშემოხვეული!
ჰქუხდა და ელავდა!..
ჰქელავდა, თელავდა,
რაც კი წინ ხვდებოდა!..
სისხლითა თვრებოდა,
მაგრამ იმისი ხმით
მაინც ვერ ძღებოდა...“

სისხლით თრობა... რა საბედისწერო სიტყვებია, რა ტკივილია მათში ჩაქსოვილი პოეტის მიერ, რომელიც 1921 წელს საქართველოს ანექსიის დროს დაღუპული ასულის – მარო მაყაშვილის ხსოვნასთან ერთად თავისუფლებადაკარგულ სამშობლოს დასტიროდა და რა მძაფრად განიცდიდა ეს ლექსი 1924 წლის სისხლისღვრის შემდეგ, როცა ეროვნული სულისკვეთებით ანთებულ რაინდთა აჯანყება ულმობლად ჩაქლეს. აკი დაკითხვაში აღიარებს ვანო ლალიძე: „ვეწეოდით ანტისაბჭოთა საუბრებს, ვსვამდით 1921-24 წლებში დახვრეტილთა სადღეგრძელოებს, იუნკრებს და ყველა მათ მოვიხსენიებდით, როგორც საქართველოს თავისუფლებისთვის დაღუპულ გმირებს“ (ვ. კიკნაძე, „წამებული რაინდები“).

„მთა გროვა მკვდრებისა,
ხორცის და ძვლებისა
სულს და გულს ჰზარავდა...
ჰაერსა სწამლავდა!
და მავის აზრდილით
ნათელ მზეს ჰფარავდა!“...

სულის შემძვრელია ლექსის ბოლოში სატანის ხარხარი – სატანისა, რომელიც ოცდაჩვიდმეტშიც ბევრს დაუბნელებს მზეს!

რა იცოდა, ვანო ლალიძემ, რომ მათ ბედს გაიზიარებდა.

დიახ, ეს განწყობილება 1924-25 წლების ანარეკლია, როდესაც სიყრმიდანვე თეატრით გატაცებული ჭაბუკი, სტუდიაში შევიდა და მთელი არსებით დაეწაფა თეატრალურ ხელოვნებას. მისი ოცნება რუსთაველის თეატრი იყო და აუხდა კიდეც ნატვრა – მოვიდა თეატრში მაღალი, მოხდენილი, პირთეთრი და თაფლისფერთვალება ჭაბუკი, რომელსაც მალე შეითვისებენ და მალე დაუთმობენ ასპარეზს. მე ხელთ მაქვს რამდენიმე ფოტოსურათი, რომლებიც მოწმობენ, რომ მას არ უჭირდა ნიღბის შეცვლა (გრიმსაც თვითონვე იკეთებდა თურმე): ქსენია მაგრისი და კაპიტანი „ანზორიდან“, ქენია – „ინტერვენციია“, გელა – „სამნი“, ამირანი – „სალტე“, გამომძიებელი პიესიდან „ლიანდაგი გუგუნებს“, ლისტიკოვი – „ქართა ქალაქი“, პოლევოი – „რღვევა“, სოთრანი – „თეთნულდი“, შვაიცერი – „ინ ტირანოს“, ბერბერი – „პროტესტი“, მესაათე – „მასტერი“ (უკანასკნელი როლი), უქებდნენ პლასტიკას – „მზეთამზე“, „მიჯაჭვული პრომეთეოსი“, აქვეა „ლამარას“ ცნობილი ახმეტელისეული სცენა (ირაკლი გამრეკელის დეკორაცია). წინა პლანზე თორღვაი და მონდიანი (ვანიკო აბაშიძე, გიორგი დავითაშვილი).

გრიგოლ რობაქიძის ლეგენდად ქცეულ ამ დრამაში, რომელიც პირველად 1926 წელს დადგეს კოტე მარჯანიშვილმა და ალექსანდრე ახმეტელმა, ვანო ლალიძე დანიშის – იჩის ვაჟის როლს ასრულებდა, მაგრამ ოცნებობდა თორღვაიზე. ეს ოცნებაც ამ გაცრეცილ რვეულში დარჩა, როგორც სახსოვრად შენახული უცხო ყვავილი...

ცნობილია, რომ „ლამარას“ მეორე სიცოცხლე უკვე მარტოოდენ ახმეტელის სახელთან არის დაკავშირებული, 1930 წელს, როცა დადგმამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა საქართველოს მიღმაც. 1930 და 1933 წლებში მოსკოვში გამართულ თეატრისა და ხელოვნების საკავშირო ოლიმპიადაზე. ამის შესახებ თვით გრიგოლ რობაქიძე აღნიშნავს, რომ „პრესა დიდი ქებით შეხვდა „ლამარას“, რომ შექსპირული სახეებისთვის შეუდარებიათ მისი გმირები. ხოლო გერმანულ ჟურნალს კი, რომელიც მაშინ მოსკოვში გამოდიოდა თურმე, ოლიმპიადის მიმოხილვა ამ ამღერებული, პათეტური სათაურით გამოუქვეყნებია:„ლამარრრრრრრა“.

...თითქოს შეყვარებული კაცის წამოძახილი იყოს! ვანო ლალიძეც შეყვარებული იყო ნახევარ ძმის – მონდიას მეტოქედ ქცეულ თორღვაიზე, ცდილობდა, რაც შეიძლება ღრმად ჩაწვდომოდა როლის არსს, კარგად ამოკითხა მისი ფსიქოლოგიური ქვეტექსტები, ისევე, როგორც აღელვებდა ჰამლეტისა და ფაუსტის სახეების წვდომის სურვილი.

ახალგაზრდა მსახიობმა მალე მოიპოვა ნდობა რუსთაველის თეატრის ძლიერ დასში. წიგნში „მხოლოდ ერთი სიცოცხლე“, რომელიც შორეული და ხანგრძლივი გადასახლებიდან დაბრუნებულმა თამარ წულუკიძემ დაწერა, იგი სხვებთან ერთად ვანოსაც იგონებს და აღნიშნავს, რომ თეატრში მოვიდა საიმედო თაობა, საიმედო შემცვლელი ძალა, რომელიც არავითარ მავნე ძალას არ ემორჩილებოდა, რომ მათ შორის იყვნენ განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდები, საერთო საქმისადმი თავდადებულნი, მტკიცე და გულწრფელნი, ზრდილნი და რომ თანატოლთა შორის ნიჭითა და ზნეობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ვანო ლალიძე, საკუთარი თავისადმი ზედმიწევნით მომთხოვნი.

„რეპეტიციებზე ვანოს აღტაცებაში მოჰყავდით თავისი სიდინჯით, მოთმინებითა და შრომისმოყვარეობით, ხოლო საქმიანი დავალებების შემთხვევაში – უკანდაუხეველობით. ალექსანდრე ვასილის ძე (ახმეტელი) მასში თავის მომავალ და უახლოეს თანაშემწეს ხედავდა საორგანიზაციო საკითხებში“.

1933 წლის მოსკოვური გასტროლების შემდეგ კიდეც დაუნიშნავს ახმეტელს დასის გამგედ, რასაც რამდენიმე მოთქმა-მოთქმა და შემფოთება გამოუწვევია დასში, მაგრამ ვანო ლალიძეს ცერად მომზირალთა გარდა მოკეთეებიც ჰყავდა თეატრში – განსაკუთრებით დაახლოებია [illegible] გოცირიძეს, აკაკი ხორავასა და გიორგი დავითაშვილს.

„დურუჯის“ მანიფესტის გამოსვლის 10 წლისთავზე, 1934 წლის ივნისში, თეატრმა იუბილე გადაიხადა.

...ეს იყო მათი უკანასკნელი დღესასწაული!..

თუ როგორი ბიოგრაფიით მოვიდა თეატრალურ სტუდიაში ვანო ლალიძე, ამის შესახებ საინტერესო მასალას წავაწყდი ცნობილი მომღერლის მიხეილ ყვარელაშვილის ნაამბობში (გამოსცა განსვენებულმა მკვლევარმა ნინო ჩიხლაძემ). ჩანს, რომ ჩვენი საუკუნის ათიან წლებში და ოციანი წლების დასაწყისში ხაშმში თეატრალური ცხოვრება დუღდა, რომ იდგმებოდა ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“, „სინათლე“, ა. ცაგარლის „ციმბირელი“, გ. ერისთავის „ბაიყუში“, ვ. გუნიას „და-ძმა“, შ. დადიანის „სამეგრელოს თავადი ლევანი“, აღრე შექსპირსაც დგამდნენ – აღნიშნავს მიხეილ ყვარელაშვილი. ცხადია, ყოველივე ამის თაოსანი მწყრალი იოსებ იმედაშვილი იყო, რომელსაც ჯერ კიდევ 1905 წელს დაუარსებია თეატრი და აკაკის „პატარა კახი“ წარმოუდგენია. თეატრით გატაცებული ახალგაზრდობის დიდი გუნდი შემოუკრებია, რომელთაგან ყველა როდი გაჰყოლია ბოლომდე გზას ხელოვნების ტაძრისაკენ, მაგრამ თეატრისადმი სიყვარული არ განელებიათ. სპექტაკლებში მონაწილეობდნენ ალ. ნათიშვილი (შემდგომში აკადემიკოსი), თვით იოსებ იმედაშვილი, დავით და ლუკა ნახუცრიშვილები, ვასო და ნუშო ლალიძეები, ნინო და ეკატერინე ნახუცრიშვილები, მიტა კოპორიძე, აბრამ გოგნიაშვილი. ნუშო ლალიძე-ჭიაბრიშვილისა ვანოს მამიდა იყო, მათ ოჯახში იზრდებოდა თბილისში და გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მასწავლებლობასთან ერთად კვლავ რეჟისორობდა და მსახიობობდა. ბეჭდავდა წერილებს იერისპირელის ფსევდონიმით.

ხაშმში საბავშვო დრამატული წრეც ყოფილა, რომელშიც მონაწილეობდნენ ხოლმე თამარ ბაქრაძე (შემდგომში ცნობილი მსახიობი), ქეთევან ლალიძე, ვანო, მერი და ნინო ლალიძეები, ტასო ხაბაზიშვილი, სიმონ ქოქრაშვილი, სპირიდონ, ნინო, გაიოზ ნახუცრიშვილები, ვახტანგ გელოვანი, ვენი ნემანი და თვით ტკბილხმოვანი ჭაბუკი მიხეილი. ვანოც კარგად მღეროდა თურმე, ეკლესიაში გალობდა ხოლმე ბავშვობაში.

წერილში „ჩემი სიყრმის მეგობარი“ (1988 წ. 8 IV „ვეჩერნი ტბილისი“). სახალხო არტისტი თამარ ბაქრაძე იგონებს, „როცა რუსთაველის თეატრის ისტორიას გადახედავ, შეუძლებელია არ ახსენო ვანო ლალიძე, ეს გონიერი და ნიჭიერი მსახიობი. ჩვენ ბავშვობიდან ვიცნობდით ერთმანეთს. ყველას უყვარდა ეს ცოცხალი ყმაწვილი. კარგად მახსოვს თავდავიწყებამდე რომ იყო გატაცებული თეატრით. არდადეგების დროს რეჟისორობდა და მსახიობობდა კიდეც. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კი მე იგი აკაკი ფალავას სტუდიაში მოვიყვანე“.

ასე რომ, ვანო ლალიძე თეატრიდან თეატრში მოვიდა, სხვა გზა მისთვის არ არსებობდა! ეპიზოდურ როლებსაც ოსტატურად ძერწავდა და მთავარი როლებიც მალე გაჩნდა მის რეპერტუარში, მაყურებლის გულიც სწრაფად მოუნადირებია ელვარე და მოულოდნელობით ალ[illegible] თამაშით.

თავის მხრივ, ვანო ლალიძეს [illegible] კარგად იყო დაუფლებული, როგორც [illegible]ლხურ სიმღერებს, ასევე რუსულ და [illegible]რთულ რომანსებს – „შენ ჩემო [illegible] ვანო ხარო“, – ეტყოდა თურმე მას ვალერიან გუნია, რომელიც იოსებ იმედაშვილის ჟურნალის – „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში გაუცვნია. ერთხელაც, ხაშმში „სურამის ციხის“ მას[illegible] სცენების გადაღებამ ჩასულ მიხეილ ჭიაურელისა და ივანე პერესტიანს უხმენიათ ყვარელაშვილის სიმღერა და უთქვამთ, – ამ ბიჭს პატრონი უნდა. სწორედ ვანო ლალიძე აღმოჩნდა ის, ვინც ჭაბუკ თანასოფლელს პატრონობა გაუწია – მისი დაჟინებული თხოვნით შესულა 20-21 წლის მიხეილი რუსთაველის თეატრის დრამატულ სტუდიაში, რომელსაც აკაკი ფალავა ხელმძღვანელობდა. მისალებ გამოცდებს ესწრებოდნენ [illegible] მარჯანიშვილი, სანდრო ახმეტელი, [illegible] ბახუტაშვილი-შულგინა, ნიკო შიუკაშვილი, უშანგი ჩხეიძე, აკაკი ვასაძე, მიხეილს ვანოს ხელმძღვანელობით საგანგებოდ მომზადებული ლექსი – იოსებ გრიშაშვილის „ახალი ღმერთი“ წაუკითხავს, ისე კარგად შეუსრულებია ეტიუდი, – აკვნის უსიტყვო სცენა, რომ დამსწრეთ ტაში დაუკრავთ, რაზეც მარჯანიშვილს მკაცრად უთქვამს: ეს კონცერტი როდი არისო... გამოცდის შემდეგ ახმეტელი დაინტერესებულა მისი ვინაობით და [illegible]ოცებულა: „ხაშმელმა ბიჭმა ამდენს [illegible] აღწიოთ?“ ასე მოხვდა სტუდიაში [illegible] ლალიძის მოწაფე და როგორც ნიჭიერ სტუდენტს იუქინ-სუმბათაშვილის სტიპენდიაც დაუნიშნეს (35 მან.).

ვანო ლალიძის ცხოვრებას კიდევ უფრო გაალამაზებს ქალი, რომელიც მისი ერთგული თანამგზავრი გახდება – ქეთევან გაბუნია, – ძმისწული სახელოვანი ნატო გაბუნიასი, რომლის უმ[illegible]თაც გაჩნდა ალბათ დამენათვეა კიდ[illegible] რვეულში არაერთი ჩანაწერი. ისინი [illegible]ლზე უხდებოდნენ ერთმანეთს, – ეს [illegible] აგარაკზე გადაღებული ფოტოსურათებიდან, რომლებიც მათ საოჯახო ალბომში მინახავს.

დამეული ჩანაწერებიდან კი განსაკუთრებით მენიშნა ნაღვლიანი სიტყვები, თვითონვე რომ გადმოუქართულებია: „რაშია ბედნიერება?“

– იმ ცხოვრების გზაზედ, რომელზედაც დაგაყენა მოვალეობამ, ნუ და[illegible]სახავ ნურავის მტრად, ნუ გაზომავ დაბრკოლებებს, მხოლოდ აგარე [illegible] მცნება: სიყვარული, ნდობა და რწმენა“.

„ისევ მე“

ასე მიუწერია, რადგან წინა ფურცლებზეც მკაფიოდაა გამოკვეთილი „მ[illegible] ნდობა და რწმენა... მას ამ ცნებებმა არ გაუმართლა!..

იგი კარგად გრძნობდა ლიტერატურულ მასალას, სიტყვის ჟღერადობას და ფერადოვნებას, ხოლო დავითაშვილის მიერ მისდამი ნაჩუქარ ფოტოსურათზე წარწერილი სიტყვები სინანულის გრძნობას აძლიერებს:

„ლამაზ მსახიობს და მეგობარს სიყვარულით“.

1929 წლის 18/11.

ათიოდე წელი ეწერა მხოლოდ თურმე ვანო ლალიძის ლამაზ შემოქმედებას.

„1936 წლის 22 სექტემბერს გამოწერა სამი ქართველი მსახიობის – ელგუჯა ლორთქიფანიძის, ივანე ლალიძის და ია ქანთარიას ორდერი № 471, 472, 464.

მეხის გავარდნას ჰგავდა ქართულ თეატრში მათი დაჭერა. პირველები დაჭირეს და გახავებია საზოგადოების მძაფრი რეაქცია“ (ვ. კიკნაძე „წამებული რაინდები“).

ეს ის დრო იყო, როცა ჭრიდა სიტყვა მზაკვრისა და არა მეგობრისა; სიტყვა სულმდაბლისა და არა ვაჟკაცისა!

ვანო ლალიძის კაცური კაცობის საბუთად ესეც კმარა:

„ძვირფასო ვანიკო! მშობლიური სიტყვის აღორძინებისთვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა იყო ქართველი! გქონდეს მტკიცე ნება, სადა და მიუკერძოებელი გონი და ადამიანური გული.

შენში ყველა ეს თვისება არის. გიძღვნი სახსოვრად ჩემს „სიფათს“, ნიშნად ჩვენი სცენის მტრების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისა“ – „კარმენსიტას“ გმირის – გარსიას ფოტოზე წააწერია 1928 წლის 23 მარტს აკაკი ხორავას!

...შუაღამე დიდხნის გადასული იყო, გაცრეცილი რვეული რომ დავხურე და მომეჩვენა; იქიდან თეთრი მტრედი ამოფარფატდა და თეთრი საყდრისაკენ გაფრინდა.

თეთრი მტრედი თეთრ საყდარში. როგორც სხვა არსებად გარდასახული სტუკი სული.

**ნანა ლვინეფაძე.**
1997 წლის 11 III.

საქართველოს რესპუბლიკა
№60. შაბათი. 15 მარტი. 1997 წელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიცა

# მსოფლიო ენციკლოპედიის ფურცლებზე

კანადელმა დონ რუბინმა, რომელიც ტორონტოს იორკის უნივერსიტეტში მოღვაწეობს, რამდენიმე წლის წინათ დაიწყო მუშაობა თანამედროვე თეატრის მსოფლიო ენციკლოპედიის შედგენაზე. იგი წლების განმავლობაში პლანეტის თითქმის ყველა ქვეყნიდან აგროვებდა მასალებს. ენციკლოპედია იმთავითვე ხუთ ტომად განისაზღვრა. პირველი ტომი დაეთმო ევროპას, მეორე – ამერიკას, მესამე – აფრიკას, მეოთხე – არაბულ სამყაროს, მეხუთე ტომი კი აზიასა და ოკეანიას.

ლონდონ-ნიუ-იორკის ერთობლივმა გამომცემლობამ „ROUTLEDGE“ ახლახან დაბეჭდა თანამედროვე თეატრის მსოფლიო ენციკლოპედიის პირველი და მეორე ტომი. ისინი უკვე გამოგზავნეს თბილისში, აღნიშნული ენციკლოპედიის ერთ-ერთი თანაავტორის, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, პროფესორ ეთერ გუგუშვილის სახელზე. საშუალება მომეცა თვალი გადამევლო ამ წიგნებისათვის. პირველი ტომი შეიცავს 1050 გვერდს და თავს უყრის ევროპის 50 ქვეყანას. მეორე ტომი – 600 გვერდზე მეტია და აერთიანებს ამერიკის კონტინენტის 26 ქვეყანას.






თანამედროვე მსოფლიო თეატრის ენციკლოპედია დაბეჭდილია თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის, თეატრის კვლევის საერთაშორისო ფედერაციის, თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების საერთაშორისო საზოგადოების და იუნესკოს ეგიდით.

ძირითადი ყურადღება მეოცე საუკუნის თეატრზეა გამახვილებული, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, ბერძნულ, ავსტრიულ თეატრებზე ნარკვევებს ათეულობით გვერდი და ფოტო ეთმობა, ამასთან რამდენიმე ავტორი ჰყავს, ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და კიდევ ოცამდე ქვეყნის თეატრზე ტექსტი თითო მკვლევარს ეკუთვნის. ყველა ნარკვევს ერთნაირი სტრუქტურა აქვს და შეიცავს: ზოგად მიმოხილვას, სამსახიობო ხელოვნებას, დრამატურგიას, რეჟისურას, მუსიკალურ თეატრს, საცეკვაო ხელოვნებას, საყმაწვილო და თოჯინურ თეატრებს, სცენოგრაფიას, თეატრალურ შენობებს, სათეატრო კრიტიკას და სათეატრო ხელოვნებაზე შექმნილი ძირითადი შრომების ბიბლიოგრაფიას.

როგორც ეთერ გუგუშვილისაგან შევიტყვეთ, დონ რუბინს ენციკლოპედიის მოსამზადებელი სამუშაოების გასაწევად მსოფლიოს ყველა რეგიონში ჰყოლია კურატორები. მოსკოვის საკურატორო ცენტრს ხელმძღვანელობდა პროფესორი მილიცინა კაგოვსკაია (მოსკოვის ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი). სწორედ იგი დაუკავშირდა პირველად ამ შვიდი წლის წინათ ქართველ თეატრმცოდნეს და შესთავაზა საერთაშორისო ენციკლოპედიისათვის ნარკვევის დაწერა. ამის შემდეგ ტორონტოს იორკის უნივერსიტეტთან ქალბატონ ეთერს უშუალოდ ჰქონდა ურთიერთობა – დიდხანს ათანხმებდა და ხვეწდა ტექსტის საბოლოო ვარიანტს. მან მიჩვენა საქაღალდე, რომელშიც თავმოყრილია წლების განმავლობაში გაწეული უზარმაზარი შრომა, ასობით გვერდი – შავი ვარიანტები, საბოლოო ტექსტის დედანი და მისი ინგლისური თარგმანი, ასევე მიმოწერა დონ რუბინთან.

თანამედროვე თეატრის მსოფლიო ენციკლოპედიის პირველ ტომში ქართულ თეატრს 15 გვერდი ეთმობა, დაბეჭდილია ფოტოები სპექტაკლებიდან „ოტელო“, „რევიზორი“, „რიჩარდ მესამე“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „ახალგაზრდა ვეარდის სახელით“.

**გიორგი ლალიაშვილი.**

## აკაკი ფალავა – 110

# დიდი მოღვაწე

ღიახ, დიდი მოღვაწე იყო აკაკი ფალავა. უცნაური ბედი ხვდა წილად, რასაც იმსახურებდა, იმის მეათედი დაფასებაც არ ჰქონია ცხოვრებაში. არ უყვარდა თავის გამოჩენა, მუდამ „მეორე პლანზე“ დგომა ერჩია. არც არავის შეუწუხებია დიდად თავი მის წარმოსაჩენად.

ასეთია მოკრძალებული, მაგრამ ნამდვილი მოღვაწის ბედი.

დიდი მოღვაწეები კი მუდამ ცოტანი იყვნენ.

აკაკი ფალავამ ისტორიული როლი შეასრულა ხელოვნებათა თაობების აღზრდაში და რუსთაველის თეატრის რეორგანიზაციაში, ქართული თეატრალური ძალების გაერთიანებასა და ახალი დასის ფორმირებაში.

1920 წელს აკაკი ფალავას ხელმძღვანელობით მოხდა რუსთაველის თეატრის განახლება. ფალავამ თეატრში მიიწვია ყველა ცნობილი მსახიობი და რეჟისორი: ახალგაზრდა ახმეტელი, სრულიად უცნობი ახალგაზრდა მსახიობები. ყველა ნიჭიერ კაცს გაუღო რუსთაველის თეატრის კარები. უშანგი ჩხეიძემ ზუსტად შეაფასა აკაკი ფალავას ეს დიდი ღვაწლი: „ჩემი თაობის აქტიორთა პირველი ნაბიჯები თქვენს სახელთან არის უშუალოდ დაკავშირებული. 1920 წელს, როდესაც დაარსდა სახელმწიფო დრამა, რომლის ერთ-ერთი ინიციატორი და პირველი ხელმძღვანელი თქვენ იყავით, ჩვენ, ახალგაზრდა აქტიორებმა, პირველად შევდგით ფეხი მაშინ დიდ სცენაზე, თქვენ იყავით პირველი ჩვენს რეჟისორებში, რომელიც ამხნევებდით და გაბედულად აწინაურებდით ყველა ახალგაზრდას. თქვენ იყავით არა მარტო რეჟისორი, არამედ აღმზრდელი და დამცველი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, გაუბედავი მომავალი ძალებისა. თქვენი ყველაზე უფრო ასრებითი და შესანიშნავი თვისება, რომელიც დღემდე ახასიათებს თქვენს ბუნებას, ეს არის დიდი სიყვარული ახალგაზრდობისადმი. თქვენ რომ წმინდა რეჟისორულ გზას გაჰყოლოდით თეატრში, თქვენი სახელი დღეს უფრო ცნობილი იქნებოდა ფართო საზოგადოებრიობისათვის, მაგრამ თქვენ, უფრო რთული და უჩინარი გზა აირჩიეთ – ახალგაზრდობის აღზრდა! ჩემი აზრით კი ერთი ნიჭიერი ადამიანის აღზრდა მრავალ ნიჭიერად დადგმულ პიესას აღემატება!“.

1920 წელი რუსთაველის თეატრის განახლების წელია, რომელიც აკაკი ფალავას განსაკუთრებულ ღვაწლთან და ამაგთან არის დაკავშირებული.

1922 წელს შექმნა თავისი სტუდია, რომელიც 1923 წელს საფუძვლად დაედო სათეატრო ინსტიტუტის დაარსებას. სწორედ აკაკი ფალავას განსაცვიფრებელ თავდადებას, მის დიდ ორგანიზატორულ ნიჭიერებას და ეროვნული საქმისადმი თავდადებას უნდა ვუმადლოდეთ, რომ მან შეძლო დაემტკიცებინა სათეატრო ინსტიტუტის აუცილებლობა. ზუსტად განსაზღვრა მისი ადგილი ქართველი ხალხის ცხოვრებაში. იგი გახდა პირველი რექტორი. მან ინსტიტუტში ლექტორებად მოიწვია: ივ. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, დ. უზნაძე, გ. ჩუბინაშვილი, კ. გამსახურდია, გრ. რობაქიძე და სხვები. მსახიობებს სპეციალობებს ასწავლიდნენ კოტე მარჯანიშვილი და სანდრო ახმეტელი. მსოფლიოს რომელ უმაღლეს სასწავლებელს არ დაამშვენებდნენ ასეთი პედაგოგები!

ახალგაზრდობის წლებიდანვე იტაცებდა პედაგოგიური მუშაობა. „თხუთმეტი წლის ვიყავი, – იგონებს ბატონი აკაკი – პროგიმნაზიის მესამე კურსის მოწაფე, როცა შევკრიბე ჩემი სოფლის მეზობელი გლეხის ბავშვები და წერა-კითხვის სწავლება დავაწყებინე. მას შემდეგ, ყოველ ზაფხულს, ვიდრე 1917 წლამდე ასეთი ტრადიცია დამკვიდრდა ჩვენს ოჯახში“.

ასე იწყება საზოგადო მოღვაწეობა, ასე ყალიბდება თანდათან საქვეყნო საქმისათვის თავდადებულთა სახეები.

აკაკი ფალავა იყო განათლებული, ფართო ერუდიციის ხელოვანი. მან დაამთავრა მოსკოვის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი, შემდეგ სამხატვრო თეატრის სტუდია, მოსკოვიდან დაბრუნდა განათლებული, თავისი სამშობლოს მომავალზე დაფიქრებული ახალგაზრდა, სწავლების წლებშივე აქვეყნებდა სტატიებს, სხვადასხვა პრობლემურ შრომებს, იხილავდა ქართული თეატრის თეორიისა და პრაქტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

აკაკი ფალავა იყო კონსერვატორიის პრორექტორი, საოპერო სტუდიის დამაარსებელი, მუშაობდა ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის დირექტორად, თეატრში რეჟისორად და იყო მრავალ საზოგადო საქმეთა ინიციატორი.

1939 წლიდან სიკვდილამდე იყო თეატრალური ინსტიტუტის პრორექტორი, თეატრალურ ხელოვანთა მრავალი თაობის აღმზრდელი.

მახსოვს აკაკი ფალავას პრორექტორობა. მაშინ ინსტიტუტის სტუდენტი ვიყავი. იგი გვასწავლიდა პროფესიისადმი სიყვარულს, გულმოდგინებას, თანმიმდევრულ შრომას. ზოგჯერ გვიკვირდა კიდეც, ისეთი ყურადღებით ეპყრობოდა ხოლმე ყოველ წვრილმანსაც კი, რაც თეატრის ისტორიისა და აღზრდის სისტემასთან იყო დაკავშირებული. მისთვის არ არსებობდა უმნიშვნელო და პატარა საქმე, ყოველთვის სერიოზულ ღირებულებას ანიჭებდა თეატრალურ მოვლენებს და სტუდენტის ქცევის ნორმებს.

აკაკი ფალავას რეჟისურა იმ რეფორმატორულ ძიებათა არეალშია მოქცეული, სადაც პირველი ქართველი პროფესიონალი რეჟისორები მოღვაწეობდნენ; ეს არის მარჯანიშვილამდელი პერიოდი, როცა დიდი ბრძოლები მიდის თეატრის განახლებისათვის. ამ პერიოდის შესახებ ვ. ანჯაფარიძე წერდა: „მან ჩამოიტანა სამხატვრო თეატრის პრინციპები და მე პირველად ვიგრძენი ნამდვილი სცენური კულტურა და დისციპლინა. აკაკი ფალავამ შეამზადა ნიადაგი, რომ კოტე მარჯანიშვილს ასე უცებ, ორ თვეში აეწია ქართული თეატრი. ნიადაგი მზად იყო, რომ მარჯანიშვილს სასწაული მოეხდინა და ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის აკაკი ფალავას“.

ფსიქოლოგიური თეატრის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი სიტყვა თქვეს პირველმა პროფესიონალმა რეჟისორებმა. მათ შორის იყო აკაკი ფალავაც. პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა დავით კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერების“ დადგმას. დავით კლდიაშვილი თავის „მემუარებში“ წერდა: „განსაკუთრებული სიყვარულით გამითბო ჩემი პიესები, გამიცოცხლა და გამიშუქა აკაკი ფალავამ“. სპექტაკლის შესახებ მაშინდელი საზოგადოებრივი აზრი გამოხატა გაზეთმა „ქართულმა სიტყვამ“: „უნაკლოდ იყო წარმოდგენილი „ირინეს ბედნიერება“, არც ერთი ხაზი, ხელის არც ერთი გაქნევა არ იყო გაუმართლებელი, სრული მიზანშეწონილობა, სრული ილუზია გამეფებულიყო სცენაზე და იმერეთის სოფლის ცხოვრება ხელის გულივით გადაგვეშალა თვალწინ. ჭეშმარიტად დიდი დაკვირვება და გემოვნება გამოუჩენია ბ-ნ აკაკი ფალავას“. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წერილის დასკვნა „ასეთი მუშაობა და გულმოდგინება თავდებია იმისა, რომ ჩვენი დრამა განახლებისა და განმტკიცების გზიდან აღარ გადაუხვევს და მალე ემსახურება ჩვენს ხელოვნებას, ჩვენს თეატრს, ჩვენს საზოგადოებრივ გამოფხიზლებას“.



აკაკი ფალავას სპექტაკლში გამოჩნდა აკაკი ვასაძის (აბესალო) დიდი ნიჭი, გამობრწყინდა სხვა ახალგაზრდა მსახიობთა ნიჭიერება. ასევე წარმატებით დადგა „სამანიშვილის დედინაცვალი“ და „უბედურება“.

მან ახლებურად გაიაზრა დავით კლდიაშვილის შემოქმედებითი სამყარო და იგი სამართლიანად გამიჯნა გიორგი ერისთავის სკოლის დრამატურგიისაგან.

აკაკი ფალავას სპექტაკლებმა შეაჩერეს დავით კლდიაშვილის ნაწარმოებთა ვოდევილიზაციის პროცესი თეატრში.

ცალკე უნდა აღინიშნოს აკაკი ფალავას განსაკუთრებული დამსახურება რუსთაველის თეატრის შენობაში ქართული დრამის თეატრისათვის გადაცემის საკითხში. შენობაში ერთად იყვნენ ქართული, რუსული და სომხური თეატრები. განაწილებული ჰქონდათ დღეები, რომელ თეატრს, რომელ დღეს უნდა წარმოედგინა სპექტაკლი. აქ ფალავამ დიდი ტაქტით, მაგრამ პატრიოტული მიზანდასახულობით დაიწყო პროფესიული მტკიცება, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი იყო სამი თეატრის ერთ ჭერქვეშ მოღვაწეობა.

ისინი უნებლიედ ხელს უშლიდნენ ერთმანეთს. აკაკი ფალავა წერდა: „უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ყოველი სერიოზული დასისათვის აუცილებელია სავსებით და მხოლოდ და მხოლოდ მის განკარგულებაში მყოფი თეატრი. ჩვენ რუსებთან და სომხებთან შეთანხმებით ვმუშაობთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, უნებლიედ ერთმანეთს შევუშლით ხელს, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ სცენა ხან ერთის განკარგულებაში იქნება, ხან მეორის“.

აი ნამდვილი ეროვნული, ჭკვიანი, წინდახედული, ინტელიგენტი მოღვაწის სახე.

ლეგენდები დადიოდა ალექსანდრე იმედაშვილის ოტელოზე. ჩანს, რომ იგი ერთგვარად აუცილებელი საფეხურიც იყო ქართული შექსპირიანას ისტორიაში. აკაკი ფალავას სპექტაკლი „ოტელო“ დაიბადა მძაფრ დისკუსიებში. დიდად განათლებული, თეატრმცოდნეობით პრობლემებში ღრმად ჩახედული რეჟისორი აკ. ფალავა მსახიობებთან ერთად ახდენდა მხატვრული სახის გააზრებას, სპექტაკლის კონცეფციის შემუშავებას და მის სცენურ რეალიზაციას ალ. იმედაშვილის ოტელო მთელი თაობის არტისტული ოსტატობის გამარჯვება იყო. მაყურებლები დიდხანს იგონებდნენ იმედაშვილის ოტელოს და როცა შეიქმნა ხორავას ოტელოს გენიალური სახე, მაშინაც კი, საკმაოდ დიდხანს უპირისპირებდნენ იმედაშვილის ოტელოს. თანაც, ჩვენი ქართული ხასიათი – ერთმანეთთან დაპირისპირების ჟინი!..

აკაკი ფალავა იყო ქართული კულტურის დიდი მოღვაწე. დიდხანს ჩრდილში იდგა მისი სახელი იმის გამო, რომ იგი ეკუთვნოდა ფედერალისტების პარტიას, კომუნისტებისათვის კი ეს ანტიპარტიულობის ტოლფასი იყო. მას არაერთხელ წამოაძახეს კიდეც პარტიული წარსული.

ღრმად მწამს, რომ მომავალში უფრო მეტად დაფასდება აკაკი ფალავას დიდი ღვაწლი და ამაგი.

**ვასილ კიკნაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პრემიერის წინ



# ახალი შეხვედრა ფიფქიასთან და მის მეგობრებთან

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური თეატრი პრემიერისათვის ემზადება. იგი ბავშვებისათვის არის განკუთვნილი. სცენაზე ცოცხლდებიან ძმები გრიმების ცნობილი ზღაპრის „ფიფქია და შვიდი ჯუჯას“ გმირები.

პატარებმა რახანია ტელეეკრანზე გაიცნეს და შეიყვარეს ამ ზღაპრის პერსონაჟები დისნეისეული არაჩვეულებრივი ეკრანიზაციით. რუსმა ავტორებმა ლევ უსტინოვმა და ოლეგ გაბაკოვმა იგი გაასცენიურეს. ქართულ სცენაზე ეს ზღაპარი მარმან მიუზიკლის ჟანრში ვიხილეთ, რომლის ავტორია კომპოზიტორი ნუნუ გაბუნია. იგი რუსთაველის სახელმწიფო საბავშვო თეატრში დადგა ვაჟა ძიგუამ, რომელსაც ამავე დროს ამ პიესის ქართული თარგმანი ეკუთვნის. დადგმა წარმატებული გამოდგა, გარდა იმისა, რომ პატარა მაყურებელმა იგი კარგად მიიღო, მას რუსთავის თეატრალურ ფესტივალზე „ოქროს ნიღაბი“ ერთ-ერთი მთავარი პრიზი მიენიჭა.

იგივე სადადგმო ჯგუფის მონაწილეობით ამჯერად „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ სახელმწიფო მუსიკალურ თეატრში ხორციელდება. ცხადია, დრამატულ თეატრთან შედარებით მიუზიკლის დადგმა მუსიკალურ თეატრში უფრო უპრიანი უნდა იყოს.

პრემიერის წინ გავესაუბრეთ **ვაჟა ძიგუას:** შარშანდელი წელი, ალბათ, ყველაზე ბედნიერია ჩემთვის, უწინარესად იმით, რომ ჩემი პირველი ცდა რეჟისურაში პროფესიულ სცენაზე იღბლიანი აღმოჩნდა. ნუნუ გაბუნიას მიუზიკლის „ფიფქია და შვიდი ჯუჯას“ დადგმა პრიზით აღინიშნა რესპუბლიკურ ფესტივალზე. ამავე წელს გავხდი იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი რუსთავის თეატრის შემოქმედებით ჯგუფთან ერთად (როგორც ინსცენირების ავტორი) სპექტაკლისათვის „ოქროს თევზი და მებადური“ და ბოლოს, პრემია წლის საუკეთესო რეცენზიისათვის.

ამ სამი მნიშვნელოვანი მოვლენით გამოწვეული სიხარული დააგვირგვინა ბატონ გიგა ლორთქიფანიძის მოწვევამ ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალურ თეატრში „ფიფქიას და შვიდი ჯუჯას“ დასადგმელად. ბატონ გიგას ეს მიწვევა, პირადად ჩემთვის ყველა ჯილდოზე უფრო დიდია!

***რუსთავის თეატრისაგან განსხვავებით ამჯერად რა ცვლილება განიცადა მიუზიკლმა?***

– მუსიკალური თეატრის ჟანრიდან გამომდინარე ახალი ვარიანტი შევქმნა; უფრო გამდიდრდა მუსიკალურად. აქ მეტი შესაძლებლობები გვაქვს, თუნდაც კორდებალეტის გამოყენებისა, რაც უფრო შთამბეჭდავს გახდის მასობრივ სცენებს, სადღესასწაულო ელფერს სძენს მთელ რიგ ეპიზოდებს. რუსთავის დადგმაში ჯუჯები ერთი ხმით მღეროდნენ, აქ კი ისინი სამი ხმით ამღერდებიან. საერთოდ, სპექტაკლში დასაქმებული მსახიობები თანაბარი შესაძლებლობებისანი არიან. გამოცდილ მსახიობებთან ერთად საშუალება მომეცა მომეზიდა თეატრისა და კინოს ინსტიტუტის მუსიკალური ფაკულტეტის მთელი ჯგუფი, რომელთა დაოსტატებას ბატონები გიგა ლორთქიფანიძე და ნუგზარ გაჩავა ხელმძღვანელობენ.

ვფიქრობ, ახალი ვარიანტი უფრო საინტერესო იქნება, მხატვრებმა ლომგულ მურუსიძემ და მანანა გუნიამ განსხვავებული ესკიზები წარმოადგინეს. ქორეოგრაფმა რამაზ გულუამ დადგმა ახალი საცეკვაო ნომრებით შეავსო. ერთმა პერსონაჟმა, ეგერმა, რადიკალური სახეცვლილება განიცადა. ეს იდეა მსახიობ ნუგზარ ახალკაცს ეკუთვნის. იგი ორ სახეს შეითავსებს – იქნება მასხარაც და ეგერიც. ერთი სიტყვით, ვმუშაობთ შეთანხმებულად და გატაცებით.

კომპოზიტორი ნუნუ გაბუნია: რუსთაველის ფატმას სახ... ...სა... კვაო ნომერიც დაემატა და საკმაოდ ბევრი მუსიკალური მასალა დაგროვდა, ვფიქრობ, მიუზიკლის ჟანრი ამჯერად უფრო გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა.

საერთოდ ძალიან გამიტაცა ამ ნაწარმოებზე მუშაობამ. ზღაპარი იმდენად პოპულარულია ბავშვებში, რომ ნაწარმოები ხელახლა რომ მოაწონო ეს ფრიად ძნელი და პასუხსაგებია, ამავე თეატრში დღეს ჩემი მეორე ოპერეტა „კანტო“ იდგმება, იგი შევქმენი აკაკი წერეთლის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით. მასზე მუშაობს რეჟისორი გაიოზ ქართველიშვილი. ამ თეატრში ჩემი ორი ნაწარმოების დადგმა ცხადია, მაღელვებს. ვნახოთ როგორ მიიღებს მათ მაყურებელი.

ფიფქიას როლზე მიუზიკლში ერთდროულად ოთხი შემსრულებელი გადის რეპეტიციას. ესენი არიან სტუდენტები ნატო ჩხეიძე, თამთა ცხვიტავა, მაკა ზამთარაძე, მსახიობი მაიკო გელოვანი... აშვილი. დედოფლის სახეზე მუშაობენ გამოცდილი მსახიობი მარინე ლორთქიფანიძე და სტუდენტები ალუ ბერიძე და მაია გელაშვილი. სამეფო სურვილთა მთავარი შემსრულებლის სახეს კი ქმნიან თეატრის მსახიობები – იური ფოფხაძე, უმცროსი ბადრი ბეგალიშვილი.

ბავშვებისათვის ყველაზე საყვარელ პერსონაჟებს, ჯუჯებს განასახიერებენ: სოსო ტვილდიანი, ალეკო ბეგალიშვილი, გიორგი ყველაშვილი, აკაკი თოფურია, ტატო ბარათაშვილი, თომა ბულაშვილი, ანზორ ხიდაშელი, ნუგზარ ჯებაშვილი და ზურაბ ქევხიშვილი. უფლისწულია ირაკლი ჯაფარიძე.

მაშ ასე, ორიოდე კვირაში ყმაწვილებს ფიფქიასთან, ჯუჯებთან და მათ მეგობრებთან ახალი შეხვედრა ელით.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

სურათზე: რეპეტიციის მომენტი.
ჯავარ ლომაძის ფოტო.

## იუბილე



# უანგარო მსახურებით

თეატრისა და მწერლობის სიყვარული ბატონ ვაჟა ბრეგაძეს ოჯახური გარემოდან მოსდგამს. დედა – თამარ ბერეჟიანი სესილია თაყაიშვილისა და სანდრო ჟორჟოლიანის (მათი დედებიც ბერეჟიანები იყვნენ) ახლო ნათესავი იყო, მამა – საველე ბრეგაძე კი ცნობილი ფილოლოგი.

თეატრთან ხშირმა ურთიერთობამ, ლიტერატურით უსაზღვრო გატაცებამ განსაზღვრა კიდეც მისი პროფესია. მადლიერებით იხსენებს თეატრალურ ინსტიტუტს, განუმეორებელ პედაგოგებს დიმიტრი ჯანელიძეს, ილია თავაძეს, ეთერ გუგუშვილს, რომელთაც თავიანთ სტუდენტს აუცილებელ საგნებთან ერთად ასწავლეს ადამიანების, სიკეთის, საქვეყნო საქმის უანგარო სამსახური.

ცხოვრების უბედნიერეს ხანად რუსთაველის თეატრში გატარებულ წლებს მიიჩნევს, სადაც ჯერ სალიტერატურო ნაწილის გამგე იყო, მერე კი დირექტორ-განმკარგულებელი, სიამოვნებით იხსენებს იმ პერიოდს და ღიმილით იტყვის ხოლმე: მეამაყება ჩემი ეს თანამდებობა, დიდი ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკოც ხომ თავის დროზე სამხატვრო თეატრში დირექტორ-განმკარგულებელი იყოო.

ოც წელზე მეტია, რაც ვაჟა ბრეგაძე საქართველოს კულტურის სამინისტროში მოღვაწეობს. სარეპერტუარო-სარედაქციო კოლეგიაში მუშაობის წლებში განსაკუთრებით გამოვლინდა მისი განსწავლულობა, დახვეწილი გემოვნება და უტყუარი ალღო. იგი ყოველთვის ერის კულტურული, საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში ტრიალებს, ჩვენს პრესაში ხშირად შეხვდებით მის შესანიშნავ წერილებს, ბიჭვინთის ახალგაზრდა დრამატურგთა სემინარის დაარსების ერთ-ერთი მოთავე და დღემდე უცვლელი მონაწილეა, იგი ჭეშმარიტი მოძღვარია თეატრის სამყაროში–დრამატურგიის ხელოვნებას უკითხავს სტუდენტებს თეატრალურ ინსტიტუტში. მისი ინტერესების რკალში არამარტო თეატრი და დრამატურგიაა მოქცეული, არამედ მხატვრობაც, მუსიკაც, ქორეოგრაფიაც და კინოც. რა სასიამოვნოა, რომ სწორედ ასეთი კაცი ხელმძღვანელობს კულტურის სამინისტროს ხელოვნების სამმართველოს. მისი ცოდნისა და შესაძლებლობების პიროვნებას თავისუფლად შეეძლო ყოველნაირი ხარისხები და წოდებები მოეპოვებინა, მაგრამ ტიტულები თვითმიზნად არასოდეს დაუსახავს. მას გულწრფელად, მთელი არსებით უყვარს ხელოვნება, მუდამ მშვენიერსა და ამაღლებულს ეტრფის, სხვისი ნიჭით გახარება და აღფრთოვანება შეუძლია, მუდამ მზად არის მათ მხარდასაჭერად. ჩვენ ყველას გვახსოვს როგორ მიესალმა იგი თამაზ ბაძაღუას, ირაკლი სამსონაძისა და სხვათა გამოჩენას დრამატურგიაში.

მთელი თავისი ცხოვრებით, თავისი არსებობით, მოყვასთა მიმართ დამოკიდებულებით – ადამიანობის, მნეობის ნიმუშს წარმოადგენს.

გარშემომყოფთა თანადგომა, მათდამი სათუთი მოპყრობა არის ვაჟა ბრეგაძის პიროვნების განსაკუთრებით დასაფასებელი თვისება, რაც ასე იშვიათია ჩვენს გაცივებულ, სასტიკ დროში.

ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობარს, სასურველ ავტორსა და სანდო „ექსპერტს“ ვაჟა ბრეგაძეს ახლახან 60 წელი შეუსრულდა.

ბატონო ვაჟა, გულითადად გილოცავთ ცხოვრების ამ დიდებულ მიჯნას და გისურვებთ სულის მხნეობას, კვლავაც ნაყოფიერ ღვაწლს ქართული კულტურისათვის.

**გიორგი ლალიაშვილი.**

# რა დრო გასულა!



მოულოდნელობისაგან გავვოცდი, როცა კალენდარში წავიკითხე, თურმე ჩვენს თემურ აბულაშვილს 50 წელი უსრულდება.

იმდენი უბედურება დატრიალდა ბოლო წლებში, რომ თაობები თითქოს უცებ დაბერდნენ, ვერც თავისუფლების სიხარულის განცდა მოვასწარით, ისე ჩაგვეშხამდა ყველაფერი. ასე იცის ომმა, მით უფრო სამოქალაქო ომმა. ომი ყველა თაობას ნაადრევად აბერებს – დიდსაც და პატარასაც. სულის ჭრილობა სიკვდილამდე თან სდევს ადამიანს. განა ოდესმე დაავიწყდებათ ტრაგიკული დღეები „ფეხბურთის“ გმირებს? ომის საშინელებამ ხომ ისინი უცებ დააბერა, გააჭაღარავა. მარტო ეს ერთი პატარა მოთხრობა (სადაც მთელი ომი დაეტია!) რომ დაეწერა თემურ აბულაშვილს, იგი მაინც დარჩებოდა ნაღდ მწერლად, ხალასი ნიჭის, სულის შემძვრელი სცენების ხატვის ოსტატად.

თემურ აბულაშვილი თავის გმირებს მოქმედებაში ხედავს. დრამატურგიულია ეს ხედვა, ამიტომაც არის მისი პიესები სცენური, ამ პიესებს ბევრი სიხარულის მოტანა შეუძლია ქართული თეატრისათვის. რა დასანანია, რომ ქართველი რეჟისორები ჯეროვნად ვერ აფასებენ მის პიესებს, რამდენი ადამიანის სითბო, სევდა და იმედია მათში გამოხატული!...

თემურ აბულაშვილს დიდი მუადლე დასდგომია. თავისი გმირებივით ბევრი ტკივილიც განიცადა, მაგრამ მუდამ ცხოვრების განკარგების იმედით არის. ყოველთვის ფუტკარივით ტრიალებს.

ნახევარი საუკუნე ცოტა არ არის ამ წუთისოფელში, მაგრამ მაინც „წუთია“, წინ კი მრავლად არის ასეთი „წუთები“...

ვულოცავთ ჩვენს ძვირფას თემურს 50 წლისთავს და მისი სათაყვანებელი ილიას სიტყვებს შევახსენებ: „იმხნევე და იძლიერე“.

**ვასილ კიკნაძე.**

გამოფენა

# უნიკალური ექსპონატები

დიდი ემოციური და შემეცნებითი ძალით გამოირჩევა რუსთაველის გამზირზე № 27-ში გამართული გამოფენა სახელწოდებით — „ახალი ქართული თეატრის სათავეებთან“. აქ ძირითადად წარმოდგენილია საქართველოს თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმის უნიკალური ექსპონატები, რომელსაც ემატება რუსთაველის და მარჯანიშვილის თეატრების მუზეუმების, ვერიკო ანჯაფარიძის, აკაკი ვასაძის, უშანგი ჩხეიძის, აკაკი ხორავას სახლ-მუზეუმებიდან, ასევე ლალი ალექსი-მესხიშვილის, მანანა ახმეტელისა და ელენე ჭავჭავაძის პირადი არქივებიდან მოტანილი რელიკვიები, რომლებიც ქართული კულტურის საამაყო მოღვაწეთა სახელს უკავშირდება. გამოფენის გამართვის იდეა ეკუთვნის გუბაზ მეგრელიძეს, ნუკრი ფაცურიასა და ლერი პაქსაშვილს, ექსპოზიციის ავტორია ალექსანდრე ჩხეიძე.

20-იანი წლები ქართულ თეატრში შემოქმედებითი ძალების უჩვეულო აღზევებით ხასიათდება, კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის მოსვლით ახალი სუნთქვა, ახალი თეატრალური აზროვნება დამკვიდრდა, რელიეფურად გამოიკვეთა მსახიობთა, მხატვართა, დრამატურგთა ახალი თაობა, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს თავის დროზე და ვისი სახელებიც დღეს ლეგენდად ქცეულა. ძირითადად ეს ცხრა ხელოვანი განსაზღვრავს ექსპოზიციის ხასიათს, ამ გენიალურ რეჟისორებთან ერთად ესენი არიან ვერიკო ანჯაფარიძე, უშანგი ჩხეიძე, თამარ ჭავჭავაძე, აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, პეტრე ოცხელი და ირაკლი გამრეკელი. აქ წარმოდგენილია მსახიობების კოსტიუმები თავიანთ გამორჩეულად ალიარებულ როლებში, მაგალითად ვერიკო ანჯაფარიძის ივდითისა და თამარ ჭავჭავაძის მადამ სან-ჟენის კაბები, უშანგი ჩხეიძის ურიელის კოსტიუმი და აკაკი ხორავას ანზორის ნაბადი, აქვეა ხორავასეული ივანე მრისხანისა და ოიდიპოს მეფის სამოსელი. ექსპოზიციაში ჩართულია პეტრე ოცხელისა და ირაკლი გამრეკელის მიერ გაფორმებული სპექტაკლების ესკიზები და მაკეტები, აქვეა ცნობილ მხატვართა მიერ შექმნილი ფერწერული და გრაფიკული ნიმუშები, რომლებშიც ასახულია მსახიობები ცხოვრებასა თუ როლებში. ქართულმა თეატრმცოდნეობამ დიდი შრომა გასწია 20-იანი წლების თეატრის, კერძოდ, ამ რეჟისორებისა და მსახიობების შემოქმედების შესასწავლად. გამოფენაზე იხილავთ თითქმის ყველა წიგნს, რაც მკვლევარებს შეუქმნიათ 20-იანი წლების თეატრის შესახებ. თეატრალურ ხელოვნებაზე წერდნენ და წიგნები გამოსცეს ვერიკო ანჯაფარიძემ, აკაკი ვასაძემ, უშანგი ჩხეიძემ, აკაკი ხორავამ, აქ მათ წიგნებსა და ხელნაწერებსაც გაეცნობით.

დამთვალიერებელი გულგრილად ვერ აუვლის გვერდს უნიკალურ ფოტოებს, რომლებსაც ბევრი ძვირფასი პიროვნების სახე შემოუნახავს.

სულიერად ალვსილნი, ამაღლებულნი გამოვდივართ ამ გამოფენიდან. უაღრესად გამომსახველი და ტევადი ექსპოზიცია სიამაყეს აღგვიძრავს ჩვენი თეატრის ახლო წარსულის, მისი კორიფეების გახსენებით.

საქართველოს თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმი, რომელიც კარგარეთელის ქუჩაზე მდებარეობს, არასახარბიელო პირობებშია, ასობით უნიკალური ექსპონატი ფართო საზოგადოებრიობისათვის უცნობი რჩება იმის გამო, რომ მუზეუმს არა აქვს სათანადო საგამოფენო დარბაზი.

კულტურის სამინისტრომ შარშან დიდებული საქმე ითავა მარჯანიშვილის თეატრის რეკონსტრუქციით, მალე კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზის რემონტი დაიწყება, თეატრის, მუსიკისა და კინოს მუზეუმს ისევ კულტურის სამინისტრო თუ მიხედავს. აქ დაუნჯებული ერის კულტურული სიმდიდრე თვალს მოფარებული არ უნდა იყოს. მუზეუმი მარტო საცავი ხომ არ არის, იგი საექსპოზიციო მუშაობასაც გულისხმობს!

შესანიშნავი გამოფენა „ახალი ქართული თეატრის სათავეებთან“ კიდევ ერთხელ შეგვახსენებს თეატრის მუზეუმის გასაჭირს.

**გიორგი ლალიაშვილი.**




მომავალი



# პატარა ოაზისი

„ზული ამიჩუყდა, — ბრძანა ბატონმა გიზო ჟორდანიამ ბავშვებთან შეხვედრის შემდეგ. ერთი შეხედვით, ტრაფარეტული, და როგორც თვითონვე დააყოლა სენტიმენტალური სიტყვებია, მაგრამ ამ სიტყვების უკან სწორედ ის განცდა თუ გრძნობა იდგა, რომელიც ყველას დაეუფლებოდა, ვინც კი ჩვენი ახალგაზრდობის მომავალზე ფიქრობს და ზრუნავს. ჩვენ ხშირად ვეკითხებით ჩვენს თავს — თუ რა არის ბედნიერება, და რა თქმა უნდა, ერთგვაროვან პასუხს ვერასოდეს ვპოულობთ. ალბათ ბედნიერებაა, როდესაც მოხვდები ისეთ მშვენიერ შეხვედრაზე, რომელიც თეატრალურ სკოლა-სტუდია „ბერიკების“ ბავშვებმა გაუმართეს საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის რექტორს გიზო ჟორდანიასა და ამავე ინსტიტუტის პრორექტორს ვასილ კიკნაძეს.

რა შეიძლება ითქვას ამ საღამოს შესახებ? პირველი ის, რომ ალბათ ძნელია ერთ პატარა საგაზეთო წერილში ჩაატიო ყოველივე ის, რაც სკოლა-სტუდიის მომცრო თეატრალურ დარბაზში ხდებოდა. ამჯერად ბატონ ვასილ კიკნაძის ნათქვამს მოვიშველიებ: ამ საღამოზე ყველაფერი ერთად იყო თავმოყრილი, რაც კი მსახიობებს მოეთხოვებათ: პლასტიკა, მეტყველება, ქორეოგრაფია და რაც მთავარია, ნიჭი. ნიჭიერებით კი ამ სტუდიის ბავშვები მართლაც გამოირჩევიან.

ბავშვებს უამრავი რამ აინტერესებდათ თეატრალური ცხოვრების ირგვლივ. მათი შეკითხვებიდან ნათლად ჩანდა, რომ სურთ — იცოდნენ, როგორც ქართული თეატრის ისტორია, ასევე მისი [დღევანდელობა] და მისი [ბედიც] მომავალში. მსახიობისა და რეჟისორის ურთიერთობა, [მაყურებლის] [პრობლემა], [თეატრალური] [ცხოვრების] დანიშნულება... დიახ, ის ყველაფერი, რითაც სუნთქავს და არსებობს თეატრი.

სტუმრები მოკლედ და ამომწურავად უპასუხებდნენ მათ შეკითხვებზე. ბატონი გიზო რეჟისორისთვის დამახასიათებელი ტემპერამენტითა და იუმორით, ბატონი ვასილი კი ჩვეული განსჯითა და ლოგიკით.

იქნებ ბევრმა არც იცის, რომ ჩვენს ქალაქში, თბილისში, ამ პოლიტიკური და ეკონომიკური სირთულეებით დამძიმებულ დროში, აკაკი ხორავას სახელობის მსახიობთა სახლის მესამე სართულზე არსებობს სამსახიობო სკოლა-სტუდია, რომელსაც რეჟისორი გიორგი თოდაძე ხელმძღვანელობს, რომ ამ სტუდიის ბავშვები, მრავალი საერთაშორისო ფესტივალის მონაწილენი და გამარჯვებულები არიან. დიახ, ეს მართლაც ლამაზი, პატარა ოაზისი გახლავთ ამ ჩვენს უდაბნოში, კუნძული, სადაც ხელმწიფის ასულები, პრინცები, არლეკინები და პატარა ფერიები სახლობენ, და რომ ამ კუნძულის ბინადართ, ზოგჯერ მეტად ძვირფასი სტუმრები, ხელოვნების მუშაკები ეწვევიან ხოლმე.

როგორც ჩანს, ეს უკვე ამ სკოლის ტრადიციად იქცა.

**მერაბ კახიანი.**

**სურათზე:** პატარა მსახიობები.

ავტორის ფოტო.

ლიმილიანი სტრიქონები

# დნეპრის „ტივტივაზე“ უკრაინის ვარსკვლავებთან

ჩეხოსლოვაკია-უნგრეთში მოგზაურობისას გზად ერთი დღით კიევში შევჩერდით. წინა წელს (1960) ამ ქალაქში რუსთაველის თეატრის გასტროლების დროს ისეთი ძალით იქუხა აკაკი ხორავას ოტელომ და ოიდიპოს მეფემ, რომ გამოძახილი ჯერაც არ დამცხრალიყო. გაიგეს თუ არა, აკაკი ხორავა კიევშიაო, უკრაინის თეატრალურმა საზოგადოებამ დიდი, საზეიმო წვეულება მოუწყო.

ბატონი აკაკის მეუღლე ნინა ალექსი-მესხიშვილი ცოტა შეუძლოდ იყო, მარტო ხომ არ წავალო, ალბათ იფიქრა აკაკიმ, და მე წამიყვანა თან.

წვეულება დნეპრზე ტივტივა რესტორანში მოეწყოთ. დნეპრში ირწეოდა ნათურების ლიცლიცა შუქი, ივლისის ნიავს აკაციების სურნელება მოჰქონდა ჩვენთან და გვაბრუებდა.

დარბაზში შემოდიოდნენ და აკაკის ეხვეოდნენ უკრაინის გამოჩენილი ადამიანები: ბრწყინვალე წყვილის ვანდა ვასილევსკაიასა და ალექსანდრე კორნეიჩუკის შემდეგ მთლად ყურებამდე გაღიმებული შემოვიდა პოეტი მიკოლა ბაჟანი, დიასახლისობდა უკრაინის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ნატალია უჟვი, მას მხარს უბამდა დლევანდელი თავმჯდომარე, სსრკ სახალხო არტისტი ოლღა კუსენკო, ყმაწვილებივით ანცობდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი დმიტრო მილიუტენკო და პროფესორი პეტრო ტერნიუკი, ბოლო არ უჩანდა ცნობილ იური ტიმოშენკოს — ტარაპუნკას მახვილსიტყვაობას, იქ იყვნენ ახალგაზრდა პოეტები, მსახიობები, ყველას სახელები ვერ დავიხსომე, მაგრამ უსაზღვროდ ბედნიერი კი ვიყავი დნეპრის ტივტივაზე უკრაინის იმ სახელოვან ვარსკვლავებთან შეხვედრით.

მასპინძლები სახეში შესციცინებდნენ ჩვენს გოლიათს, თავი მოსწონდათ ხორავას თანაზიარ სუფრაზე მსხდომთ და სიამაყით იწვევდნენ შემთხვევით შემოსულ სტუმრებსაც კი, რომ თავი მოეწონებინათ აკაკისთან ყოფნით. ამის გამო გაიზარდა ჩვენი ზაგიდა და აკაკის თაყვანისმცემელთა რიცხვიც.

ჭიქა ასწია მწერალმა ვანდა ვასილევსკაიამ, სუფრასთან ხორავა იყოს და სხვა თამადობდეს, გაგონილაო? თქვა და სწორიაო, შესძახა ყველამ და ფეხზე ადგომით თამადობა მიულოცეს საპატიო სტუმარს.

ბატონი აკაკი ბრწყინავდა იმ დღეს, მასპინძლებს ეპაექრებოდა, გონებამახვილობდა, მღეროდა. მეც ბედი მწყალობდა, რადგან ქართულ სიმღერებში ვერავინ მეცილებოდა. ჩვენი დუეტი ძალიან მოსწონდათ უკრაინელებს და მე საბუთად მაქვს მიკოლა ბაჟანის მიერ ხელსახოცზე დაწერილი ექსპრომტი-ლექსი:

„Пел Хорава, пел Оттело,
Владыка всей вселенной,
Но и мы бы все запели
Со столь прекрасной Еленной“.

დიდებული იყო ის საღამო, მეგობრობის, სიყვარულის, სალხინის და პოეზიის მადლით გაჯერებული...

გვიანამდე ვისხედით. ის იყო აშლა დავიწყეთ, რომ დმიტრო მილიუტენკო შეშფოთებული შემოვიდა იმის გამო, რომ... მთელი დანახარჯი ფული აკაკი ხორავას გადაუხდიაო... ყველა შეწუხდა, ეს როგორ იქნება, თავი მოგვეჭრაო... მაშინ აკაკიმ მათივე ნათქვამი გაიმეორა და მასპინძლები ამით დაამშვიდა:

— თქვენ ხომ თქვით, სუფრაზე ხორავა იყოს და სხვა თამადობდეს, გაგონილაო? მე კი გეუბნებით — სუფრას ხორავა თამადობდეს და ფულს სხვა იხდიდეს, გაგონილა?

დიდებული განწყობილებით დავიშალეთ. ხორავას თვალები სიხარულით უბრწყინავდა, ხომ გავაგიჟეთ უკრაინელებიო.

მეორე დღეს, უცხოეთში გამგზავრებამდე მეუღლემ რაღაც წვრილმანის ყიდვა დაავალა ბატონ აკაკის და მაღაზიაში შევიარეთ. ბატონმა აკაკიმ საიდუმლოდ, ჩუმად ჩამოლაპარაკა და ვატყობდი თქმა უჭირდა:

— იცი რა, გუშინ სულ დავხარჯე, რაც ფული მქონდა და... თუ გაქვს, ცოტა მასესხე, მაგრამ, იცოდე, ნინასთან არაფერი წამოგცდესო.

მე, ცხადია, „ვასესხე“. ჩეხეთში კრონებით მაძლია ფული და რომ არ გამოვართვი, შემდეგ ძალიან ორიგინალური და ლამაზი ფულის ქულაბა მიყიდა. ძალიან მიყვარს ის ქულაბა, იმიტომ რომ კარგია და იმიტომაც, რომ ბატონმა აკაკიმ მაჩუქა.

**ელენე საყვარელიძე,**
საქართველოს სახალხო არტისტი.

„სახიობა“ მოამზადეს:
**გურამ გოგიაშვილმა, ნანა ლვინეფაძემ, რუსუდან მუხიგულაშვილმა და გიორგი ლალიაშვილმა.**

საქართველოს რესპუბლიკა
№60 შაბათი, 15 მარტი, 1997 წელი

## გამოსათხოვარი

# ანტონ კელენჯერიძე



ჩვენი საზოგადოება ეთხოვება ღირსეულ მამულიშვილსა და საზოგადო მოღვაწეს, ქართული ჟურნალისტიკის პატრიარქს, გულმხურვალე პატრიოტს ბატონ ანტონ კელენჯერიძეს. წელს მას 92 წელი შეუსრულდა.

თაობათა ღირსეული აღმზრდელი, უნარიანი ორგანიზატორი, ზნეობისა და კეთილშობილების განსახიერება —ასეთად დარჩება ბატონი ანტონი თანამედროვეთა ხსოვნაში. ეს დიდებული ადამიანი მთელი სიცოცხლე ერის სიკეთისთვის იღვწოდა.

რთული იყო მისი პროფესიული და შემოქმედებითი გზა — ქრონიკიორ-რეპორტიორობიდან საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობამდე.

ანტონ კელენჯერიძე მეორე მსოფლიო ომის დროს ყირიმის საფრონტო გაზეთის „ყირიმის საბრძოლოს" პასუხისმგებელი მდივანია, ომის წლებშივე რედაქტორობს გაზეთ „საბჭოთა აჭარას".

1952 წელს ანტონ კელენჯერიძე დაინიშნა საქართველოს რადიოკომიტეტის თავმჯდომარედ. სწორედ 1952-1961 წლებია მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ყველაზე შედეგიანი და ნაყოფიერი პერიოდი. ამ წლებშივე მდიდრდება საქართველოს რადიოს „ოქროს ფონდი", ფართოვდება სამაუწყებლო ბაზა, ყალიბდება ახალი რედაქციები, ახალ მოთხოვნათა შესაბამისად იგეგმება ჟურნალისტების, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის საქმიანობა. ანტონ კელენჯერიძის დამსახურებაა მომდევნო წლებში ახალგაზრდა, პერსპექტიული ჟურნალისტების მოზიდვა და მათი პროფესიული დაოსტატება.

ანტონ კელენჯერიძის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოს ტელევიზიის დაფუძნება და განვითარება. 1957 წლიდან ბატონი ანტონი საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის პირველი თავმჯდომარეა.

მისთვის დამახასიათებელი განსწავლულობა, პრინციპულობა, თანამშრომლების მიმართ გულისხმიერება, ზომიერი სიმკაცრეც და ლმობიერებაც ნათლად გამოიკვეთა რადიოს და ტელევიზიის კოლექტივთან ურთიერთობაში. ამიტომაც იყო იგი ყველასათვის ძვირფასი და ახლობელი.

კეთილსინდისიერი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის ანტონ კელენჯერიძეს მიღებული ჰქონდა მთავრობის მრავალი ჯილდო, მაგრამ მას, ბუნებით მოკრძალებულ და თავმდაბალ კაცს, არასოდეს ჰყვარებია თავის დამსახურებასა და ჯილდოებზე ლაპარაკი. ამიტომ ჩვენც არ ჩავთვალეთ საჭიროდ იმ ორდენებისა და მედლების ჩამოთვლა, რომლითაც თავის დროზე მისი თავდადებული შრომა აღინიშნა. ვიტყვით მხოლოდ, რომ ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის იგი „ღირსების ორდენით" დაჯილდოვდა. დამსახურებულ ჟურნალისტს დიდ პატივს სცემდნენ კოლეგები და კულტურის მოღვაწენი არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

უმძიმთ ბატონ ანტონთან გამოთხოვება მის აღზრდილებს, მის ყოფილ თანამშრომლებს, მეგობრებს, ყველას, ვინც იცნობდა და ვისაც მასთან ურთიერთობა ჰქონია. მას დიდი მადლიერებით მოიხსენიებენ მომავალი თაობები.

ე. შევარდნაძე, ზ. ჟვანია, ნ. ლეკიშვილი, ა. გოგელია, ზ. შენგელია, ვ. აბაშიძე, ა. სიხარულიძე, კ. გარდაფხაძე, გ. ენუქიძე, ნ. ფოფხაძე, ა. სანებლიძე, ვ. ხუნდაძე, პ. შამათავა, ი. მესხიშვილი, გ. ციციშვილი, დ. მჭედლიშვილი, ი. გიორგობიანი.

კორპორაცია DVM GROUP-ის
ოფიციალური დილერი
ექსკლუზიური უფლებებით
საქართველოში
ფირმა
აგუნა



საქმიან ადამიანებს
გთავაზობთ
სხვადასხვა მოდელისა და დიზაინის
ROVER BOOK -ის
პორტატულ კომპიუტერებს
ROVER BOOK -ის კომპიუტერები
კონკურენციას უწევენ
მსოფლიოს მოწინავე ფირმების
ანალოგიურ პროდუქციას
ხოლო შეფარდებით
წარმადობა / ფასი
აბსოლუტური ლიდერია
ინფორმაციისათვის დარეკეთ 12⁰⁰ - 18⁰⁰
ფირმა აგუნა 22-41-98
ან ფირმა „Дубль-П" 99-94-20

## განცხადება

საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 11 მარტის № 65 განკარგულებით რუსეთის ფედერაციაში საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენლობის გაუქმების გამო და მისი ქონების საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის ბალანსზე გადაცემასთან დაკავშირებით შეიქმნა სალიკვიდაციო კომისია.

დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შეუძლიათ მიმართონ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. მოსკოვი, არბატის ქ. № 42, ნაგებობა 1. ტელ: 241-05-44, 241-03-94.

---

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირი თანაუგრძნობს საქართველოს სახალხო არტისტს, კინომსახიობ იმედა კახიანს დედის

ეკატერინე მიქელაძე-კახიანის

გარდაცვალების გამო.

---

შვილები ომარი, ლაურა ბერაძეები, და დოსია ლანდია, მული თამარ ბუაძე, რძალი ლია შარამიძე, სიძე დიმიტრი გოშაძე, შვილიშვილები თეა, გიორგი გოშაძეები, შალვა, თამუნა ბერაძეები, დისწულები, ძმისწულები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნინო (წუწია) ლავრენტის ასული ლანდია

პანაშვიდი 16, 17 III, 4 ს. გამოსვენება 18 III, 2 ს. მიცკევიჩის I კორპუსი, VI სადარბაზო, VI სართული.

---

შვილები რეზო, ნანა თავაძეები, შვილიშვილები ხათუნა თავაძე, კოტე, ევტის ნაჭყებიები, შვილთაშვილი გიორგი გოგაძე, სიძეები მუშნი ნაჭყებია, თემურ გოგაძე, და თინა სხირტლაძე ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლილი გიორგის ასული თავაძე

პანაშვიდი 16, 17 III, 4 ს. გამოსვენება 18 III, 2 ს. ვაჟაფშაველას გამზირი, მე-7 კვარტალი, I კორპუსი, V სადარბაზო.

## ხსოვნა

# ნიკოლოზ მჭედლიშვილი



მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი ნიკოლოზ (ნიკა) მჭედლიშვილი.

ნიკა მჭედლიშვილი დაიბადა თბილისში 1952 წელს, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტი, წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე, 1989 წლიდან კი — ფილოსოფიის ინსტიტუტში.

ბედს არასოდეს გაუნებივრებია ნიკა. მამა ადრე გარდაეცვალა. დედა ამ ერთი წლის წინ მიაბარა მიწას. მიუხედავად ამისა, მშვენიერი ოჯახი შექმნა და ორი ქალიშვილი აღუზარდა სამშობლოს. ფილოსოფიური საკითხების დამუშავებაშიც გამოირჩეოდა. მან საინტერესო გამოკვლევა გამოაქვეყნა დ. უზნაძის ფილოსოფიური შეხედულებების შესახებ.

უდროოდ წავიდა ჩვენგან მშვენიერი გარეგნობის ვაჟკაცი, ინტელიგენტი პიროვნება და ყველას განუზომელი ტკივილი დაგვიტოვა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
ფილოსოფიის ინსტიტუტი.

---

# მარიამ წიწაკიშვილი



წავიდა ამ ქვეყნიდან მარიამ ივანეს ასული წიწაკიშვილი. ნიჭიერი, თავისი საგნის ღრმა ცოდნით აღჭურვილი და არაჩვეულებრივი პედაგოგიური თვისებებით დაჯილდოებული ღვაწლმოსილი ადამიანი. მის აღზრდილებს დღესაც ახსოვთ და გულს უთბობთ საყვარელი პედაგოგის ალერსიანი ღიმილი, საოცრად მიმტევებლური ხასიათი. თავის დროზე იგი მეტად დაფასებული იყო პედაგოგიური საზოგადოების მიერ, — არაერთგზის დაჯილდოებული მედლით „თავდადებული შრომისათვის".

ქალბატონი მარიამი გახლდათ თავმდაბალი, წყნარი, გონიერი, გამრჯე, მხნე, მზრუნველი, არაჩვეულებრივი მეგობარი, მეზობელი, პატიოსნების, სინდისიერების, ზნეობრიობის მაგალითი.

ქალბატონ მარიამს ჰყავდა შესანიშნავი მეუღლე, მაგრამ ბედმა მას დედობა არ არგუნა. სამაგიეროდ დისშვილებს შესწირა მთელი თავისი ცხოვრება: ერთ წამით არ მიგრძვნია უშვილობაო, — იტყოდა ხოლმე.

საყვარელო დეიდა, დედისტოლა მოამაგე ადამიანო, განა შენს შვილებს უფრო მეტად ეყვარებოდი, ვიდრე ჩვენ?!!

წახვედი ჩვენგან ვალმოხდილი შენი დის, დისშვილების, მათი შვილების წინაშე, ჩვენ კი ძალიან გაგვიძნელდება ვიყოთ ვალმოხდილი შენი ამაგის წინაშე. მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, ხშირად ვეახლოთ შენს სამარეს, ნაღვლიანად დავიტიროთ და ვილოცოთ შენი სულის ნათელ სასუფეველში დამკვიდრებისათვის.

დისშვილები: ქეთინო, ოთარ, როდამ, მაიკო ზანდუკელები,
დისშვილიშვილები: ლევანი, ერეკლე, ლელა და თამარი.

## გახსენება

# მირიან სიხარულიძე



15 მარტი გათენდა. დღეს 38 წელი შეგისრულდებოდა. ერთ დროს ყველაზე ლამაზი, ახლა კი უმძიმესი დღე, რომელსაც უშენოდ პირველად ვხვდებით.

რაგინდ ნუგეში გვცეს, გაუსაძლისია უშენობა, დღე როგორ ჩაივლის, რომ შენს ლამაზ, მომღიმარ სახეს სურათზე არ მივეფეროთ დედა, მამა, დები, მეუღლე, შვილები, ახლობლები, ყველა, ვისაც ცრემლი დაგვიტოვე.

შენი უკვდავების გვჯერა, სანატრელო, რადგან შენი სიცოცხლე შენს შვილებში გრძელდება.

ისინი შეინახავენ და მომავალ თაობებს გადასცემენ შენი ლამაზი ცხოვრების, შენი კაცურკაცობის ამბავს.

შენი ოჯახი.

---

იზა ჯაჭვაძე, კობა, ბადათერ, მერთაზ არაბულები თანაგრძნობას უცხადებენ მერი არაბულს ერთადერთი ვაჟის

დათო იარაჯულის

უეცარი გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 18 III, თიანეთში.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ ფოფიაშვილი, დავით იაკობიძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

ნომრის მორიგე რედაქტორები ნანული ბარათაშვილი, გურამ გოგიაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.

სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.